

78  
172



# საგჭოთა სამართალი



საქართველოს კვ მენგარული კომიზავის გეომთვარე

1972

3



# საბჭოთა სამართალი

№ 3

მაისი—ივნისი

1972 წელი

გამოცემის XIX წელი

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და  
უმაღლესი სასამართლოს ორგანო  
ო რ ბ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

## შინაარსი

### საზოგადოებრივი პროკურატურის 50 წელი

ა. ტაკიძე — ნახევარი საუკუნე ხალხის ინტერესების სადარაჯოზე . . . . . 3

### საზოგადოებრივი ადვოკატურის 50 წელი

ზ. რატინი — დაცვის ინსტიტუტის შემდგომი სრულყოფისათვის . . . . . 11

გ. ცირაშვილი — გავაუმჯობესოთ სასამართლო გადაწყვეტილებათა საკასაციო წესით  
გაპროტესტების საქმე . . . . . 16

თ. კვიციანი — მომეტებული საფუძვლის წყარო და ზიანის ანაზღაურების ზოგიერთი საკითხი . . . . . 21

ბ. ქუთაძე — სრულყოფილი კანონმდებლობა საზოგადოებრივი შემოქმედების განხორციელების მიზნით პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესახებ . . . . . 27

სიმონიშვილი — პროკურორ-კრიმინალისტიკის მონაწილეობა შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში . . . . . 33

კ. ნარმაია — სამართლის პროპაგანდა — ახალი ამოცანების დონეზე . . . . . 38

ა. ფალიაშვილი — საქართველოს სსრ პროკურატურის ისტორიიდან . . . . . 43

ვ. მელაძე — ვეტერანი . . . . . 51

### დანაშაულის კვალდაკვალ

გ. ქველიძე — მამხილებელ მტკიცებულებათა სწორი გამოყენება დანაშაულის გახსნის საფუძველი . . . . . 54

ბ. კვესელავა — დამოკლეს მახვილი . . . . . 58

### კრიტიკა და ზიგლიოზგრაფია

ზ. მენენჯისერი — წიგნი ვაჭრობის სისტემაში დამანაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ . . . . . 68

თფიციალური მასალა . . . . . 70

საპროკურორო უდამხედველობის პრაქტიკა . . . . . 78

სასამართლო პრაქტიკა . . . . . 86

არბიტრაჟის პრაქტიკა . . . . . 92

მმართველობის ორგანოების პრაქტიკა . . . . . 95







## СОДЕРЖАНИЕ

### 50-ЛЕТИЕ СОВЕТСКОЙ ПРОКУРАТУРЫ

А. Такидзе — Полвека на страже интересов народа . . . . .	3
---	---

### 50-ЛЕТИЕ СОВЕТСКОЙ АДВОКАТУРЫ

З. Ратиани — К дальнейшему совершенствованию института защиты . . . . .	11
Г. Цирамуа — Улучшить работу по опротестованию судебных решений в кассационном порядке . . . . .	16
О. Киквидзе — Источник повышенной опасности и некоторые вопросы возмещения вреда . . . . .	21
М. Курдадзе — Совершенствовать законодательство об освобождении лиц от уголовной ответственности с применением мер общественного воздействия . . . . .	27
В. Симонишвили — Участие прокурора-криминалиста в осмотре места происшествия . . . . .	33
К. Нармания — Пропаганду права на уровень новых задач . . . . .	38
А. Палишвили — Из истории прокуратуры Грузинской ССР . . . . .	43
В. Меладзе — Ветеран . . . . .	51

### ПО СЛЕДАМ ПРЕСТУПЛЕНИЯ

Г. Квелидзе — Правильное применение уличающих доказательств привело к раскрытию преступления . . . . .	54
М. Квеселава — Домоклов меч . . . . .	58

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

З. Месенгисери — Книга о борьбе с преступностью в торговой сети . . . . .	38
Официальный материал . . . . .	70
Практика прокурорского надзора . . . . .	78
Судебная практика . . . . .	86
Практика арбитража . . . . .	92
Практика органов Загс-а . . . . .	95

#### სარედაქციო კოლეგია .

მეგვ. № 1664  
ტირაჟი 19.750  
ფე 00343

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, თ. დადიანი, გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე, მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, ზ. რატიანი, ა. ტაკიძე, ს. ქაჯაია, ვ. ქვაჩახია, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

**რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 82. ტელეფონი — 59-09-62.**

გადაეცა წარმოებას 6/V-72 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/V-72 წ., ქალაქის ზომა 70×1081/16; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი საბეჭდი ფურცელი 8,4, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,87.

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.





## ნახევარი საუკუნე ხალხის ინჟინერების საღაჯოზე

ა. ტაბიძე,

საქართველოს სსრ პროკურორი, იუსტიციის მეორე კლასის სახელმწიფო მრჩეველი

50 წლის წინათ, 1922 წლის 28 მაისს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეცხრე მოწვევის მესამე სესიამ მიიღო დადგენილება სახელმწიფო პროკურატურის შექმნის შესახებ. 28 მაისიდან საპროკურორო ზედამხედველობის დებულება ძალაში შევიდა. ამ დღიდან იწყება სახელოვანი ისტორია საბჭოთა პროკურატურისა, რომელიც უკვე ნახევარი საუკუნეა ფიზიკურად დგას ხალხის ინტერესების საღაჯოზე, უმწიკვლოდ ემსახურება მართლწესრიგის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეს.

პროკურატურის ფუნქციონირების პრინციპები შეიმუშავა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა თავის ცნობილ წერილში „ორმაგი“ დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ“.

ვ. ი. ლენინი საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველი დღეებიდანვე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში კანონიერების როლის ამაღლებას. საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტებში, რომლებიც დიდი ლენინის მიერ არის დაწერილი, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა რევოლუციური წესრიგის უმკაცრესი დაცვის, კონტრრევოლუციასთან, საბოტაჟთან და სპეკულაციასთან ბრძოლის აუცილებლობას. რევოლუციური კანონიერება წარმოადგენდა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნების, კლასობრივი მტრის წინააღმდეგობის დათრგუნვისა, სოციალისტურ საწყისებზე საზოგადოების ძირეული გარდაქმნის ერთ-ერთ მძლავრ საშუალებას.

1918 წლის 30 მარტს რევოლუციური ტრიბუნალების შესახებ დეკრეტის პროექტის განხილვასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი მოითხოვდა ისეთი რევოლუციური სასამართლოების შექმნას, რომლებიც სწრაფად და დაუნდობლად გაუსწორდებოდა კონტრრევოლუციონერებს, ხულიგნებს, უქნარებსა და დეზორგანიზატორებს. იმავე წლის 8 ნოემბერს, სრულიად რუსეთის VI საგანგებო ყრილობამ ვ. ი. ლენინის ინიციატივით მიიღო დადგენილება „კანონთა ზუსტად დაცვის შესახებ“. ყრილობამ მოუწოდა რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოს და თანამდებობის პირს განუხრებლად შეესრულებინათ კანონები.

ვ. ი. ლენინი თვითონ ეპყრობოდა კანონს დიდი პატივისცემით და ამასვე მოითხოვდა სხვებისგან. ვ. ი. ლენინი გვაფრთხილებდა, რომ „სულ მცირეოდენი უკანონობა, საბჭოთა წესრიგის სულ მცირეოდენი დარღვევა უკვე ის ზვრელია, რომელსაც დაუყოვნებლივ გამოიყენებენ მშრომელთა მტრები“.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლამ და სამოქალაქო ურთიერთობათა განვითარებამ რევოლუციური კანონიერების წინაშე ახალი ამოცანები დააყენა. საჭირო გახდა სამართლის ნორმათა მთელი სისტემის შემუშავება და მათი შესრულებისადმი მუდმივი ზედამხედველობის დაწესება. ვ. ი. ლენინის დავალებით, იუსტიციის სახალხო კომისარიატმა მოამზადა სამოქალაქო და





სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კოდექსების პროექტები, აგრეთვე პროექტი პროკურატურისა, რომელსაც უნდა უზრუნველყო კანონების შესრულებისადმი სახელმწიფოებრივი ზედამხედველობა.

კანონპროექტი პროკურატურის შექმნის შესახებ მწვავედ გააკრიტიკეს ორმაგი დაქვემდებარების მომხრეებმა რუსეთის ცაკის 1922 წლის მაისის სესიაზე. მათ მიაჩნდათ, რომ პროკურორისათვის იმ უფლების მინიჭება, რომ გაეპროტესტებინა ადგილობრივი ორგანოების არაკანონიერი აქტი, შელახავდა ამ ორგანოთა ავტორიტეტს. კამათის შემდეგ კანონპროექტი გადაეცა ცაკის კომისიას მასალის სახით, რაც ფაქტიურად ნიშნავდა მის უარყოფას.

ვ. ი. ლენინი ამ დროს ავადმყოფობის გამო გორკაში იმყოფებოდა. როდესაც შეიტყო, რომ კანონპროექტი არ მიიღეს, მაშინვე—20 მაისს ტელეფონით უკარნახა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიუროსათვის ცნობილი წერილი „ორმაგი“ დაქვემდებარება და კანონიერება“. წერილმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ადგილობრივი გავლენისა და კუთხურობის მომხრეებს. მან გადაწყვეტი როლი შეასრულა პროკურატურის სტრუქტურისა და ფუნქციების განსაზღვრაში. 1922 წლის 26 მაისს სრულიად რუსეთის ცაკის სესიის დადგენილებით სახელმწიფო პროკურატურა შექმნილ იქნა.

ვ. ი. ლენინის წერილი „ორმაგი“ დაქვემდებარება და კანონიერება“ გახდა პროკურატურის მთელი შემდგომი საქმიანობის საძირკველი, თეორიული ბაზა, რომელსაც ემყარება მოძღვრება სოციალისტურ კანონიერებაზე. კანონიერების საყოველთაო სავალდებულობა და მათი შესრულების უზრუნველყოფა, მთელს სახელმწიფოში კანონების ერთიანობა, კანონიერებისა და მიზანშეწონილობის დაპირისპირების დაუშვებლობა, კანონიერების განუყრელი კავშირი კულტურულობასთან, კანონიერების აღმზრდელობითი როლი მოქალაქეთა მართლშეგნების განმტკიცებაში, სამართალდარღვევებთან ბრძოლაში ხალხის მასებზე დაყრდნობის აუცილებლობა — აი: ძირითადი პრინციპები, რასაც სოციალისტური კანონიერების არსი ემყარება.

პროკურატურის ცენტრალიზაციის ლენინური პრინციპის დედაპირი ის არის, რომ უზრუნველყოფილ იქნას პროკურორის, მისი საქმიანობის სრული დამოუკიდებლობა ადგილობრივი ორგანოების ზეგავლენისაგან. პროკურორს უფლება აქვს და მოვალეა გააპროტესტოს ადგილობრივი ხელისუფლების ყველა გადაწყვეტილება და დადგენილება, თუ ისინი ცენტრალური ხელისუფლების კანონებს ეწინააღმდეგებიან. „პროკურორი პასუხს აგებს იმაზე, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომ არც ერთი ადგილობრივი ხელისუფლების არც ერთი გადაწყვეტილება გვერდს არ უვლიდეს კანონს“.

საპროკურორო ზედამხედველობის დებულების მიღებისთანავე იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა გასწია გუბერნიის პროკურორთა შესარჩევად. პარტიამ პროკურატურაში სამუშაოდ წარგზავნა რევოლუციური წარსულის მქონე გამოცდილი მუშაკები. ბევრი მათგანი საპროკურორო მოღვაწეობას ეზიარა სამოქალაქო ომის ფრონტებიდან დაბრუნებისთანავე.

1922 წლის ივლისის ბოლოს გუბერნიის პროკურორთა თათბირზე რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სახალხო კომისარმა და პროკურორმა დ. ი. კურსკიმ პროკურორებს უწოდა კანონიერებისათვის ბრძოლის მოთავენი.

საქართველოში საპროკურორო ზედამხედველობის დებულებას საფუძვლად დაედო რუსეთის ფედერაციის დებულება. რესუბლიკის ცენტრალურმა აღმას-



რულებელმა კომიტეტმა იგი გამოაქვეყნა 1922 წლის 11 ნოემბერს. ძალაში შესვლის თარიღად გამოცხადდა 15 ნოემბერი. საქართველოს საბჭოთა პროკურატურის დაბადების დღედ სწორედ 15 ნოემბერი ითვლება.

ისევე როგორც რუსეთის ფედერაციაში, საქართველოშიც პროკურატურა ჩამოყალიბდა იუსტიციის სახალხო კომისარიატის სისტემაში. იუსტიციის სახალხო კომისარი იმავე დროს რესპუბლიკის პროკურორიც იყო და მას ემორჩილებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს, დასავლეთ საქართველოს და რევოლუციური ტრიბუნალის პროკურორები.

1933 წელს შეიქმნა სსრ კავშირის პროკურატურა. მაგრამ პროკურატურის სისტემის ცენტრალიზაციის პროცესი დასრულდა მხოლოდ 1936 წელს, როცა სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის შექმნასთან დაკავშირებით პროკურატურის ყველა ორგანო გამოეყო მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატებს.

საბჭოთა პროკურატურისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1932 წლის 25 ივნისის დადგენილება „რევოლუციური კანონიერების შესახებ“, რომელმაც განსაზღვრა პროკურატურის კონკრეტული ამოცანები ადმინისტრაციულ თვითნებობასთან, უკანონო ჩხრეკებთან და კონფისკაციასთან, მშრომელთა საჩივრების განხილვისას ბიუროკრატიზმისა და გაჭიანურების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ახორციელებდა რა ზედამხედველობას კანონთა ზუსტი შესრულებისადმი პროკურატურის ორგანოები მჭიდრო კავშირს ამყარებდნენ მოწინავე მუშებთან და გლეხებთან, სოფლკორებთან, რევოლუციური კანონიერების სექციის წევრებთან, პროკურატურის დამხმარე ჯგუფებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში საკანონმდებლო წესით განმტკიცდა სსრ კავშირის კონსტიტუციით. პროკურატურის ცენტრალიზაცია და თავისი ფუნქციების განხორციელებისას ადგილობრივი ორგანოების ყოველგვარი გავლენისაგან დამოუკიდებლობა საკონსტიტუციო პრინციპებად იქნა აღიარებული.

სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს დაეკისრა განხორციელებისა უმაღლესი ზედამხედველობა, რათა ყველა სამინისტროს, უწყებას, დაწესებულებას, აგრეთვე ცალკეული თანამდებობის პირს და მოქალაქეებს ზუსტად შესრულებინათ კანონები.

დიდი სამამულო ომის წლებში პროკურატურის ორგანოები თავდადებით იბრძოდნენ ამ პერიოდის სპეციალური კანონების, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებათა შესასრულებლად, შრომის დისციპლინის, სოციალისტური საკუთრების, სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახების ინტერესების დასაცავად.

ამ მუშაობას მაღალი შეფასება მისცა პარტიამ და მთავრობამ. 1945 წელს სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის 711 პროკურორმა და გამოძიებელმა მიიღო მთავრობის ჯილდო.

პროკურატურის ბევრმა მუშაკმა გმირულად შესწირა სიცოცხლე სამშობლოს თავისუფლებასა და ღირსებას, საბჭოთა ადამიანები წმინდად ინახავენ მათ ხსოვნას. მშრომელთა კოლექტივებში, მათ შორის პროკურატურის ორგანოებ-



ში დადგმულია მემორიალური დაფები, რომლებზეც ოქროს ასოებით ამოკვეთილია მათი სახელები.

1942 წელს, სტავროპოლის ოკუპაციის დროს, სხვა პატრიოტებთან ერთად, გესტაპომ დააპატიმრა სამხარეო პროკურორის თანამემწე კლავდია ილიას ასული აბრამოვა, რომელიც იატაკქვეშ მუშაობის აქტიური მონაწილე იყო. ვერც წამებამ, ვერც მისი ორი ქალიშვილის დახვრეტის მუქარამ ვერ შეარყია გმირი ქალი, და როდესაც იგი ვერ დაითანხმეს სამშობლოს დალატზე, გამხეცებულმა გესტაპოელებმა 1942 წლის 22 ოქტომბერს დედის თვალწინ დახვრიტეს ორი ბავშვი, მერე კი თვითონ ისიც. მამაცობისა და თავდადებისათვის კლავდია ილიას ასული სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულ იქნა სამამულო ომის I ხარისხის ორდენით. მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად გმირი ქალის ბიუსტი დაიდგა მის სამშობლოში — ქ. უფაში, ხოლო ქ. სტავროპოლში აბრამოვას სახელს ატარებს ერთ-ერთი ქუჩა.

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე გმირთა სიკვდილით დაეცნენ საქართველოს სსრ პროკურატურის მუშაკები. რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების პროკურორი ბენია ჩხაიძე, თბილისის კიროვის რაიონის პროკურორი ივანე ებანოძე, კალინინის რაიონის პროკურორი გედევან კუტალაძე, ზუგდიდის რაიონის პროკურორი აქვსენტი კვიციანი და სხვები.

პიტლერულ დამპყრობთა წინააღმდეგ მამაცურად იბრძოდნენ აგრეთვე საქართველოს სსრ პროკურატურის აპარატის მუშაკები: ლუიზა ასლამაზოვა, ადამ დიასამიძე, კონსტანტინე კანდელაკი, შოთა ჭანტურია, ევგენი ხითარიშვილი, თერჯოლის რაიონის პროკურორი გრიგოლ ტაბატაძე, დუშეთის რაიონის პროკურორი მიხეილ მამუჩაშვილი, ახალციხის პროკურორი მიხეილ ნადირაძე და ბევრი სხვა, რომლებიც შინ ვალმოხდილი დაბრუნდნენ და დღესაც წარმატებით მუშაობენ პროკურატურის ორგანოებში.

სამამულო ომის წლებში მეტად თვალსაჩინო იყო სამხედრო პროკურორებისა და გამომძიებლების როლი. ისინი მთელ ძალასა და ენერჯიას ახმარდნენ საბჭოთა არმიისა და ფლოტის ძლიერების განმტკიცებას, მტრის აგენტურასთან, დეზერტირებსა და პანიკიორებთან დაუნდობელ ბრძოლას.

ბევრი მათგანი უშუალოდ მონაწილეობდა საომარ მოქმედებაში, უჩვენა ვაჟკაცობისა და გამჭირაობის ნიმუში, 1800-ზე მეტმა სამხედრო პროკურორმა და გამომძიებელმა მთავრობის მაღალი ჯილდო დაიმსახურა.

1945—46 წლებში საბჭოთა პროკურატურის მუშაკთა ჯგუფი სსრ კავშირის მთავარი ბრალმდებლის რ. ა. რუდენკოს ხელმძღვანელობით მონაწილეობდა ქ. ნიურნბერგში საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მუშაობაში, რომლის წინაშე წარსდგნენ მთავარი გერმანელი სამხედრო დამნაშავენი და დამსახურებული სასჯელიც მიიღეს.

სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში პროკურატურის მუშაკები თავდადებით იბრძოდნენ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად, კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელა ღონისძიებანი ჩვენს ქვეყანაში იურიდიული განათლების გაფართოებისა და გაუმჯობესებისათვის. 1947 წელს მოკავშირე რესპუბლიკებში პარტიამ პროკურატურაში ხელმძღვანელ სამუშაოებზე წარგზავნა 500-ზე მეტი პარტიული და საბჭოთა მუშაკი, მეტი ყურადღება დაეთმო დაუსწრებელი





იურიდიული განათლების საქმეს. ამით შესაძლებელი გახდა დადგენილიყო საკანონმდებლო წესით, რომ პროკურორებად და გამომძიებლებად დაინიშნებიან მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე პირები. ამჟამად პროკურატურის ორგანოებში მათი ხვედრითი წონა შეადგენს 92,9 პროცენტს, ხოლო საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოებში — 98,2 პროცენტს.

იზრდება სამართლებრივი მეცნიერების როლი და მნიშვნელობა. ხელმძღვანელობენ რა პარტიის მითითებებით, მეცნიერი-იურისტები აფართოებენ სამართლებრივ გამოკვლევათა ფრონტს, შეაქვთ თავისი წვლილი კანონმდებლობის სრულყოფაში, დამნაშავეობასთან ბრძოლისა და კანონიერების განმტკიცებისათვის მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებაში.

ბევრი პროკურორი და გამომძიებელი უნარიანად უთავსებს პრაქტიკულ საქმიანობას მეცნიერულ მუშაობას; პროკურატურის ორგანოებში მუშაობს 50 პროკურორი და გამომძიებელი, რომლებმაც იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოიპოვეს, აქედან ცხრა პროკურორი საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოებში მუშაობს.

პროკურატურის 200-მდე მუშაკს, მათ შორის 17-ს საქართველოში, მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოებში მუშაობენ დიდი პრაქტიკული გამოცდილებისა და მაღალი პროფესიული ოსტატობის მქონე, მოწინავე მუშაკები: საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსები თამარ ფოცხვერია და ნიკოლოზ მიქაძე, განყოფილების უფროსის მოადგილე ვახტანგ რაზმაძე, რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწე ვასილ გოგუაძე, განყოფილების პროკურორი ნიკოლოზ დმიტრიევი, ქ. თბილისის პროკურატურის განყოფილების უფროსები დანიელ ფოჩიანი, პოლიაქტორ ხოფერია, ზესტაფონის რაიონის პროკურორი შოთა კალმახელიძე, მახარაძის რაიონის პროკურორი ენვერი გოგუაძე, ქ. ჭიათურის პროკურორი შოთა მიროტაძე, საქართველოს სსრ პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლები გივი ეხვავია და ზაურ კვიციანი, ქუთაისის პროკურატურის გამომძიებელი სერგო მალაქელიძე, ვაგრის პროკურატურის გამომძიებელი ილია ლაღალაძე, სამტრედიის პროკურატურის გამომძიებელი დალი იმნაიშვილი და სხვანი.

საქართველოს პროკურატურის ორგანოებში ქართველების მხარდამხარ კანონიერების განმტკიცებისათვის იბრძვიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები: რუსები, აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძენები და სხვა.

ჩვენ გვუამაყება, რომ იუსტიციის სახალხო კომისარიტს და რესპუბლიკის პროკურატურას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილენი — სერგო ქავთარაძე, იაკობ ვარძიელი, შალვა მათიკაშვილი, ვიორგი სტურუა, კანდიდ გობეჯიშვილი, თევდორე დოლიძე და ანდრო დოლიძე, რომლებიც კრისტალური კეთილსინდისიერებით და მაღალი პარტიული პრინციპულობით ემსახურობდნენ კანონიერების განმტკიცების საქმეს. პროკურატურის ორგანოებში დიდი ხნის განმავლობაში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ილარიონ ტალახაძე, ვლადიმერ შონია, მიხეილ ლომიძე, ბორის ფურცხვანიძე, სერგო ქაჯაია, ანდრო გიგაური, ვასილ ხმალაძე, სიმონ ჯაფარიძე და სხვა ამხანაგები, რომლებიც დღესაც დაუზარებლად უზიარებენ ახალი თაობის მუშაკებს თავიანთ ცოდნასა და მდიდარ პრაქტიკულ გამოცდილებას.





პროკურატურის ორგანიზაციისა და საქმიანობის ლენინური პრინციპები, რომლებიც განმტკიცდა სსრ კავშირის კონსტიტუციით, მთლიანად აისახა დებულებაში სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ, რომელიც დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1955 წლის 24 მაისს. ამ დოკუმენტით განსაზღვრულია საპროკურორო ზედამხედველობის ამოცანები სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

სკკპ ახალი პროგრამით დასახულია სოციალისტური კანონიერების განუზრელი დაცვის, მართლწესრიგის ყოველგვარ დარღვევათა აღმოფხვრის, დამნაშავეობის ლიკვიდაციის, მისი წარმომშობი მიზეზების აღკვეთის ამოცანა. საბჭოთა მოქალაქენი მოვალენი არიან გამოიჩინონ შეუთრეგებლობა ბოროტმოქმედებათა ყოველგვარი გამოვლინებისადმი, დაუნდობლად ებრძოლონ მათ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიუთითა: „კანონიერების განმტკიცება მართო სახელმწიფო აპარატის ამოცანა როდია. პარტიული ორგანიზაციები, პროფკავშირები, კომკავშირი მოვალენი არიან ყველაფერი იღონონ, რათა უზრუნველყონ კანონების უმკაცრესად დაცვა, გააუმჯობესონ მშრომელთა სამართლებრივი აღზრდა. სამართლის, კანონის პატივისცემა თვითოეული ადამიანის პირადი მრწამსი უნდა გახდეს. ეს მით უმეტეს ეხება თანამდებობის პირთა საქმიანობას. კანონის დარღვევის თუ მისთვის გვერდის ავლის ვერავითარ ცდებს, როგორც უნდა ასახულებდნენ მათ, ვერ შევურიგდებით. ვერ შევურიგდებით ვერც პიროვნების უფლებათა დარღვევას, მოქალაქეთა ღირსების შელახვას. ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, ყველაზე ჭეშმანური იდეალების მომხრეებისათვის, ეს პრინციპის საქმიანაა.“

ჯერ კიდევ სკკპ XXIII ყრილობამ მიუთითა იმის აუცილებლობაზე, რომ განუწყვეტლივ მტკიცდებოდეს დისციპლინა და ორგანიზებულობა პარტიისა და სახელმწიფოს ყველა რგოლში. ამ ამოცანის გადაწყვეტის გარდუვალი პირობაა ზრუნვა კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვისა და გაძლიერებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში XXIV ყრილობაზე მაღალი შეფასება მიეცა მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოების მუშაობას. ამასთან ყრილობამ მოითხოვა, რომ ამ ორგანოებმა კიდევ უფრო გააუმჯობესონ თავიანთი საქმიანობა სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობაზე აღინიშნა, რომ კვლავ რჩება სერიოზულ ამოცანად დამნაშავეობასთან ბრძოლა, ამასთან კანონით გათვალისწინებულ სასჯელის ღონისძიებათა გამოყენებასთან ერთად სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მუშაობას სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკის ხაზით.

რესპუბლიკაში მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცებისათვის დიდ ყურადღებასა და ზრუნვას იჩენს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად მრავალ ქმედით ღონისძიებას ახორციელებს. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის 27 ივლისის დადგენილებას, რომელმაც მძლავრი ბიძგი



მისცა რესპუბლიკაში დანაშაულთა პროფილაქტიკისათვის მუშაობის ძირეულ გარდაქმნას და რომლის შესასრულებლად ცენტრალური კომიტეტი რაზმავს არა მარტო ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლს, არამედ პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მშრომელთა კოლექტივებს, მთელ საზოგადოებრიობას.

იმ მუშაობის შედეგად, რომელიც პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით განხორციელდა, 1971 წელს დანაშაულთა საერთო რიცხვი რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად შემცირდა (10,4 პროცენტით) და ეს ტენდენცია შენარჩუნებულია მიმდინარე წელსაც.

ამასთან არ შეიძლება არცერთი წუთით დავივიწყოთ, რომ დამნაშავეობასთან ბრძოლა მოითხოვს მთელი ჩვენი ძალების დაძაბვას, ამ ბრძოლის გაძლიერება, მისი სწორი ორგანიზაცია კვლავ სერიოზულ ამოცანად რჩება.

პროკურატურის ორგანოებმა უფრო ფართო ფრონტით უნდა გამაღონ მუშაობა სოციალისტური საკუთრების — ჩვენი სამშობლოს ძლიერების ეკონომიური საფუძვლის — ხელუხლებლობისათვის, უზრუნველყონ კანონის შესაბამისად სახალხო დოვლათის ბოროტ დამტაცებელთა მკაცრი დასჯა, მიაღწიონ სახელმწიფოსათვის მიყენებული მატერიალური ზარალის სრულ ანაზღაურებას.

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაძლიერდა ბრძოლა წარსულის სამარცხვინო გადმონაშთის — მექრთამეობის წინააღმდეგ. მხილებულია მექრთამეთა არაერთი ჯგუფი და რაც მთავარია, ამ საქმეში სულ უფრო და უფრო აქტიურად ებმებიან მშრომელები, მოქალაქენი.

ამასთან უნდა ითქვას, რომ გამტაცებელთა, მექრთამეთა, მუქთაზორათა, სპეკულანტთა და წუნის მკეთებელთა წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ ორგანიზებული ქ. თბილისში, რის შესახებაც სავსებით სამართლიანად იყო ხაზგასმული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინათ მიღებულ დადგენილებაში „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

როგორც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიუთითა, ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებებს მეტნაკლებად გხვდებით რესპუბლიკის თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონში.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს უყარათობასთან, საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევებთან და ანგარიშგებაში მიწერებსა და წამატებებთან ბრძოლას.

რესპუბლიკაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დანაშაულია ხულიგნობა, რომლის ნიადაგზე ხშირად მძიმე ბოროტმოქმედება ხდება. როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა ხულიგნებთან, უქნარებთან და ქურდბაცაცებთან ბრძოლაში ყოველგვარი სენტიმენტალობა უდიდესი დანაშაულია სოციალიზმის წინაშე.

პროკურატურის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ბრძოლა მოზარდთა დამნაშავეობასთან. პროკურატურამ ყურადღების ცენტრი უნდა გადაიტანოს არასრულწლოვანთა დანაშაულობათა და სხვა სამართალდარღვევათა აღრეულ პროფილაქტიკაზე.

ვ. ი. ლენინი არაერთხელ მიუთითებდა, თუ რა დიდ აღმზრდელობით როლს ასრულებს კანონიერებისათვის ბრძოლის საქმეში სხსამართლო პროცესი, რო-





მელიც გამაფრთხილებელ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოების მერყევე, უღისციპლინო წევრებზე. კარგად ორგანიზებული და მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩატარებული ყველა სასამართლო პროცესიდან შეიძლება და უნდა იქნას გამოტანილი საზოგადოებრივი მორალისა და პრაქტიკული პოლიტიკის გაკვეთილები. ეს ავალებს პროკურატურას სასამართლოების გამსვლელ სესიებზე უზრუნველპყოს კარგად ორგანიზებული სახელმწიფო ბრალდება, ასეთი პროცესები ის ტრიბუნაა, საიდანაც წარმოებს სამართლებრივი პროპაგანდა, მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდა.

პარტია გვასწავლის, რომ მოქალაქეთა წერილები წარმოადგენს ხალხთან კავშირის განმტკიცების და გაფართოების უმნიშვნელოვანეს ფორმას, სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში მოსახლეობის მონაწილეობის, საზოგადოებრივი აზრის გამოხატვის საშუალებას, ცხოვრების მაჯისცემის შესახებ ინფორმაციის წყაროს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულებამ საკანონმდებლო ვით განამტკიცა მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი.

პროკურატურის ორგანოების მოვალეობაა განახორციელონ ზედამხედველობა მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის დროს კანონის ზუსტ და განუხრელ შესრულებაზე.

სოციალისტური კანონიერების და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, დანაშაულთა თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის ამოცანები პროკურატურისაგან მოითხოვს განამტკიცონ კავშირი სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, პროკურატურამ უნდა უზრუნველპყოს დამნაშავეობასთან ბრძოლაში თავიანთი ღონისძიებების კოორდინირება იუსტიციისა და შინაგან საქმეთა ორგანოებთან.

პროკურატორების სამსახურებრივი და პროფესიული მოვალეობაა გასწიონ საბჭოთა კანონების პროპაგანდა, აამაღლონ კანონის ავტორიტეტი, აღზარდონ მოსახლეობა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, კანონებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ვასილ პავლეს ძე მჟავანაძის მითითება, რომ „საბჭოთა ადამიანის ახალი სახე, მისი კომუნისტური მორალი და მსოფლმხედველობა მტკიცდება წარსულის გადმონაშთებთან მუდმივ, უკომპრომისო ბრძოლაში“.

პარტიამ და ხელისუფლებამ უკანასკნელ ხანს მრავალი ღონისძიება განახორციელა ადმინისტრაციული ორგანოების, კერძოდ პროკურატურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის, პროკურატურის მუშაკების მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

ჩვენი ვალია პარტიისა და ხელისუფლების ამ დიდ ზრუნვას ვუპასუხოთ მგზნებარე, თავდადებული შრომით.

საბჭოთა პროკურატურის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე აღინიშნება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის მზადების ვითარებაში.

პროკურატურის ორგანოების მუშაკები არ დაიშურებენ ღონეს, ცოდნას, ძალასა და ენერგიას, რათა წარმატებით შეასრულონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი და ღირსეულად შეხედნენ ერთიანი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს.





## დასვის ინსტიტუტის შექმნის სპეციალური სპეციალური

ზ. რაბინანი,

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე

საბჭოთა ადვოკატურას არსებობის ორმოცდაათი წელი შეუსრულდა. ეს თარიღი აღინიშნება იმ ვითარებაში, როდესაც სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული საბჭოთა ხალხი დიდი პოლიტიკური და სამეურნეო წარმატებებით ეგებება სსრ კავშირის შექმნის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

პარტიის XXIV ყრილობამ კიდევ ერთხელ მთელი სისრულით გაუსვა ხაზი სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების აუცილებლობას და დასახა დამნაშავეობასთან ბრძოლის სრულყოფის გზები.

ხელმძღვანელობს რა ყრილობის გადაწყვეტილებებით ადვოკატთა კორპორაციას ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად თავისი წვლილი შეაქვს სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა კანონიერი უფლებების დაცვის, მასებში იურიდიული ცოდნის პროპაგანდის, სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

საბჭოთა ადვოკატურის განვითარების გზა ამასთანავე საბჭოთა მართლმსაჯულების განვითარების გზაც არის. სოციალისტური საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე საბჭოთა სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მართლმსაჯულების ორგანოების საქმიანობაში მოქალაქეთა კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვის უზრუნველყოფას. მნიშვნელოვანი იყო ამ საქმეში ადვოკატურის როლი.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების მოსპობასთან ერთად ძირფესვიანად დაამსხვრია ძველი სახელმწიფოებრივი მანქანა მთელი თავისი ინსტიტუტებით. ლიკვიდირებულ იქნა ბურჟუაზიული პროკურატურა და სასამართლო, რომლებიც ექსპლუატირებულთა დაუნდობელი დათრგუნვის იარაღს წარმოადგენდნენ.

მეფის დროინდელი ადვოკატურა — ექსპლოატატორული საზოგადოების ეს ზედნაშენური ინსტიტუტი — იმავე კლასობრივ ინტერესებს ემსახურებოდა, რასაც სასამართლო და სხვა მისი ანალოგიური დაწესებულებანი. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლებამ 1917 წლის 22 ნოემბერს სასამართლოს შესახებ მიღებული პირველივე დეკრეტით გააუქმა ადვოკატურის ინსტიტუტი. ვ. ი. ლენინი შრომაში „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნისმში“ წერდა: „ჩვენ დავანგრეთ რუსეთში, და სწორადაც გავაკეთეთ, რომ დავანგრეთ, ბურჟუაზიული ადვოკატურა“<sup>1</sup>.

მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა დაცვის ინსტიტუტის ლიკვიდაციას, საბჭოთა მართლმსაჯულების სისტემიდან დაცვის ცნების საერთოდ ამოკლებას. პირიქით, ზემოაღნიშნულმა დეკრეტმა ადვოკატურის გაუქმებისთანავე გაითვალისწინა, რომ ორივე სქესის ყველა შეუბღალველ მოქალაქეს,

1 ვ. ი. ლენინი. თხზ., მე-4 გამოც., ტ. 31, გვ. 128.



რომელიც სარგებლობდა მოქალაქის უფლებით, უფლება ჰქონდა შეესრულებინა დამცველის მოვალეობა სისხლის სამართლის საქმეებში და გაეწია წარმომადგენლობა სამოქალაქო საქმეებში.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველი დღეებიდანვე აღიარებულ იქნა სასამართლო დაცვის უფლება. შემდგომი ხუთი წელი კი — ეს იყო სასამართლო დაცვის სისტემის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის პერიოდი.

დაცვის ინსტიტუტის სრულყოფის საკითხებს დიდ ყურადღებას უთმობდა საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი ვ. ი. ლენინი. ასე მაგალითად, „სასამართლოს შესახებ“ მეორე დეკრეტის პროექტში ვ. ი. ლენინმა არსებითი შესწორებები შეიტანა იმ მუხლებში, რომლებიც სამართალდამცველთა კოლეგიებს ეხებოდა. ხსენებულმა დეკრეტმა დაცვის ფუნქციის განხორციელება დააკისრა სამართალდამცველთა კოლეგიას.

1918 წლის 30 ნოემბრის დებულებაში სახალხო სასამართლოს შესახებ ნათქვამია, რომ სასამართლოსათვის ხელის შეწყობის მიზნით ყველა იმ გარემოების სრულად გასაშუქებლად, რომლებიც ბრალდებულის ან მხარეთა ინტერესებს შეეხებოდა, მუშათა და გლეხთა დებუტატების საბჭოების სამაზრო და საგუბერნიო აღმასკომებთან წესდება დამცველთა კოლეგიები, რომელთა წევრები აირჩევიან აღმასკომების მიერ.

1920 წლის 21 ოქტომბერს სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა მიიღო ახალი დებულება სახალხო სასამართლოს შესახებ. ამ აქტით სასამართლო დაცვა ეწყობოდა იუსტიციის განყოფილებებთან შრომითი ვალდებულების საწყისებზე. დამცველებად დაიშვებოდნენ მოქალაქენი, რომლებსაც თავიანთი პროფესიით, განათლებით, პარტიულობით თუ სამსახურებრივი გამოცდილებით უნარი შესწევდათ შეესრულებინათ დამცველის მოვალეობა.

საბჭოთა ადვოკატურა თავისი არსებობის ისტორიას ითვლის 1922 წლის 26 მაისიდან, როდესაც სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის IX მოწვევის მესამე სესიამ მიიღო დებულება ადვოკატურის შესახებ. ამ აქტით განისაზღვრა ადვოკატურის ადგილი და როლი საბჭოთა იუსტიციის სისტემაში, მისი ფუნქციები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებშივე მიღებულ იქნა არაერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტი, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ საქართველოში სოციალიზმის მშენებლობისათვის, ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი განმტკიცებისათვის, მისი იურისდიქციის ჩამოყალიბებისა და სრულყოფისათვის. მათ შორის აღსანიშნავია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 7 აპრილის დადგენილება, რომლითაც გაუქმდა საქართველოს ნაფიც ვეჭილთა ინსტიტუტი. 1922 წლის 2 ნოემბერს სრულიად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი „სასამართლოში საქმეების დამცველთა შესახებ“, რომლის საფუძველზე საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის დებულება, რომელმაც განსაზღვრა დამცველთა კოლეგიის წევრის უფლება-მოვალეობა.



შემდგომ, 1932 წლის 27 თებერვალს, მიღებულ იქნა ახალი დებულება ადვოკატურის შესახებ.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1936 წელს მიღებულ საბჭოთა კონსტიტუციას, რომელმაც საკანონმდებლო გზით განამტკიცა დაცვის უფლება. ამ მომენტიდან ადვოკატურის წინაშე ახალი ამოცანები დაისახა, დადგინდა მისი საქმიანობისა და ორგანიზაციული წყობის ძირითადი პრინციპები, რომლებიც აისახა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1939 წლის 16 აგვისტოს დამტკიცებულ დებულებაში ადვოკატურის შესახებ.

საბჭოთა ქვეყანაში პიროვნების ინტერესების დაცვა ყოველთვის იყო და რჩება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანად. ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობს ადვოკატურა — საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს მოქალაქეთა, წარმოება-დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა და ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, მართლმსაჯულების განხორციელებასა და საბჭოთა სამართლის პროპაგანდას.

საყოველთაოდ ცნობილია ვ. ი. ლენინის სიტყვები იურიდიული დახმარების მნიშვნელობის შესახებ. მოქალაქე ლავრენტიევას საჩივართან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი 1922 წლის 31 აგვისტოს პროფესორ ვ. ვ. აღორატსკის სწერდა: „მთელი დახმარება, რომელიც თქვენ შეგიძლიათ აღმოუჩინოთ მთხოვნელებს, უნდა გამოიხატებოდეს მათდამი „იურიდიულ“ დახმარებაში, ე. ი. ასწავლოთ მათ (და დაეხმაროთ მათ) ი ბ რ ძ ო ლ ო ნ თ ა ვ ი ა ნ თ ი უ ფ ლ ე ბ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს რ ს ფ ს რ კ ა ნ ო ნ ე ბ ი თ გათვალისწინებული ბ რ ძ ო ლ ო ნ ს ყველა წესით“<sup>2</sup>. ვ. ი. ლენინის ეს მითითება მუდამ იყო საადვოკატო საქმიანობის საფუძველი.

მოქალაქეებისათვის კონსტიტუციით მინიჭებული დაცვის უფლების განხორციელებაში ადვოკატის მონაწილეობა გარანტირებულია საპროცესო კანონმდებლობით და საბჭოთა მართლმსაჯულების მთელი კომპლექსით.

ჩვენმა საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკამ არაერთი ნიმუში იცის იმისა, თუ რა დიდი როლი შეასრულა ადვოკატის ენერგიულმა მონაწილეობამ ამა თუ იმ სასამართლო საქმის განხილვისას ჭეშმარიტების დადგენაში, თუ რა ბევრი რთული იურიდიული კაზუსის სწორად გადაწყვეტას შეუწყო ხელი ადვოკატის პრინციპულმა აზრმა.

ადვოკატთა კოლეგიის წევრებს თავიანთ მუშაობაში მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ კანონიერების სწორად განხორციელების საქმეში, რასაც ისინი აღწევენ საქმეების განხილვისას დაცვითი პოზიციის სწორად გამომუშავებითა და კანონის ზუსტი მომარჯვებით.

ადვოკატი მოვალეა კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალების და ხერხის გამოყენებით დაეხმაროს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს საქმის განხილვისას ჭეშმარიტების დადგენაში, დაიცვას მოქალაქეთა, წარმოება-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა უფლებები და კანონიერი ინტერესები, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა სამართლის პროპაგანდასა და მოქალაქეთა სამართლებრივ აღზრდაში, დახმარება გაუწიოს ამხანაგურ სასამართლოებსა და ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულებს.

<sup>2</sup> В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 53, стр. 149.





საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიები თავისი შემადგენლობით მრავალეროვანია და აერთიანებენ 630 ადვოკატს, რომელთა შორის 164 ქალია.

ამ კოლეგიების შემადგენლობის ნახევარზე მეტი სკკპ წევრია, რაც კიდევ უფრო ამაღლებს და ზრდის მათ ავტორიტეტსა და პასუხისმგებლობას. კოლეგიები დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. მათ შორის სამი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატია, ერთი — ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, რვა — ჟურნალისტთა კავშირის წევრი, ერთი — მწერალთა კავშირის წევრი.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და რესპუბლიკის მთავრობამ დიდად შეაფასეს მრავალი ჩვენი ადვოკატის მოღვაწეობა. რესპუბლიკის დამსახურებული იურისტის წოდება მიენიჭათ: მიხეილ ალხაზიშვილს, ნიკოლოზ გიგინეიშვილს, ნინო ბარამიძეს, გიორგი თარხნიშვილს, უშანგი კაპანაძეს, მელქისედეგ ცქვიტარიას, სერგო სიხარულიძეს, ნიკოლოზ დავითაიას, გურამ უგრეხელიძეს, გრიგოლ ჟღენტს, იუსუფ ფაღავას, მიხეილ ახუბას, აწ განსვენებულთ აკაკი ჯავახიასა და ივანე სამთელაძეს. საქართველოს დამსახურებული იურისტი ბიძინა ბარათაშვილი სსრ კავშირის ადვოკატთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანი დაჯილდოვდა მთავრობის მაღალი ჯილდო — საპატიო ნიშნის ორდენით.

საბჭოთა ადვოკატურა თავის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს ხვდება მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ კვლავ ენერგიულად და სულ უფრო მაღალ პროფესიულ დონეზე იღვწოდეს პარტიისა და ხელისუფლების მიერ მის წინაშე დასახული მეტად საპასუხისმგებლო და საპატიო ამოცანების განხორციელებისათვის.

განსაკუთრებით გაიზარდა ადვოკატის როლი წინასწარ გამოძიებაში ადვოკატის დაშვების შესახებ კანონის მიღების შემდეგ.

„მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესებისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად საზოგადოებრიობის დარაზმვის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ 1970 წლის 17 ნოემბერს მიღებული დადგენილებით რესპუბლიკის სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად ადვოკატთა კოლეგიას დაევალა მკვეთრად გააუმჯობესოს მასებში იურიდიული ცოდნის პროპაგანდა, ხელი შეუწყოს დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერებას, პროფილაქტიკურ მუშაობას სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად.

ამ ამოცანათა შესასრულებლად საქართველოს ადვოკატურამ უკვე მნიშვნელოვანი საქმიანობა გაწია. 1971 წლის განმავლობაში ადვოკატთა ძალებით ჩატარებულია ათასზე მეტი ლექცია-მოხსენება, რომელსაც 80 ათასი მსმენელი დაესწრო. ლექციები წაკითხულია წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში — 140, სოფლის მოსახლეობისათვის — 450, ამხანაგურ სასამართლოების წევრებთან და სახალხო რაზმელებთან — 220. ლექცია-მოხსენებები ძირითადად ეხებოდნენ კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საკითხებს.

ამავე პერიოდში იურიდიულმა კონსულტაციებმა წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში და სოფლის მოსახლეობისათვის მოაწივეს 280 კითხვა-პასუხის საღამო, რომლებსაც 14 000-მდე მსმენელი დაესწრო.



ნაყოფიერია ადვოკატთა საქმიანობა დანაშაულის თავიდან აცილებისათვის პროფილაქტიკური მუშაობის სფეროში. მარტო 1971 წელს კერძო განჩინების გამოტანის მიზნით — სასამართლოებში ადვოკატების მიერ აღძრულია 70 შეამდგომლობა, რომელთა უმეტესი ნაწილი გაზიარებულა.

ყურადღებას იმსახურებს საქართველოს ადვოკატთა კოლეგიების წევრთა მოღვაწეობა იურიდიული მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის, ჟურნალისტიკის დარგში და პედაგოგიურ ასპარეზზე.

რესპუბლიკის პრესის ფურცლებზე პერიოდულად თავსდება გიორგი თარხნიშვილის, ნიკოლოზ დავითაიას, ვახტანგ სიღამონიძის, ანდრო გელოვანის, გურამ უგრეხელიძის, ნიკოლოზ გიგინეიშვილის, გიორგი ხარატაშვილის, ალექსანდრე ხოჭოლავას, შალვა ტყეშელაშვილის, გრიგოლ შონიას, ალექსანდრე გაბუნიას, ნიკოლოზ კვეციანიშვილისა და სხვა ადვოკატების წერილები.

ცალკე წიგნებად გამოვიდა ნ. დავითაიას, ა. გელოვანის, შ. გვათუას, ნ. კვეციანიშვილის, მ. ნანიკაშვილის საკმაოდ მოზრდილი შრომები სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებზე. თავიანთი მონოგრაფიები, რომანები, პიესები, მოთხრობების კრებულები გამოაქვეყნეს და წიგნებად გამოსცეს ადვოკატებმა: დ. კაკაბაძემ, ი. ფაღავამ, გ. ხარატიშვილმა, ვ. სიღამონიძემ, ლ. გავაშელმა, ა. ლომინაძემ და სხვებმა.

საბჭოთა ადვოკატურის იუბილესთან დაკავშირებით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის დარაზმულობა და სამშობლოსადმი ერთგულება, რაც საქართველოს ადვოკატთა ორგანიზაციამ, მისმა წევრებმა გამოიჩინეს დიდი სამამულო ომის წლებში. სამამულო ომის ფრონტზე თავდადებით იბრძოდა საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის 144 წევრი, რომელთაგან ორდენებითა და მედლებით 79 კაცი დაჯილდოვდა. ბრძოლის ველზე გმირულად დაეცნენ ზაქარია გელიაშვილი, შალვა მულაშვილი, იოსებ აბესალაშვილი, ლეონტი დაკარგულია და სხვები.

საქართველოს ადვოკატურამ სამამულო ომის პერიოდში თავისი წვლილი შეიტანა თავდაცვის ფონდის გაძლიერებაში, რისთვისაც მან უმაღლესი მთავარსარდლის მადლობა დაიმსახურა.

რომ საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის რიგებიდან სამეცნიერო და საზოგადოებრივ ასპარეზზე სამოღვაწეოდ გამოსული არიან ცნობილი პიროვნებები: შალვა ნუცუბიძე, თინათინ წერეთელი, ბესარიონ ქლენტი, ბორის ფურცხვაშიძე, ივანე სურგულაძე, თამარ ცაგურია, ფატი გოკიელი და სხვები.

ადვოკატურის წინაშე დიდი ამოცანები დგას. ეს ამოცანებია, უპირველეს ყოვლისა, სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის აქტიურად ხელის შეწყობა, დანაშაულის თავიდან აცილებისათვის პროფილაქტიკური მუშაობის, მშრომელთა მასების სამართლებრივი აღზრდის ღონისძიებათა გაძლიერება.

საქართველოს ადვოკატურა რესპუბლიკის სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად კვლავ შეასრულებს თავის მოვალეობას საბჭოთა მართლმსაჯულების, სოციალისტური კანონიერების სწორად და განუხრელად განხორციელებისათვის.



## გავაუჯობასოთ სასამართლო გადაწყვეილებათა საკასაციო ნაით გააკოვანავიის საქმა

პ. ცირამუა,

საქართველოს სსრ პროკურატურის სამოქალაქო საქმეთა სასამართლო განხილვაზე  
ზედამხედველობის განყოფილების უფროსის მოადგილე, იუსტიციის უფროსი მრჩეველი

საპროკურორო მუშაობის ერთ-ერთი სერიოზული უბანია სასამართლოში  
სამოქალაქო საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობა, კერძოდ კი სასამართლოს  
უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების საკასაციო წესით. გაპრო-  
ტესტება.

საკითხის შესწავლამ ცხადყო, რომ საპროკურორო მუშაობის ამ უბანზე  
არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ეს იწვევს იმას, რომ მცირეა საკასაციო  
პროტესტების საფუძველზე გაუქმებულ სასამართლო გადაწყვეტილებათა რაო-  
დენობა საკასაციო საჩივრების საფუძველზე გაუქმებულ გადაწყვეტილებებთან  
შედარებით.

პროკურორების მუშაობაში უკანონო და დაუსაბუთებელი სასამართლო  
გადაწყვეტილებებისა და განჩინებების საკასაციო წესით გაპროტესტების ხა-  
ზით შეიმჩნევა შემდეგი ხასიათის დარღვევები და ნაკლოვანებები: ა) არის  
შემთხვევები, როდესაც პროკურორი, მართალია, საქმის განხილვისას სასამართ-  
ლოს აძლევს სწორ დასკვნას, მაგრამ სასამართლო არ იზიარებს პროკურორის  
დასკვნას, პროკურორი კი არ იჩენს სათანადო პრინციპულობას, არ შეაქვს სა-  
კასაციო პროტესტი, ხოლო შემდგომი სასამართლო, როდესაც იხილავს საქმეს  
მხარეთა საკასაციო საჩივრის საფუძველზე, ასწორებს პირველი ინსტანციის  
სასამართლოს მიერ დაშვებულ შეცდომებს; ბ) ზოგ შემთხვევაში თვით პროკუ-  
რორი აძლევს სასამართლოს არასწორ დასკვნას და სასამართლო მას უკრიტი-  
კოდ იზიარებს, რის გამოც გადაწყვეტილების გაუქმება ან შესწორება ხდება  
საკასაციო საჩივრის საფუძველზე; გ) მრავალი საქმე სასამართლოს მიერ  
განხილულია პროკურორის მონაწილეობის გარეშე და გამოტანილია არასწორი  
გადაწყვეტილებები, მაგრამ პროკურორები არ ახდენენ მათ გადასინჯვას საკა-  
საციო ვადაში და არ შეაქვთ საკასაციო პროტესტები; დ) არის შემთხვევები  
არსებითად არასწორი საკასაციო პროტესტების შეტანისა და აგრეთვე კანო-  
ნით გათვალისწინებული პროტესტის ფორმის დაუცველობისა. მოვიყვანოთ  
სათანადო მაგალითები.

ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლომ არ დააკმაყო-  
ფილა მ. ა. ხატელაშვილის სარჩელი ბინიდან პ. ს. ოსიპოვის გამოხახლების  
შესახებ. სასამართლო პროცესის მონაწილე რაიპროკურორის თანაშემწე  
თუმცა თავისი დასკვნით მოითხოვდა სარჩელის დაკმაყოფილებას, მაგრამ მას  
საკასაციო პროტესტი აღარ შეუტანია. გადაწყვეტილება საქართველოს სსრ  
უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გააუქ-



მა მოსარჩელის საკასაციო საჩივრის საფუძველზე და საქმე დაუბრუნდა სახალხო სასამართლოს ხელახლა განსახილველად, ამასთანავე კოლეგიამ კერძო განჩინება გამოიტანა ბინაში პ. ოსიპოვის უკანონოდ ჩაწერასთან დაკავშირებით.

ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს 1970 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით არ იქნა დაკმაყოფილებული № 3529 შემნახველი სალაროს მიმართ ნ. ჩემიას სარჩელი სამუშაოზე მისი აღდგენის შესახებ. სასამართლო პროცესის მონაწილე რაიპროკურორის თანაშემწე მოითხოვდა სარჩელის დაკმაყოფილებას, მაგრამ მას საკასაციო პროტესტი არ შეუტანია. უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ გადაწყვეტილება გააუქმა მოსარჩლის საკასაციო საჩივრის საფუძველზე და საქმე დაუბრუნა სახალხო სასამართლოს ხელახლა განსახილველად, ვინაიდან სახალხო სასამართლოს მიერ დარღვეული იყო საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 და 52-ე მუხლების მოთხვნა. საქმის ხელახლა განხილვისას სახალხო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა და გადაწყვეტილება საკასაციო წესით აღარ გასაჩივრებულა.

ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლომ 1970 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა ქუთაისის რაიონის საბინაო საექსპლოატაციო ნაწილის მიმართ ა. რუსაძის სარჩელი სამუშაოზე მისი აღდგენის შესახებ. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, რომელმაც განიხილა მოპასუხე ორგანიზაციის საკასაციო საჩივარი, 1970 წლის 11 თებერვლის განჩინებით გააუქმა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე წარმოებით მოისპო, რასაც საფუძველად დაედო ის გარემოება, რომ მოსარჩელე ა. რუსაძეს საწყობის გამგედ მუშაობისას ჰყავდა ხელქვეითი მუშაკები — თანაშემწე, საწყობის ბუნჯალტერი, ორი მუშა და შოფერი. ასეთ პირობებში კი, თანახმად შრომის დავათა განხილვის წესის შესახებ მოქმედი დებულების № 1 დანართისა, დავის განხილვა სასამართლოს არ ექვემდებარება.

ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბოლნისის საკონსერვო ქარხნის მიმართ ნ. სვანიძის სარჩელი სამუშაოზე მისი აღდგენის შესახებ. უარყოფითი იყო პროცესის მონაწილე რაიპროკურორის დასკვნაც. უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ, რომელმაც განიხილა საქმე მოსარჩლის საკასაციო საჩივრის საფუძველზე, გააუქმა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნა სახალხო სასამართლოს ხელახლა განსახილველად. საქმის მეორედ განხილვის დროს სახალხო სასამართლომ ნ. სვანიძე აღადგინა სამუშაოზე, ვინაიდან ადმინისტრაციის მიერ დარღვეული იყო პროცესითა საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომის დებულების მე-10 მუხლის მოთხვნა.

ანალოგიური მდგომარეობა იყო კ. მაცაკანოვის სამუშაოზე აღდგენის საქმეზეც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ საქმის გამო სასამართლოს არასწორი დასკვნა მისცა ამავე რაიონის პროკურორის თანაშემწემ.

26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ დააკმაყოფილა რაიალმასკომის სარჩელი ნ. ლუკიანოვის მიმართ ბინიდან მისი გამოსახლების შესახებ. ასეთი იყო პროცესის მონაწილე რაიპროკურორის თანაშემწის დასკვნაც. უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ კი მოპასუხის საკასაციო საჩივრის საფუძველზე გააუქმა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება, ვინაიდან საქმის მასალები არ იძლეოდა საფუძველს სარჩელის დაკმაყოფილებისათვის, და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სახალხო სასამართლოს.





ასევე არასწორი დასკვნა მისცა მცხეთის სახალხო სასამართლოს რაიპროკურორის თანაშემწემ საქენერგომონტაჟის სარჩელის გამო ვ. ნარეჩნიკინის მიმართ ბინიდან მისი გამოსახლების შესახებ, რაც სახალხო სასამართლომ გაიზიარა, მაგრამ გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრის საფუძველზე გააუქმა უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ.

ს. ებრალიძემ სარჩელი აღძრა ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოში თ. კარიჭაშვილის მიმართ მისთვის აღმენტიის დაკისრების შესახებ იმ ბავშვის საზრდოდ, რომელიც დაბადებულია 1969 წელს და რომლის მამადაც თავი იცნო თ. კარიჭაშვილმა, თუმცა მხარეები ქორწინებით რეგისტრაციაში არ იმყოფებიან. მოპასუხემ თანხმობა განაცხადა მოსარჩელისათვის თვეში გადაეხადა 30 მანეთი. რაიპროკურორის თანაშემწემაც პროცესზე მოითხოვა, რომ მოპასუხეს დაკისრებოდა თვეში 30 მანეთის გადახდა. სასამართლომ გაიზიარა ეს მოთხოვნა და მოპასუხეს თვეში 30 მანეთის გადახდა დააკისრა. მოსარჩელის ადვოკატის მიერ შეტანილი საკასაციო საჩივრის შესაბამისად, რომელშიც სწორად არის დამოწმებული სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის საფუძველების მე-16 და მე-17 მუხლები, უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ შეცვალა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და მოპასუხეს დააკისრა ყოველთვიურად გადაეხადა ხელფასის ერთი მეოთხედი ნაცვლად მტკიცე ფულადი თანხისა.

ზოგჯერ პროკურორი ისეთ ორჭოფულ, არაფრისმთქმელ დასკვნას აძლევს სასამართლოს, რომ შეუძლებელია ამ დასკვნის სისწორის გაგება.

ასე მაგალითად, ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პროკურორის თანაშემწემ მ. ტროშინას მიმართ მ. შტონდას სარჩელის გამო საოჯახო ქონებისა და ანაბრის გაყოფის შესახებ სახალხო სასამართლოს მისცა ასეთი დასკვნა: „აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მიმინდვია სასამართლოს შემადგენლობისათვის“. სახალხო სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. მიღებული გადაწყვეტილების გამო საკასაციო საჩივარი შეიტანა ორივე მხარემ. უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ ეს გადაწყვეტილება შეცვალა.

განსაკუთრებით თვალში საცემია ქალაქ გორის პროკურორის, აგრეთვე ბოლნისისა და ახალქალაქის რაიპროკურორების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა სამოქალაქო საქმეთა სასამართლო განხილვისადმი ზედამხედველობის ხაზით. თანახმად უმაღლესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებისა, მხარეთა საკასაციო საჩივრების საფუძველზე შეიცვალა და გაუქმდა ქ. გორის სახალხო სასამართლოს მიერ 1970 წლის პირველ ნახევარში განხილული და საკასაციო წესით გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა 21,9 პროცენტი და ახალქალაქის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ განხილულ გადაწყვეტილებათა 75 პროცენტი, ხოლო ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ განხილული ორი საქმიდან — ორივე. მიუხედავად იმისა, რომ ქ. გორის, ახალქალაქისა და ბოლნისის რაიონებში სასამართლო გადაწყვეტილებათა სტაბილობის დონე ასეთი დაბალია, არც ქ. გორის პროკურორს და არც აღნიშნული რაიონების პროკურორებს არ შეუტანიათ არც ერთი საკასაციო პროტესტი.

ქ. გორის სახალხო სასამართლოს 1970 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ქალაქის აღმასკომის საბინაო სამმართველოს სარჩელო



მ. ნაბიევის მიმართ ბინიდან მისი გამოსახლების შესახებ. საქმე განხილული იყო პროცესზე პროკურორის მონაწილეობის გარეშე. უმაღლეს სასამართლოს კოლეგიამ მოპასუხის საკასაციო საჩივრის საფუძველზე გააუქმა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება სარჩელზე უარის თქმის შესახებ. სარჩელი აღძრული იყო და სასამართლომაც იგი დააკმაყოფილა იმ საფუძველით, რომ თითქოს მოპასუხე და მისი ოჯახის წევრები 6 თვეზე მეტი სადავო ბინაში არ ცხოვრობდნენ და, ამრიგად, მათ ბინაზე უფლება დაკარგეს. მაგრამ, როგორც კოლეგიის განჩინებაშია აღნიშნული, ეს გარემოება არაფრით არ არის დამტკიცებული. გარდა იმისა, რომ პროკურორმა არ მიიღო მონაწილეობა ამ განსაკუთრებული კატეგორიის საქმის განხილვისას, მან საკასაციო ვადაში არ შეამოწმა სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერება.

ახალქალაქის რაიონის სახალხო სასამართლომ 1969 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა რაიკავშირის დამზადების კანტორის მიმართ გ. ტნგოზიანის სარჩელი სამუშაოზე მისი აღდგენის შესახებ. საქმე განხილული იყო პროცესზე პროკურორის მონაწილეობის გარეშე. კოლეგიამ მოსარჩელის საკასაციო საჩივრის საფუძველზე გადაწყვეტილება გააუქმა და საქმე დაუბრუნა სახალხო სასამართლოს, რომელმაც იგი ხელახლა განიხილა 1970 წლის 19 ივნისს, მაგრამ პროკურორს არც ამჯერად მიუღია მონაწილეობა სასამართლო პროცესში.

აბაშის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით არ იქნა დაკმაყოფილებული რაიკოპერატორის სარჩელი რ. ხოშტარას მიმართ, მისთვის 295 მანეთის გადახდევინების შესახებ. კოლეგიამ გააუქმა ეს გადაწყვეტილება მოსარჩელის საკასაციო საჩივრის საფუძველზე და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სახალხო სასამართლოს, ვინაიდან სათანადოდ არ იყო გამოკვლეული მხარეთა უფლება-მოვალეობანი, პროკურორს მონაწილეობა არ მიუღია სახალხო სასამართლოს მიერ ამ საქმის განხილვაში.

ზოგი საკასაციო პროტესტი არ არის შედგენილი სათანადო კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, კერძოდ არ არის დაცული სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 296-ე მუხლით გათვალისწინებული რეკვიზიტები.

არის შემთხვევები, როდესაც საკასაციო პროტესტი შეაქვს ისეთ პირს, რომელსაც კანონით საამისო უფლებამოსილება არა აქვს, კერძოდ, რაიპროკურორის იმ თანაშემწეს, რომელიც სასამართლო პროცესზე არ მონაწილეობდა. ასე მაგალითად, ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროკურორის თანაშემწემ საკასაციო პროტესტი შეიტანა სახალხო სასამართლოს იმ გადაწყვეტილების გამო, რომლითაც ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული ვ. ნადარეიშვილის სარჩელი მ. ფილიევისა და ნ. გონგლაძის მიმართ ბინიდან მათი გამოსახლების შესახებ, თუმცა საქმე სასამართლოს მიერ განხილული იყო პროტესტის შემტანის მონაწილეობის გარეშე. რაიპროკურორის თანაშემწის ეს საკასაციო პროტესტი გამოთხოვილ იქნა საქართველოს სსრ პროკურატურის მიერ როგორც კანონით უფლებამოსილების გარეშე შეტანილი. აღსანიშნავია, რომ ეს საქმე მოპასუხეთა საკასაციო საჩივრის საფუძველზე განიხილა უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ და დააკმაყოფილა მათი თხოვნა ვ. ნადარეიშვილის სარჩელზე უარის თქმის შესახებ. რაიპროკურორის თანაშემწის საკასაციო პროტ-



ტესტიც ამ თვალსაზრისით იყო შედგენილი. ეს პროტესტი რომ უფლებამოსილი პირის, კერძოდ, რაიონის პროკურორის მიერ ყოფილიყო შეტანილი, პროტესტის მოთხოვნა დაკმაყოფილდებოდა.

საკასაციო პროტესტებში იშვიათად არის აღნიშნული საპროცესო ნორმების დარღვევა სასამართლოს მიერ, თუმცა, როგორც ცნობილია, ამ ნორმების დარღვევის გამო საკმაოდ ბევრი გადაწყვეტილება უქმდება როგორც მხარეთა საკასაციო საჩივრებით, ასევე ზედამხედველობის წესით შეტანილი პროტესტებით.

პროკურორების გადაუდებელი და სისხლხორცეული ამოცანაა მკვეთრად გააუმჯობესონ მუშაობა უკანონო და დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებათა საკასაციო წესით გაპროტესტების ხაზით.



## მოქალაქეული საფრთხის წყარო და ზიანის ანაზღაურების ზოგიერთი საკითხი

მ. კიკვიძე

მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული პრობლემა ფართოდ შეუქდება საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში. ამ საკითხის განხილვისას ცივილისტები, ეყრდნობოდნენ რა გარკვეულ სამოქალაქო სამართლებრივ დებულებას, ყურადღებას ამახვილებდნენ მხოლოდ იმ მომენტზე, რომ კანონი პრაქტიკულად გამოყენებულიყო მარტოდენ სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საერთო დებულების გამოკვლევისათვის. ამის გამო არასაკმარისად შეუქდებოდა პრობლემა მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, კერძოდ არაჯეროვნად შეისწავლებოდა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის სპეციფიკური თავისებურებანი.

საჭირო გახდა უპირველეს ყოვლისა ჩამოყალიბებულიყო სრულყოფილი ცნება მომეტებული საფრთხის წყაროს შესახებ. ეს მით უმეტეს აუცილებელი იყო იმიტომ, რომ მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურების პრობლემა უმთავრესად სწორად გადაწყდება, თუ სწორად შევისწავლით საკითხს მომეტებული საფრთხის წყაროს მრავალფეროვან სპეციფიკურ მხარეთა შესახებ. მიუხედავად ამ პრობლემაზე არსებული მრავალი გამოკვლევისა, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი ჯერ კიდევ საჭიროებს სათანადო დამუშავებას, დაზუსტებასა და შევსებას.

იმისათვის, რომ გადაწყდეს მიყენებული ზიანისათვის მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის პასუხისმგებლობის საკითხი, დეტალურად შესწავლილ უნდა იქნას მომეტებული საფრთხის წყაროსათვის დამახასიათებელი სპეციფიკურობა.

ამ ფაქტორის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელი ვალდებულია პასუხი აგოს ზიანისათვის, როგორც ბრალეული მოქმედების (ე. ი. მოქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის), ისე არაბრალეული მოქმედებისათვის. ცხადია, ეს დებულება ძალიან დამახასიათებელია და ამდენად სერიოზულ ყურადღებასაც იმსახურებს, მაგრამ როგორც სავსებით სწორად მიუთითებს პროფ. თ. ა. კრასავჩიკოვი, „მაინც არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს ის, რომ მასში ჩვენ ვხედავდეთ ზიანის ანაზღაურების მთავარ და მაკვალიფიცირებელ თავისებურებას“<sup>1</sup>.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს მომეტებული საფრთხის წყაროსთან დაკავშირებული ყველა პრობლემის გამოკვლევა. ჩვენი ამოცანა უფრო მოკრძალებუ-

<sup>1</sup> О. А. Красавчиков. Возмещение вреда, причиненного источником повышенной опасности. Изд-во «Юридическая литература», 1966, стр. 5.



ლია: ჩამოვყალიბოთ მომეტებული საფრთხის წყაროს ცნების განსაზღვრა, ვუჩვენოთ მისი არსი.

განსაზღვრავენ რა მომეტებული საფრთხის წყაროს ცნებას, სხვადასხვა ავტორები ერთნაირ შეხედულებას არ გამოთქვამენ ამ საკითხზე. ასე, მაგალითად, ცნობილი ცივილისტები, ო. ს. იოფე, მ. მ. აგარკოვი, ვ. გ. ვერდნიკოვი, ვ. ი. სერებროვსკი, ბ. ს. ანტიმონოვი და სხვები ავითარებენ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც მომეტებული საფრთხის წყარო არის სხვადასხვა სახის მოქმედება, რომლითაც ეს საფრთხე წარმოიშობა. ო. ს. იოფე წერს, რომ „მომეტებული საფრთხის წყარო არის გარკვეული სახის მოქმედება“<sup>2</sup>.

დაწვრილებით განიხილავს რა ამ საკითხს, ბ. ს. ანტიმონოვი წერს, რომ „მომეტებული საფრთხის წყარო არის არა მარტო მოძრაობა, მოქმედება, — ეს არის მოქმედების გარკვეული სახე“<sup>3</sup>. ანტიმონოვიმ წინადადება წამოაყენა ხელშეკრულების გარეშე მომეტებული პასუხისმგებლობის შემთხვევათა დაახლოებითი დასახელების შენარჩუნების მიზანშეწონილობის შესახებ. მომეტებული საფრთხის შემთხვევათა დასახელება ამომწურავი უნდა იყოს. ამასთან დაკავშირებით არ არსებობს ტერმინის „მომეტებული საფრთხის“ შენარჩუნების საჭიროება<sup>4</sup>.

ბ. ს. ანტიმონოვის შეხედულებანი გაკრიტიკებულ იქნა ო. ს. იოფეს<sup>5</sup>, კ. კ. იაიჩკოვის<sup>6</sup>, ბ. ბ. ჩერეპახინის<sup>7</sup>, ხოლო შემდეგ ო. ა. კრასავჩიკოვისა<sup>8</sup> და სხვა ცივილისტების ნაშრომებში.

პროფ. ო. ა. კრასავჩიკოვი დაწვრილებით იხილავს რა ზემოდასახელებულ ავტორების ცნებებს მომეტებული საფრთხის წყაროს შესახებ, იძლევა მომეტებული საფრთხის წყაროს ცნების შემდეგნაირ განსაზღვრას: „მომეტებულ საფრთხის წყაროთ სამოქალაქო სამართალში უნდა გვესმოდეს მატერიალური სამყაროს ისეთი საგნები (უპირატესად წარმოების იარაღები და საშუალებები), რომლებიც გამოირჩევიან განსაკუთრებული სპეციფიურობით და ამის გამო მათი მფლობელობა (სარგებლობა, შენახვა, ტრანსპორტირება და ა. შ.) დროისა და სივრცის გარკვეულ პირობებში გარშემომყოფთათვის დაკავშირებულია მომეტებულ საფრთხესთან“<sup>9</sup>.

ეს განსაზღვრა არსებითად განსხვავდება მომეტებული საფრთხის წყაროს ცნების იმ განმარტებიდან, რომლებიც მოცემულია ზემოჩამოთვლილ ავტორთა შრომებში. მასში გარკვევით არის განვითარებული ამ პრობლემის მიმართ მატერიალისტური შეხედულება და ასახავს მომეტებული საფრთხის წყაროს ბუ-

<sup>2</sup> ო. ს. იოფე. Советское гражданское право, курс лекций, ч. II. Отдельные виды обязательств. Изд-во ЛГУ, 1961, стр. 178.

<sup>3</sup> Б. С. Антимонов. Гражданская ответственность за вред, причиненный источником повышенной опасности. Госюриздат, 1952, стр. 71.

<sup>4</sup> Б. С. Антимонов. იხ. ციტ. თხზ., გვ. 100.

<sup>5</sup> ო. ს. იოფე. Ответственность по советскому гражданскому праву. Изд-во ЛГУ. 1955, стр. 185 და შემდ.


<sup>6</sup> К. К. Яйчков. Рецензия на цитируемую книгу Б. С. Антимонова, «Социалистическая законность», 1953 г. № 5, стр. 82.

<sup>7</sup> Б. Черепяхин. Рецензия на цитируемую книгу Б. С. Антимонова, «Советское государство и право», 1953 г. № 6, стр. 181 და შემდ.

<sup>8</sup> ო. ა. Красавчиков. იხ. ციტ. თხზ., გვ. 8 და შემდ.

<sup>9</sup> ო. ა. Красавчиков. იხ. ციტ. თხზ., გვ. 34.





ნებას. მაგრამ ამ განსაზღვრებაშიც გამოხატულებას ვერ პოულობს ყველა აუცილებელი სპეციფიურობა, რომელზეც თვით ო. ა. კრასავჩიკოვმა გაამართლა ყურადღება. თავის ნაშრომში ამ პრობლემის ანალიზის დროს იგი, კერძოდ, აღნიშნავს: „შეიძლება თუ არა კვალიფიცირებულ იქნას როგორც მომეტებული საფრთხის წყარო ისეთი „რამ“, როგორც არის მძინარე ვეფხვი (რომელიც ისვენებს მწვრთნელის გალიაში და მოცემულ მომენტში არ ხდება მისი არც „ექსპლოატირება“ და არც გადაადგილება), ბენზინი, რომელიც იმყოფება საწყობში (რომელიც, ცხადია, არ იხმარება და არც მისი ტრანსპორტირება ხდება)“<sup>10</sup>.

საჭირო იყო განსაზღვრაში კონკრეტული და დამაჯერებელი გამოხატულება ეპოვნა იმ პრინციპულ შეხედულებას, რომელიც ასახავს მომეტებული საფრთხის წყაროს სპეციფიურობას, მის თავისებურებას. აუცილებელი იყო მითითება იმისა, რომ მომეტებული საფრთხის წყარო წარმოადგენს სხვადასხვაგვარ მოძრავ ან უძრავ მატერიალურ საშუალებებს (არა ამომწურავი დასახელებით). გარდა ამისა, განსაზღვრაში ხაზგასმული არ არის, რომ მომეტებული საფრთხის წყაროს შემადგენელი ელემენტები (ე. ი. მატერიალური საწყაროს გარკვეული საგნები, ან მატერიალური საშუალებები), მათთვის დამახასიათებელ თავისებურებათა გამო არსებითად განსხვავდებიან ჩვეულებრივი მატერიალური საგნებისაგან. ამასთანავე საჭირო იყო იმის აღნიშვნაც, რომ მომეტებული წყაროთა საშუალებებს, მიუხედავად იმისა, იმყოფებიან თუ არა ექსპლოატაციის პროცესში, გარკვეულ პირობებში შეიძლება წარმოიშვან რეალური მომეტებული საფრთხის წინაპირობა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მომეტებული საფრთხის წყაროს საერთო ცნება შემდგენაირად უნდა ჩამოყალიბდეს: მომეტებული საფრთხის წყაროა მრავალფეროვანი ორგანული და არაორგანული, თვისობრივი და რაოდენობრივი მდგომარეობით სხვადასხვაგვარი მოძრავი ან უძრავი მატერიალური საშუალებები (წყაროების ამომწურავ დასახელებას არ ვიძლევიტ—ო. კ.), რომლებიც მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ თავისებურებათა გამო არსებითად განსხვავდებიან ჩვეულებრივი მატერიალური საგნებისაგან და, იმის მიუხედავად, იმყოფებიან თუ არა ექსპლოატაციის პროცესში, გარკვეულ პირობებში შეუძლიათ წარმოიშვან მომეტებული საფრთხის რეალური წინაპირობა და გამოიწვიონ ამ საფრთხის შედეგები გარშემომყოფთათვის.

მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულია აგრეთვე სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში მომჭირნების უზრუნველყოფა.

ამ ღონისძიების პრაქტიკულად განხორციელება პირველ რიგში ეკისრება იმ საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის ხელმძღვანელობას, რომელიც პასუხს აგებს სახელმწიფო სახსრების არადანიშნულებისამებრ გახარჯვისათვის.

მოქმედი კანონმდებლობა, კერძოდ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 463-ე მუხლი, სერიოზულ პასუხისმგებლობას აკისრებს მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს მისი ბრალით მიყენებული ზიანისათვის. მიუხედავად ამისა, ასეთ საქმეებს კვლავ განიხილავენ სახალხო სასამართლოები. ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის პრინციპი დიდად არ განსხვავდება ადრე არსებული კანონმდებლობით დადგენილი წესისაგან. საქმეთა გან-

<sup>10</sup> О. А. Красавчиков. *იხ. ციტ. თხზ., გვ. 17.*



ხილვის ეს წესი კი ხელს არ უწყობს იმას, რომ დროულად დაკმაყოფილდეს კანონიერი პრეტენზიები.

ამ საქმეთა სასამართლო პრაქტიკის ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა ეს წესი შეიცვალოს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს იმ საქმეთა განხილვა, რომელიც შეეხება ზიანის ანაზღაურებას, როდესაც მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელია ორგანიზაცია, საწარმო და დაწესებულება და არა კერძო მოქალაქე.

თავისთავად ცხადია, რომ საქმე ეხება მხოლოდ იმ სატრანსპორტო საშუალებებს, რომლებიც უყოყმანოდ მიჩნეული არიან მომეტებული საფრთხის წყაროდ, არიან ამა თუ იმ წარმოება-დაწესებულებათა ოპერატიულ გამგებლობაში და ზიანის მიყენება გამოიწვია მათმა ექსპლოატაციამ. საქმე იმაშია, რომ ასეთი საქმეების სასამართლო წესით განხილვისათვის აუცილებელია დაზარალებულის სასარჩლო განცხადებას თან ერთვოდეს სახალხო სასამართლოს განაჩენის ასლი იმის შესახებ, რომ პიროვნებას, რომელიც მართავდა მომეტებული საფრთხის წყაროს, მსჯავრი დაედო ან სასამართლოს და საგამოძიებო ორგანოების დადგენილება მცირე მნიშვნელობის გამო ან ამნისტიით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ ბრძანება დაშვების ან სხვა დაზიანებისათვის კონკრეტული დამნაშავე პირის მიმართ დისციპლინარული სასჯელის დადების შესახებ და სხვა დოკუმენტები. უამისოდ საქმის განხილვას და დაზარალებულთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას საწარმოსა და დაწესებულებათა ადმინისტრაცია შეუძლებლად თვლის.

იმ მიზნით, რომ გამარტივდეს ამ კატეგორიის საქმეთა გადაწყვეტა აუცილებელი არ არის, რათა საწარმო და დაწესებულების ადმინისტრაცია დაელოდოს სასამართლოს გადაწყვეტილებას დაზარალებულის სასარგებლოდ მათთვის დაკისრებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ. ამ საქმეთა განხილვა ფორმალურ პროცედურას წარმოადგენს. მას „მსჯელობა“ უხდება ისეთ საკითხზე, რომელიც არავითარ დავას არ იწვევს თვით მოპასუხე ორგანიზაციის მხრივ, ვინაიდან მოპასუხე ორგანიზაციის წარმომადგენელი თითქმის ყველა შემთხვევაში ძირითადად მხარს უჭერს ასეთ სარჩელებს.

ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ზიანის ანაზღაურება იმ პირთა სასარგებლოდ, რომლებიც არ იმყოფებიან მოპასუხე ორგანიზაციებთან შრომითს ურთიერთობაში, დაეკისროს მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელ ორგანიზაციათა ადმინისტრაციას, ბრალეულობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ. ცხადია, რომ წარდგენილი დოკუმენტები ისეთივე საფუძვლიან მტკიცებებად უნდა იქნას მიღებული, როგორც ითვლება მაგალითად, ამჟამად აქტი H—1 (უბედური შემთხვევის შესახებ) და პროფკავშირის ტექნიკური ინსპექტორის დასკვნა (ბრალეულობის საკითხის გარკვევის შესახებ).

წარმოებასთან დაკავშირებით მიღებული დაშვებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას, როგორც ცნობილია, აწესრიგებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებულება, რომლის მიხედვით დაზარალებულის განცხადებას ზარალის ანაზღაურების შესახებ განიხილავს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია. ანალოგიური ნორმატიული აქტის მიღება სავარაუდოდ შეუწყობდა ხელს იმას, რომ დაზარალებულმა პირებმა ანაზღაურონ ზიანი პირდაპირ საწარმო-დაწესებულებათა ადმინისტრაციის მეშვეობით. ეს განტვირთავდა სახალხო სასამართლებსაც. ამ ფუნქციის შესრულებას კი ყოველმხრივ გაართმევს თავს საწარმო-



დაწესებულებათა ადმინისტრაცია. წარმოდგენა რომ ვიქონიოთ სასამართლოს წესით საქმეთა განხილვაში გარკვეული ცვლილებების შეტანის აუცილებლობაზე, მოვიყვანთ კონკრეტულ მაგალითებს სასამართლოს პრაქტიკიდან.

მოქ. დ. ზ. ხუბულურმა სარჩელი აღძრა ქ. თბილისის 1-ლი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოში გურჯაანის ავტოსატრანსპორტო კანტორასთან ზიანის ანაზღაურების შესახებ. თავისი სასარჩელო მოთხოვნის დასასაბუთებლად მოსარჩელემ წარადგინა სასამართლოს განაჩენის ასლი ავტომანქანის მძღოლ გ. გ. კუპრაშვილის მსჯავრდების შესახებ მოძრაობის წესების დარღვევისათვის, რამაც განაპირობა ავტოავარია, სასამართლო-სამედიცინო შემოწმების აქტი სხეულის დაზიანებასთან დაკავშირებით პროფესიული და საერთო შრომის უნარის დაკარგვის შესახებ, ცნობა მეორე ჯგუფის ინვალიდად ცნობისა და პენსიის დანიშვნის შესახებ.


სახალხო სასამართლომ დააკმაყოფილა ხუბულურის სარჩელი მთლიანად და დააკისრა მოპასუხე ორგანიზაციას მოსარჩელეს სასარგებლოდ ერთდროულად 780 მანეთი და 66 კაპიკი, ხოლო სასამართლო-სამედიცინო შემოწმების აქტის დასკვნის თანახმად 1962 წლის 1 სექტემბრიდან ყოველთვიურად ხელფასსა და დანიშნულ პენსიას შორის განსხვავება გადამოწმების ვადამდე, ე. ი. 1963 წლის 23 იანვრამდე, 79 მანეთი. გარდა ამისა, მოპასუხესვე დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება 6 პროცენტის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 70 მანეთი და საქმის წარმოების ხარჯები 30 მანეთი<sup>12</sup>. იმასთან დაკავშირებით, რომ წარმოდგენილი სასამართლო-სამედიცინო საექსპერტო კომისიის დასკვნით მოსარჩელე ხუბულური ყოველწლიურად საჭიროებდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გადამოწმებას, იგი კიდევ სამჯერ (ყოველი წლის ბოლოს) იქნა გატარებული საექიმო კომისიაში, რის გამოც იმავე სახალხო სასამართლოს მიერ კიდევ სამჯერ იქნა განხილული ხუბულურის საქმე (სარჩელი) მიყენებული ზიანის ანაზღაურების გაგრძელების შესახებ და სამჯერვე კვლავ დააკმაყოფილა მისი სარჩელი. მოპასუხე ორგანიზაციას დაეკისრა მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება (სხვაობა პენსიასა და ხელფასს შორის) ერთდროულად და ყოველთვიურად 321 მან. და 75 კაპ., მოპასუხესვე დაეკისრა საქმის წარმოების ხარჯები 80 მანეთი და სახელმწიფო ბაჟი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 189 მან. 19 კაპ.

ამრიგად, მართო ერთ საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა 4 გადაწყვეტილება. მოპასუხე ორგანიზაციამ, გარდა უშუალოდ მიყენებული ზარალის ანაზღაურებისა, განიცადა დამატებითი ზარალი იმ თანხების გახარჯვით, რომლებიც დაკავშირებულია სასამართლოში დაზარალებულ პირთა საქმეების წარმოებასთან და სახელმწიფო ბაჟის გადახდევინებასთან. ამან შეადგინა 369 მანეთი. ცხადია, რომ ზარალი ამ ნაწილში შემდგომში კიდევ უფრო გაიზრდება იმისდა მიხედვით, თუ როდის დადგება დაზარალებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ხელახალი გადამოწმების დრო.

ამრიგად, სავსებით გასაგები ხდება, თუ რაოდენ მნიშვნელოვან ზარალს განიცდის საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია ამ საქმეების სასამართლოში განხილვის დროს. მათ უნდა მიეცეთ უფლება, რომ ადვილზე უშუალოდ

<sup>11</sup> ქ. თბილისის 1 მაისის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი. საქმე № 2/1003—62 წ.





განხილონ დაზარალებულთა განცხადებები და აუნაზღაურონ მიყენებულმა ზიანი, გარდა იმ ცალკეული შემთხვევებისა, როდესაც ზიანის ანაზღაურება პრინციპულ დავას იწვევს სამოქალაქო სამართლებრივი თვალსაზრისით. ზარალის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას საწარმო-დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა იხელმძღვანელოს სათანადო ინსტრუქციით, რომელიც თან უნდა დაერთოს მისაღებ ნორმატიულ აქტს.

მომეტებული საფრთხის წყაროს ცნების განსაზღვრა, რომელიც ჩამოყალიბებულია მოცემულ სტატიაში, ხელს შეუწყობს სასამართლო-პროკურატურის ორგანოებს და საწარმო-დაწესებულებათა ადმინისტრაციას მიყენებული ზიანის ანაზღაურების სწორად გადაწყვეტაში. ხოლო იმ საკითხის დადებითად გადაწყვეტა, რომელიც შეეხება მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეთა განხილვის დღემდე არსებული წესის გადასინჯვას, იგი უზრუნველყოფს მომჭირნეობის რეჟიმის დაცვას საწარმოებსა და ორგანიზაციებში და დავის გაუჭიანურებლად გადაწყვეტას.



# სრულყოფილი კანონმდებლობა საზოგადოებრივი ზემოქმედების განხორციელების მიზნით პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან განთავისუფლების შესახებ\*

მ. ჟურღაძე

სოციალისტურ საზოგადოებაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა საერთო-საყოველთაო საქმედ იქცა. როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე ჩვენს რესპუბლიკაში დანაშაულებრივი გამოვლინებანი მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ მისი ხვედრითი წონა მაინც საგრძნობია. დანაშაულის საბოლოო ლიკვიდაცია ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწორად წარმოებს პროფილაქტიკური მუშაობა, როგორ სწავლობენ დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს, სახავენ თუ არა ღონისძიებებს მათი აღკვეთისათვის, აბამენ თუ არა საზოგადოებრიობას დამნაშავეობასთან ბრძოლაში.

საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა აწესრიგებს იმას, თუ როგორ განხორციელდეს საზოგადოებრიობის ჩაბმა დანაშაულის გამომქდავენების საქმეში.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ გამომძიებელმა ფართოდ გამოიყენოს საზოგადოებრიობის დახმარება დანაშაულის გასახსნელად და მისი ჩამდენი პირების დასაძებნად, აგრეთვე დანაშაულის ხელისშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოსავლინებლად და თავიდან ასაცილებლად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1970 წელს განიხილეს პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი და საჭიროდ მიიჩნიეს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ამ ორგანოებმა მეტი კონტაქტი იქონიონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან<sup>1</sup>.

სწორად შენიშნავს ბ. ა. გალკინი, რომ დღეისათვის შეუძლებელია სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, თუ მასში რაიმე ფორმით არ მონაწილეობენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ეს მონაწილეობა შეიძლება გამოიხატოს დანაშაულის ჩადენის შეტყობინებაში, დამნაშავეის გამომქდავენებასა და დაკავებაში, თავდებობაში<sup>2</sup>.

საზოგადოებრიობის როლის ასეთმა ამალეობამ თავისებური გამოხატულება პოვა წინასწარი გამოძიების სტადიაშივე, ზოგიერთი კატეგორიის საქმეთა შეწყვეტით და დამნაშავეის გადაცემით საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის, რათა ამ უკანასკნელს ეზრუნა მის გამოსასწორებლად საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალებით.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან დამნაშავეის განთავისუფლება

\* იბეჭდება განხილვის წესით.

<sup>1</sup> ვაჭეთი „კომუნისტი“, 1970 წლის 2 სექტემბერი.

<sup>2</sup> Б. А. Галькин. Советский уголовно-процессуальный закон. М., 1962, стр. 240.



მასზე საზოგადოებრივი ზემოქმედების მოხდენის მიზნით — ეს ჩვენს მდებლობის ახალი ინსტიტუტია. საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების დღევანდელი დონე იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ცალკეული პირების გამო-სასწორებლად სახელმწიფოებრივი იძულების ნაცვლად გამოყენებულ იქნეს საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალებები. ამასთან ეს უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ იძულებისა და ზემოქმედების საშუალებები ერთმანეთს ავსებდნენ და უფრო მეტ ეფექტს იძლეოდნენ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1961 წლის 19 ივნისისა და 1962 წლის 3 დეკემბრის დადგენილებებში ხაზგასმულია, რომ სისხლის სამართლის სასჯელისა და საზოგადოების აღმზრდელობითი ზემოქმედების ღონისძიებათა სწორი, გონივრული შეხამება აუცილებელია დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სწორი ორგანიზაციისათვის<sup>3</sup>.

სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 მუხლებით არებითად განსხვავდებიან ამავე კოდექსის მე-5 მუხლით საქმეთა შეწყვეტის საფუძვლებისაგან. ეს განსხვავება ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ მე-5 მუხლით გათვალისწინებულ გარემოებათა დადგენისას სისხლის სამართლის საქმის წარმოება გამოირიცხებოდა, ე. ი. საქმე უნდა შეწყდეს წარმოებით ან საერთოდ არ აღიძრას, ხოლო მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლების დროს საქმის შეწყვეტა მოკვლევის, გამომძიებლისა და პროკურორისათვის მინიჭებულ უფლებათა განხორციელებაზეა დამოკიდებული.

ეს ნორმა, ე. ი. წინასწარი გამოძიების სტადიაში ბრალდებულის მიმართ საზოგადოებრივ ღონისძიებათა გატარება, არ იყო გათვალისწინებული არც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებით და არც სასამართლო წარმოების საფუძვლებით. იგი შემუშავეს მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო ორგანოებმა, რომლებმაც ამ გზით დააკონკრეტეს სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების საერთო პრინციპები და ჩამოაყალიბეს სრულიად ახალი ინსტიტუტი.

იურიდიულ ლიტერატურაში სათანადო გამოხმაურება პოვა როგორც თვით ამ ფაქტმა, ისე მისი გამოყენებისა და შედეგის განმარტებამ.

მეცნიერთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ დამნაშავე პირის საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის გადაცემით შემუშავდა სისხლის სამართლის სასჯელის ახალი სახე. მაგალითად, ი. პერლოვის აზრით, დამნაშავეს თავდებქვეშ გადაცემა უნდა განვიხილოთ როგორც სისხლის სამართლის სასჯელის ახალი სახე<sup>4</sup>.

დამნაშავე პირის თავდებქვეშ გადაცემა რომ სასჯელის ახალი სახე არ არის, ეს იქიდანაც ჩანს, რომ „საფუძვლების“ მე-10 და საქართველოს სსრ სსს კოდექსის მე-12 მუხლებში პირდაპირ არის აღნიშნული: თუ სასამართლო დაინახავს, რომ ის პირი, ვინც თვრამეტი წლის ასაკამდე ჩაიღინა დანაშაული, რომელიც დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ შეიცავს და შეიძლება სისხლის

<sup>3</sup> Бюллетень Верховного суда СССР, 1961, № 4, стр. 1 — 2; Бюллетень Верховного суда СССР, 1962, № 3, стр. 21 — 25; Бюллетень Верховного суда СССР, 1962, № 6, стр. 6 — 9.

<sup>4</sup> И. Д. Перлов. Отдача на поруки, журн. «Советская юстиция», 1959, № 9, стр. 24.



სამართლის სასჯელის გამოუყენებლად გამოსწორდეს, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებანი, რაც სისხლის სამართლის სასჯელს არ წარმოადგენს (ხაზგასმა ჩვენია — მ. ქ.).

საზოგადოებრივ ორგანიზაციას დამნაშავე პირი თავდებქვეშ გადაეცემა სწორედ ხელახალი აღზრდისა და გამოსწორებისათვის საზოგადოებრივი ზემოქმედების მოსახდენად და ამიტომ დაუსაბუთებელია შეხედულება, თითქოს იგი სისხლის სამართლის სასჯელის ახალი სახეა. ასეთი პირი საზოგადოებას სწორედ იმიტომ გადაეცემა, რომ მის მიმართ არ არის საჭირო სისხლის სამართლის სასჯელის გამოყენება. ამასთან დაკავშირებით სამართლიანად შენიშნა ლ. სმირნოვმა, რომ თავდებში გადაცემის ჩათვლა სისხლის სამართლის სასჯელის ზომად მოასწავებს საზოგადოებრივი ზემოქმედების ამ ღონისძიების თვით არსის დამახინჯებას<sup>5</sup>.

ზემო ნათქვამის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ: საქმის შეწყვეტა დამნაშავე პირის მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა გამოყენების მიზნით გულისხმობს, რომ ამ პირს სისხლის სამართლის სასჯელი არ შეუარდება.

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის ამაღლებისა და დამნაშავე პირთა მიმართ საზოგადოებრივი ღონისძიებათა გამოყენების მიზნით საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებით მოწესრიგებულ იქნა სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისა და დამნაშავე პირების მშრომელთა კოლექტივებისათვის თავდებქვეშ გადაცემის საკითხი. კერძოდ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლები ითვალისწინებენ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტასა და მის ამხანაგურ სასამართლოსათვის გადაცემას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლი კი აწესრიგებს საქმის შეწყვეტას და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიაზე მის გადაცემას. კანონმდებელმა სპეციალურად გაითვალისწინა არასრულწლოვანთა საქმეების გამოძიების სპეციფიკურობა, აგრეთვე არასრულწლოვანი დამნაშავეის თავისებური ბუნება და შესაძლოდ ცნო, რომ, თუ ასეთი პირის მიერ ჩადენილი დანაშაული არ არის საზოგადოებრივად დიდი მნიშვნელობისა, საქმე მის მიმართ წარმოებით შეწყდეს და გადაეცეს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას.

არასრულწლოვანი დამნაშავეის მიმართ საქმე შეიძლება შეწყდეს როგორც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლის საფუძველზე. ისე ამავე კოდექსის მე-9 მუხლითაც. ეს მუხლი ითვალისწინებს საქმის შეწყვეტას დამნაშავე პირის თავდებქვეშ გადაცემით. ყოველ კონკრეტულ საქმეზე წინასწარი გამოძიების დროს სათანადოდ უნდა იქნას შესწავლილი არასრულწლოვანის პიროვნება და ის გარემო, რომელშიც მას უხდება ცხოვრება. თუ არასრულწლოვანი დამნაშავე პირი მუშაობს და მის შესახებ აღძრულია სათანადო კოლექტივის შუამდგომლობა, ჩვენი აზრით, უკეთესია ასეთი დამნაშავეის მიმართ საქმე წარმოებით შეწყდეს და დამნაშავე გადაეცეს მშრომელთა კოლექტივს თავდებქვეშ ხელახალი აღზრდისა და გამოსწორებისათვის. საქმის შეწყვეტის დადგენილება ცნობისათვის უნდა გაეგზავნოს არა-

<sup>5</sup> Л. Н. Смирнов. Дискуссия, которую не надо было начать, журн. «Социалистическая законность», 1959, № 11, стр. 14 — 15.





სრულწლოვანთა საქმეების კომისიას, რომელმაც თავის მხრივ უნდა გააძლიეროს ზედამხედველობა არასრულწლოვანი დამნაშავე პირის მიმართ.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 და სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლში ჩამოყალიბებულია ის პირობები, რომელთა არსებობა შესაძლებლობას გვაძლევს წარმოებით შევწყვიტოთ სისხლის სამართლის საქმე და დამნაშავე პირი თავდებქვეშ გადავცეთ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 28 ივნისის ბრძანებულებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატა მე-9<sup>1</sup> მუხლი, რომლითაც სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გარეშე სასამართლოსა და პროკურორს, აგრეთვე პროკურორის სათანადო თანხმობით, მომკვლევ პირსა და გამოძიებელს უფლება მიეცათ, რომ ამა თუ იმ პირის მიერ მცირე მნიშვნელობის ან ისეთი დანაშაულის ჩადენისას, რომელიც არ არის საზოგადოებრივად დიდი საშიშროების შემცველი, დამნაშავეს მიმართ მასალები განსახილველად გადასცენ ამხანაგურ სასამართლოებს, არასრულწლოვანთა კომისიებს ან ეს პირი თავდებქვეშ ჩააბარონ მშრომელთა კოლექტივს მისი აღზრდისა და გამოსწორების მიზნით.

ამ მუხლის ერთ-ერთი ნაკლი ის არის, რომ შეუსრულებელი რჩება ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ჩატარებისას აუცილებელია დადგინდეს შემდეგი გარემოებანი: დანაშაულის შემთხვევის ფაქტი, დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი, ხერხი, მოტივი, ბრალდებულის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში, გარემოებანი, რომლებიც გავლენას ახდენენ ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხარისხსა და ხასიათზე და სხვ. საქმის აღძვრის გარეშე ხშირად შეუძლებელი ხდება სრულყოფილად დადგინდეს არა მარტო ეს გარემოებანი, არამედ დანაშაულის ფაქტიც.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 9<sup>1</sup> მუხლის (ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამისი მუხლების) არსებითი ნაკლი ის არის, რომ ამ მუხლის შინაარსი ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლს, ისე „საფუძვლების“ მე-3 მუხლსაც.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლში ხაზგასმულია, რომ „სასამართლო, პროკურორი, გამოძიებელი და მოკვლევის ორგანო მოვალენი არიან თავისი კომპეტენციის ფარგლებში **აღძვრან სისხლის სამართლის საქმე დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის ყველა შემთხვევაში** (ხაზგასმა ჩვენი — მ. ქ.), მიიღონ ამ კოდექსით გათვალისწინებული ზომები დანაშაულის შემთხვევის, დანაშაულის ჩადენაში დამნაშავე პირის დასადგენად და მათ დასასჯელად“. ასეთივე შინაარსისაა „საფუძვლების“ მე-3 მუხლიც.

ამრიგად, ჯერ ერთი, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9<sup>1</sup> მუხლის შინაარსსა და „საფუძვლების“ მე-3 მუხლის მოთხოვნას შორის კოლიზიაა, რაც დაუშვებელია, ხოლო მეორე მხრივ, ერთი კანონის (ამ შემთხვევაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი) ორი მუხლი (მე-3 და მე-9<sup>1</sup>) შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ ნორმებს, რაც აგრეთვე მიუღებელია.

სავსებით სწორი იყო, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში კანონმდებელს არ ჰქონდა ვაჟთვალისწინებული მე-9<sup>1</sup> მუხ-

ლინ, მიუხედავად იმისა, რომ ანალოგიური მუხლი შეტანილი იყო და არის რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (იხ. რსფსრ-ის სსსკ, მუხლი მე-10).

საქართველოს სსრ სსსკ 108-ე მუხლის შესაბამისად სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება:

ა. მოქალაქეთა განცხადებით ან შეტყობინებით დანაშაულის ჩადენის ფაქტის შესახებ.

ბ. სახელმწიფო და საზოგადოებრივი საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულებისა და თანამდებობის პირის მიერ მოწოდებული ცნობის საფუძველზე.

გ. პრესაში გამოქვეყნებული ცნობის საფუძველზე, სადაც მითითებული იქნება დანაშაულის არსებობის ფაქტი.

დ. ბრალის აღიარებით დამნაშავე პირის გამოცხადების შემთხვევაში.

ე. მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს ან მოსამართლის მიერ დანაშაულის ნიშნების ან დანაშაულის შემთხვევის უშუალოდ გამოძიების შემთხვევაში.

ამასთან ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, რა საფუძველითაც უნდა აღიძვრას სისხლის სამართლის საქმე წინასწარ მოწმდება საქმის აღძვრის საფუძველი და საქმის აღძვრის დადგენილება გამოაქვთ მხოლოდ მაშინ, თუ დადასტურდება დანაშაულის ნიშნების არსებობა. სხვა შემთხვევაში საქმის აღძვრა გამორიცხულია.

ყოველივე ამის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის ინტერესები მოითხოვს დაძლეულ იქნეს კოლიზია მე-9<sup>1</sup> და 108 მუხლებს შორის.

ცალკეული ავტორები, როდესაც დამნაშავე პირის საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის გადაცემის ინსტიტუტს ეხებიან, გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ დამნაშავე პირი საზოგადოებრიობას გადასცეს მხოლოდ სასამართლომ, სასამართლოში საქმის განხილვას კი წინ უსწრებდეს გამომძიებლის სრულყოფილი ჩატარება. მაგალითად, ი. პერლოვი, გ. შაფირი, გ. ანაშკინი, პ. პაშკევიჩი, ა. მოვილევსკი, ი. გორელიკი, ნ. ჟოგინი, ა. შლიაპოჩნიკოვი და ნ. გურბატოვი აღნიშნავენ, რომ მხოლოდ საქმის არსებითად განხილვით, სამართალში მიცემულის დამნაშავედ ცნობის შემდეგ შეიძლება გადაწყდეს საკითხი დამნაშავეის თავდებქვეშ გადაცემის შესახებ<sup>7</sup>.

ჩვენ ვფიქრობთ, ეს შეხედულება სათანადო ყურადღების ღირსია და მას სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს ჩვენს კანონმდებლობაში მისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე.

ყოველგვარი თეორიული და პრაქტიკული დავა დამნაშავე პირის საზოგადოებრივი ზემოქმედებისათვის გადაცემის შესახებ დადებითად გადაიჭრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამხანაგური სასამართლოსათვის, არასრულწლო-

<sup>6</sup> ეს მუხლი აქ შეტანილ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 28 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად. იხ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1963, № 19, მუხ. 313).

<sup>7</sup> აღნიშნულ საკითხზე უფრო დაწვრილებით იხ. **П. Ф. Пашкевич.** Актуальные вопросы развития советского законодательства о правосудии в свете ленинских идей. Ученые записки ВНИИЗ, выпуск 21, 1970, стр. 106 — 110.



ვანთა საქმეების კომისიისა თუ სათანადო კოლექტივისათვის დამნაშავეის თავდებქვეშ გადაცემის უფლება მარტოოდენ სასამართლოს ექნება.

თუ ჩადენილია დანაშაული, წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოები მოვალენი არიან დაადგინონ მისი ჩამდენი პირი, ხოლო საკითხი, გამოყენებულ იქნეს მის მიმართ სასჯელი, თუ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი, ეს უნდა გადაწყვიტოს მხოლოდ და მხოლოდ სასამართლომ.

ასეთი წესის დადგენა ხელს შეუწყობს ერთიანი სწორი სასამართლო პრაქტიკის გამომუშავებას და აამაღლებს საზოგადოების როლს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საინტერესოა, რომ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე და 76-ე მუხლების მიხედვით საზოგადოებრივი თავდებობის გამოყენება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს, ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ პირის მიერ ჩადენილი დანაშაული ითვალისწინებს ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას. ამასთან ადგენს რა პირის ბრალეულობის საკითხს, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება, რომელშიც აღნიშნავს, რომ ეს პირი ექვემდებარება დასჯას, მაგრამ შეფარდებული სასჯელის გამოყენება გადაიდება და სასჯელი სისრულეში იქნება მოყვანილი იმ შემთხვევაში, თუ სამართალში მიცემული პირი არ გაამართლებს მშრომელთა კოლექტივის წინაშე. თუ ეს პირი ამ წინააღმდეგობას გაამართლებს, სასამართლომ ერთი წლის ვასვლის შემდეგ გამოაქვს განჩინება საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობით კი მშრომელთა კოლექტივებს სასამართლოს წინაშე შეუძლიათ იშუამდგომლონ ბრალდებულის თავდებქვეშ აყვანა, იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე პირს დაენიშნა ისეთი სასჯელი, რაც დაკავშირებული არ იქნება თავისუფლების აღკვეთასთან ან თუ სასამართლომ შეუფარდა მას თავისუფლების აღკვეთა და შეუცვალა პირობითი მსჯავრით.

მოკვლევისა და გამოძიების სტადიაში საქმის წარმოებით შეწყვეტა ან მისი აღუძვრელობა საზოგადოებრივი ზემოქმედების გამოყენების მიზნით იწვევს კანონის მოთხოვნათა უხეშ დარღვევას და არევ-დარევა შეაქვს საპროცესო ნორმების გამოყენებაში. როდესაც მოკვლევისა და გამოძიების ორგანოები დაადგენენ დამნაშავე პირს, მათ იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მისცენ. ამ პირის დამნაშავედ ცნობის შესახებ კი მხოლოდ სასამართლომ უნდა იქონიოს მსჯელობა და გადაწყვიტოს გამოყენებულ იქნეს თუ არა დამნაშავეის მიმართ სასჯელი.

ჩვენი აზრით, ამ უფლების მთლიანად სასამართლო ორგანოებისათვის გადაცემა ხელს შეუწყობს სოციალისტური კანონიერების სწორ და მართებულ განხორციელებას.

## პროკურორ-კრიმინალისციის მონაწილეობა შემთხვევის აღვილის დათვალიერებაში

მ. სიმონიშვილი,

საქართველოს სსრ პროკურატურის პროკურორი-კრიმინალისტი

შეკვლელობის, ძარცვის, ცეცხლის წაქიდეების, გაუპატიურების და განსაკუთრებით საშიშ სხვა დანაშაულთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში ხშირად აქტიურად მონაწილეობს პროკურორ-კრიმინალისტი. ამასთან დაკავშირებით იჭრება მთელი რიგი პროცესუალური და ტაქტიკური საკითხები, რომლებიც ლიტერატურაში სადავოა<sup>1</sup>. მაგალითად, ვინ უნდა ჩაატაროს შემთხვევის ადგილის დათვალიერება მაშინ, როდესაც შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში გამომძიებლის გარდა მონაწილეობს პროკურორ-კრიმინალისტიც, რა ფორმით იღებს პროკურორი მონაწილეობას დათვალიერებაში, როგორია მისი მოვალეობა და ვინ უნდა წამოაყენოს ან განსაზღვროს შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მისი მონაწილეობის აუცილებლობა.

ყველა ეს საკითხი მართებულად შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ მაშინ, თუ სწორედ განისაზღვრება პროკურორ-კრიმინალისტის პროცესუალური მდგომარეობა.

ხშირად პროკურორ-კრიმინალისტს აიგივებენ ზონის პროკურორთან ან მეთოდისტთან, ზოგჯერ კი, ვინაიდან პროკურორი-კრიმინალისტი თავისი მოვალეობით მოწოდებულია დახმარება გაუწიოს გამომძიებელს, მას აიგივებენ სპეციალისტთან<sup>2</sup>.

ასეთი გაურკვეველობა გავლენას ახდენს იმ ამოცანების ზარისხიანად გადაწყვეტაზე, რაც პროკურორ-კრიმინალისტის მოვალეობაში შედის. ზოგჯერ არა თუ გამომძიებელმა, არამედ თვით პროკურორ-კრიმინალისტმაც კი არ იცის, კონკრეტულად რა უფლებით სარგებლობს იგი, რაა მისი მოვალეობა, რაში შეიძლება გამოიხატოს პროკურორ-კრიმინალისტის დახმარება გამომძიებლისადმი.

ვიდრე ამ საკითხებს გადავწყვეტდეთ, გავისხენოთ, თუ ვინ ახორციელებს ზედამხედველობას წინასწარ გამომძიებლისადმი. „სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის დებულების“ შესაბამისად წინასწარ გამომძიებლაზე ზედამხედველობას ახორციელებს მხოლოდ რაიონის, ქალაქის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური რესპუბლიკის და მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორი. ცალკეული დავალების სახით მათ შეუძლიათ დაავალონ თავიანთი ზედამხედველობის განხორციელების უფლება დაქვემდებარებულ პროკურორებს ან განყოფილებების პროკურორებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან განახორციე-

<sup>1</sup> იხ. მაგალითად **В. Морозов** სტ. «Дискуссия о функциях прокурора-криминалиста», «Социалистическая законность» 1968 г., № 10, стр. 70 — 71.

<sup>2</sup> იხ. მაგალითად **В. Морозов, Г. Арипушкин** სტ. «Внедрение прокурором-криминастом научных рекомендаций и научно-технических средств в следственную практику». Сборник «Опыт внедрения прокурорами-криминалистами научных методов в следственную практику», М., 1968 г., стр. 6 — 25.



ლონ ზედამხედველობა, თუ როგორ იცავენ კანონიერებას სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების პროცესში.

ამგვარად, ზემდგომ პროკურორის უფლება აქვს კონკრეტული საქმის გამოძიებისადმი ზედამხედველობის ფუნქციის შესრულება გადასცეს პროკურორ-კრიმინალისტს. ასეთ ვითარებაში პროკურორ-კრიმინალისტი აღჭურვება იმავე უფლებით, რასაც ითვალისწინებს საქართველოს სსრ სსსკ 211 მუხლი პროკურორისათვის.

სხვანაირად რომ ვთქვათ, ასეთ შემთხვევაში პროკურორ-კრიმინალისტის მონაწილეობა ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებაში, მათ შორის შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში, არაფრით არ განსხვავდება საგამოძიებო მოქმედებაში რაიონის, ქალაქის თუ ოლქის პროკურორის მონაწილეობისაგან<sup>3</sup>.

პროკურორ-კრიმინალისტს უფლება აქვს, თუ კი მას დაავალეს ზემდგომი პროკურორი, დამოუკიდებლად ჩაატაროს ყველა საგამოძიებო მოქმედება, მათ შორის შემთხვევის ადგილის დათვალიერებაც, იმის მიუხედავად საქმის გამოძიება შემდეგში მას დაევალება თუ არა. პროკურორ-კრიმინალისტის პროცესუალური მდგომარეობას ემსგავსება გამოძიებლისას და მას პროკურორი ზედამხედველობას გაუწევს საერთო წესით.

სოფელ დილოში რ. ჯანიშვილის მკვლელობის საქმეზე, დანაშაულის სერიოზულობის გამო, შემთხვევის ადგილის დათვალიერება საქართველოს სსრესპუბლიკის პროკურორმა დაავალა პროკურორ-კრიმინალისტს, რომელიც შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ასრულებდა გამოძიებლის ფუნქციებს, შემდეგ კი საქმე გამოსაძიებლად გადაეცა რაიონის გამოძიებელს.

პროკურორმა-კრიმინალისტმა შეიძლება აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში გამოძიებლისათვის დანხარების გაწევის მიზნით. შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში პროკურორ-კრიმინალისტის მონაწილეობის ეს ფორმა იურიდიულ ლიტერატურაში შედარებით ვრცლად არის გაშუქებული.

პროკურორ-კრიმინალისტის როლს შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში, როგორც ზემოთ ავლინშენთ, ადარებენ აგრეთვე სპეციალისტის როლს. ეს არასწორია. პროკურორ-კრიმინალისტს და სპეციალისტს სისხლის სამართლის პროცესში არა აქვთ ერთნაირი პროცესუალური მდგომარეობა, აღჭურვილი არიან სხვადასხვა უფლებებით და ასრულებენ სხვადასხვა ფუნქციებს.

პროკურორ-კრიმინალისტს ვერ შევადარებთ სპეციალისტს, ვინაიდან იგი აღჭურვილია პროკურორის ყველა უფლება-მოვალეობით და ყველა მისი მოქმედება გულისხმობს პროკურორის ფუნქციის შესრულებას. პროკურორ-კრიმინალისტი ინსტრუქციის თანახმად ირიცხება პროკურორის საგამოძიებო განყოფილების შტატში და სარგებლობს განყოფილების პროკურორის ყველა უფლებით<sup>4</sup>.

სპეციალისტის ამოცანა შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას გაცილებით უფრო ვიწროა, ვიდრე პროკურორ-კრიმინალისტისა. სპეციალისტი გამოძიებელს ვერ მისცემს რჩევას წმინდა იურიდიულ საკითხებზე. იგი ეხმარება

<sup>3</sup> იხ. მაგალითად **Ф. С. Ленчевский, Л. А. Соя-Серко**, «Участие прокурора в производстве следственных действий». См. Сборник «Прокурорский надзор за дознанием и предварительным следствием», М., 1964, стр. 107 — 113.

<sup>4</sup> იხ. მაგალითად Указание Генерального прокурора СССР от 19 сентября 1954 г. № 3/125 «О работе прокурора-криминалиста», см. «Сборник действующих приказов и инструкций Генерального прокурора СССР», М., 1966, стр. 188 — 189.



გამომძიებელს მარტოდენ სპეციალურ ტექნიკურ საკითხებში. პროკურორ-კრიმინალისტი კი გამომძიებელს ეხმარება კრიმინალისტიკის მეცნიერების ყველა საკითხების სწორად გადაწყვეტაში.

ლიტერატურაში გამოთქმულია მცდარი აზრი, თითქოს პროკურორ-კრიმინალისტის შემთხვევის ადგილზე მისვლა მიზნად ისახავს დაეხმაროს გამომძიებელს რჩევით, თუ როგორ გამოიყენოს ესა თუ ის მეთოდი, ვინაიდან იგულისხმება, რომ პროკურორ-კრიმინალისტი უფრო მაღალკვალიფიციურია, ვიდრე გამომძიებელი. ეს აზრი უფრო განმტკიცდა იმის გამო, რომ პროკურორ-კრიმინალისტის თანამდებობაზე ინიშნებიან გამოცდილი გამომძიებლები. პროკურორ-კრიმინალისტის შესახებ ინსტრუქციის თანახმადაც ამ თანამდებობაზე ინიშნება ისეთი ოპერატიული მუშაკი, რომელსაც აქვს საგამომძიებო მუშაობის საკმაო სტაჟი და კარგად ფლობს კრიმინალისტურ ტექნიკას<sup>5</sup>.

მ. მოროზოვი და გ. არინუშკინი თვლიან, რომ პროკურორი-კრიმინალისტი როდესაც გამომძიებელს უწევს პრაქტიკულ დახმარებას დანაშაულის გამოძიებისას, იგი არ არის არც სპეციალისტი (ამ სიტყვის პროცესუალური გაგებით), არც გამომძიებელი და არც გამომძიებლის თანაშემწე. იგი ყოველთვის და ყველგან არის პროკურორი და მოქმედებს როგორც პროკურორი<sup>6</sup>.

პროკურორ-კრიმინალისტის როლის განსაზღვრისათვის საერთოდ, და კონკრეტულად შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას უნდა მივმართოთ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1965 წლის 30 დეკემბრის № 125 ბრძანებას, სადაც აღნიშნულია, რომ პროკურორ-კრიმინალისტის მუშაობა ძირითადად მდგომარეობს იმაში, რომ საგამომძიებო პრაქტიკაში დანერგოს სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებანი და გამოძიების მეცნიერული მეთოდები<sup>7</sup>.

აქედან ჩანს, რომ პროკურორი-კრიმინალისტი ვალდებულია შეიარაღებული იყოს უკანასკნელი მეცნიერული მიღწევებით და კრიმინალისტის ტექნიკით, რასაც უნდა ნერგავდეს საგამომძიებო პრაქტიკაში.

პროკურორ-კრიმინალისტს მეცნიერული მეთოდების და კრიმინალისტურ საშუალებათა დანერგვისათვის განსაკუთრებით ფართო ასპარეზი ეხსნება ისეთი მნიშვნელოვანი და სერიოზული საგამომძიებო მოქმედების შესრულების დროს, როგორც არის შემთხვევის ადგილის დათვალიერება.

მაგალითად, ქ. ზუგდიდში პერევერზიევის მკვლელობის საქმეზე შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს პროკურორმა-კრიმინალისტმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ მკვლელის დასადგენად საჭირო იყო ამოღებულიყო მოკლულის ტანისამოსი და ექვმიტანილის დანა და ჩატარებულიყო ექსპერტიზა მიკრონაწილაკებზე, რამაც შემდგომში საქმეზე გადამწყვეტი გავლენა იქონია. იგივე შეიძლება ითქვას თეთრი წყაროს რაიონში მომხდარ ს. იუზბა-

<sup>5</sup> იხ. მაგალითად **В. Морозов, Г. Арипушкин** ციტ. სტატია კრებულში «Опыт внедрения прокурорами-криминалистами научных методов в следственную практику» 1968 г., стр. 6—25.

<sup>6</sup> იხ. მაგალითად **В. Морозов, Г. Арипушкин** სტ. «Внедрение прокурором-криминалистом научных рекомендаций и научно-технических средств в следственную практику», Сборник «Опыт внедрения прокурорами-криминалистами научных методов в следственную практику», М., 1968, стр. 6—25.

<sup>7</sup> Приказ Генерального прокурора СССР от 30 декабря 1965 г. № 125 «Об улучшении работы следственного аппарата органов прокуратуры и усилении прокурорского надзора за следствием и дознанием», «Сборник действующих приказов и инструкций Генерального прокурора СССР», М., 1966 г. стр. 62—74.





შიანის საქმეზეც. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას პროკურორ-კრიმინალისტიის რჩევით, გამომძიებლის მიერ გაფართოებულ იქნა ადგილის დათვალიერების არე, დათვალიერებაში ჩაბმულ იქნა სოფლის აქტივი, რის შედეგადაც აღმოჩენილ იქნა დანაშაულის ჩადენის იარაღი — სისხლიანი ნაჯახი.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების მთელი პროცესი შეიძლება დეკლარაციით შემდეგ ეტაპებად: მომზადება საგამომძიებო მოქმედების ჩატარებისათვის; წინასწარი მოქმედებები შემთხვევის ადგილის დათვალიერების დაწყების წინ; შემთხვევის ადგილის დათვალიერება (სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების ჩათვლით) და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ფიქსაცია<sup>8</sup>.

განვიხილოთ ამ ეტაპებზე პროკურორ-კრიმინალისტიის მონაწილეობა.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება უმთავრესად რთული და შრომატევადია. ზოგჯერ იგი ეწყობა რთულ პირობებში, წვიმაში, თოვლში, ყინვაში, დასახლებული ადგილიდან მოშორებით, ხან ხალხმრავალ ადგილას და სხვ. ზოგჯერ ეს საგამომძიებო მოქმედება რთულდება იმითაც, რომ საჭიროა დათვალიერების ძალზე მოკლე ვადაში დამთავრება (მაგალითად, ტრასაზე დიდი მოძრაობის დროს, ქარხანაში და სხვ.). ამ სიძნელეს კარგად ასახავს ა. რ. რატინოვის თქმა, რომ „დროის მუდმივი ნაკლებობა, ცალკეულ შემთხვევაში კი უმკაცრესი „ცაიტნოტი“ დამახასიათებელია საგამომძიებო მუშაობისათვის. ის, რაც სხვა მოღვაწეობის დროს მხოლოდ „საავარიო სიტუაციისათვის“ არის დამახასიათებელი, გამომძიებლის მუშაობაში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს<sup>9</sup>.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დაწყების წინ პროკურორმა-კრიმინალისტიმა უნდა განსაზღვროს, თუ რა გააკეთოს გამომძიებელმა და რა გააკეთოს თვითონ.

მიიღებს თუ არა შეტყობინებას შემთხვევის ჩადენის შესახებ, პროკურორმა-კრიმინალისტიმა უპირველეს ყოვლისა უნდა შეამოწმოს კრიმინალისტიკური ტექნიკის მზადყოფნა. გამომძიებელმა კი მიიღოს ღონისძიება შემთხვევის ადგილის დაცვისათვის და განსაზღვროს შემთხვევის ადგილის დათვალიერების მონაწილენი.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დაწყებამდე საჭიროა გამომძიებელი დარწმუნდეს, რომ დაზარელებულს გაწეული აქვს საჭირო დახმარება, მოწვეული არიან თანამოწმენი, განსაზღვრულია შემთხვევის ადგილის ფარგლები და სხვ.

ვანსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას სწორი ვერსიების შემუშავებას, რომელიც პროკურორმა-კრიმინალისტიმა და გამომძიებელმა უნდა აწარმოონ როგორც შემთხვევის ადგილის დათვალიერების პროცესში, ისე მის შემდეგ.

გამომძიებელს და პროკურორ-კრიმინალისტს შეუძლიათ ერთმანეთს შორის გაიყონ დასათვალიერებელი უბნები და ობიექტები. თუ რომელიმე საყურადღებოს ნახავს, ერთმანეთს უნდა აცნობონ, რათა დათვალიერების გაგ-

<sup>8</sup> იხ. მაგალითად ი. ვ. Васильев, И. В. Виноградов, А. Р. Ратинов, С. Я. Розенблит, Л. И. Ураков и Н. А. Селиванов «Осмотр места происшествия» М., 1960 г., стр. 33.

<sup>9</sup> იხ. მაგალითად А. Р. Ратинов «Судебная психология для следователей», М., 1967 г., стр. 68.

რძელების დროს მხედველობაში იქნას მიღებული კვალის არსებობის ფაქტი და სხვა გარემოება. ვინაიდან პროკურორი-კრიმინალისტი უფრო კარგად ფლობს კრიმინალისტურ ტექნიკას, მისი გამოყენებაც მან უნდა აწარმოოს. ეს არ გამოირიცხავს გამოძიებლის მიერ კრიმინალისტური ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობას.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ბოლო ეტაპზე კვალის ფიქსაციისა და დათვალიერების შედეგების განხილვისას, მიზანშეწონილია ოქმის შედგენაში გამოძიებელთან ერთად მონაწილეობა მიიღოს პროკურორ-კრიმინალისტმაც. მიზანშეწონილია დათვალიერების დროს ორივემ გააკეთოს ჩანაწერები, რათა მხედველობიდან არ გამორჩეთ მრავალი წვრილმანი, მაგრამ მნიშვნელოვანი ფაქტი.

გეგმებსა და სქემებს ჩვეულებრივად ხაზავს პროკურორი-კრიმინალისტი, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ იგი შეადგინოს გამოძიებელმაც.

ბოლოს, განვიხილოთ ზოგიერთი ეთიკური საკითხი, რაც დაკავშირებულია შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში პროკურორ-კრიმინალისტის მონაწილეობასთან.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების რთული და საპასუხისმგებლო ხასიათი დამთვალიერებლისაგან მოითხოვს მუდმივ და დაძაბულ ყურადღებას. პროკურორმა-კრიმინალისტმაც და გამოძიებელმაც მხედველობაში უნდა მიიღონ, რომ ამ ხანგრძლივი და დაძაბული მუშაობის დროს გამორიცხული არ არის შეცდომები და გაუგებრობა, რაც ადვილად იქნება თავიდან აცილებული, თუ ეს პირები კოლეგიალობას გამოიჩენენ. აშკარა უთანხმოების დროსაც კი მათ უნდა დაიცვან ტაქტი. ამაზე კარგად აქვს ნათქვამი ცნობილ პოლონელ მეცნიერს ა. მატეიკოს: „ადამიანთა ჯგუფმა, რომლებიც ერთად მუშაობენ, კარგად უნდა გაუგონ ერთმანეთს და ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს“<sup>10</sup>.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს საგამოძიებლო მოქმედების მონაწილეთა თავდაპირველობას. შემთხვევის ადგილის დათვალიერების მონაწილეთა შორის შეიძლება იყოს პირი, რომელიც დაინტერესებულია საქმის შედეგით და შეიძლება გაამყლავნოს გამოძიების საიდუმლოება. ამიტომ პროკურორმა-კრიმინალისტმა და გამოძიებელმა ფხიზლად უნდა ადევნონ თვალყური შემთხვევის ადგილის მონაწილეთა საუბარს და საჭირო შემთხვევაში აღკვეთონ ისეთი საუბარი, რაც ავნებს გამოძიებას.

გამომძიებელი თავს უნდა გრძობდეს შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას მდგომარეობის ბატონ-პატრონად. ცხადია, რომ პროკურორ-კრიმინალისტის თანდასწრება მას ერთგვარად ზღუდავს. პროკურორმა-კრიმინალისტმა უნდა გაითვალისწინოს ეს. ამისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პროკურორ-კრიმინალისტის თავაზიან და საქმიან დამოკიდებულებას გამოძიებელთან. სასურველია, რომ ყველა განკარგულებას პროკურორი-კრიმინალისტი იძლეოდეს გამოძიებლის ნებართვით და მეშვეობით.

<sup>10</sup> იხ. მაგალითად А. Матейко «Условия творческого труда», М., 1970 г., стр. 31.



# სამართლის პროპაგანდა—ახალი ამოცანების ღონეზე

ბ. ნარმაია,

ქ. ზუგდიდის პროკურორი

დამნაშავეობისა და მისი გამომწვევი მიზეზების აღკვეთა, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცება ჩვენი პარტიისა და ხალხის პროგრამული ამოცანაა.

სკკპ XXIV ყრილობაზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები „მოვალენი არიან ყველაფერი იღონონ, რათა უზრუნველყონ კანონების უმკაცრესად დაცვა, გააუმჯობესონ მშრომელთა სამართლებრივი აღზრდა. უფლების, კანონის პატივისცემა თითოეული ადამიანის პირადი მრწამსი უნდა გახდეს“. ამ სიტყვებმა თავისი გამოხატულება პოვა ყრილობის რეზოლუციაში.

ადმინისტრაციული ორგანოების ყოველი მუშაკის საპასუხისმგებლო და საპატიო ვალია კონკრეტული საქმეებით უპასუხოს პარტიის მოწოდებას, ერთხელ კიდევ გადასინჯოს სამართლის პროპაგანდის საშუალებათა მდიდარი არსენალი და სადღეისო ამოცანების ღონეზე მოაწყოს მოქალაქეთა საცხოვრებელ და სამუშაო ადგილებში საბჭოთა სამართლის პროპაგანდა.

ქ. ზუგდიდის პროკურატურა ითვალისწინებს, რომ მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართალდარღვევათა აცილებაში და ბევრ საინტერესო დონისძიებებს ახორციელებს ამ მიმართულებით. წლის დასაწყისში დგება სამართლის პროპაგანდის წლიური გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია ლექცია-მოხსენებების წაკითხვა წარმოება-დაწესებულებებში, პროკურატურის მუშაკთა გამოსვლა პრესაში და ადგილობრივ რადიო-მაუწყებლობით, კითხვა-პასუხისა და თემატური საღამოების მოწყობა. მიმდინარე წლის გეგმაში შევიტანეთ მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივებში პროკურორისა და გამოძიებლის გამოსვლა მოხსენება-ინფორმაციით ქალაქში დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობისა და კანონიერების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

ლექცია-მოხსენებებისა და პრესისათვის მოსამზადებელი სტატიების თემების შერჩევას ძირითადად საფუძვლად უდევს ოპერატიული ვითარება ქალაქში. წაკითხულია ლექცია-მოხსენებები თემებზე: „დავიცვათ და განვამტკიცოთ სოციალისტური საკუთრება — საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის წყარო“, „პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის“, „მტკიცედ დავიცვათ შრომის კანონმდებლობა“, „ლოთობა — დამნაშავეობის მიზეზი და წყარო“, „მოქალაქეთა განცხადებებსა და საჩივრებზე სრულყოფილი რეაგირება საბჭოთა დემოკრატიზმის განხორციელების ფორმა“ და სხვ.

პროკურატურის მუშაკებმა და პროკურორის საზოგადოებრივმა თანამშემწეებმა წაკითხეს ლექცია-მოხსენებები სოციალისტური საკუთრების გატაცებისათვის პასუხისმგებლობაზე იმ ორგანიზაციებში, სადაც ადგილი



ქონდა სოციალისტური საკუთრების გატაცების ფაქტებს. შრომის კანონმდებლობის საკითხებზე ლექცია-მოსხენებები მოეწყო იმ წარმოება-დაწესებულებებში, სადაც ხშირია მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან უკანონო დათხოვნა.

წარმოება-დაწესებულებებში კანონიერების დარღვევათა მიზეზების შესწავლა გვიჩვენებს, რომ უმრავლეს შემთხვევაში იგი გამოწვეულია ორგანიზაციითა ხელმძღვანელებისა და სამეურნეო მუშაკების სუსტი იურიდიული მომზადებით. ეს იწვევს საფინანსო დისციპლინისა და პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულებების შეუსრულებლობას, სამუშაოდან უკანონო დათხოვნებს და სხვ.

იურისკონსულტებს (ყველა წარმოება-დაწესებულებას არც ჰყავთ ისინი), ცხადია, არ შეუძლიათ იმ მრავალგვარი სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება, რაც წარმოება-დაწესებულებებში ყოველდღიურად წარმოიშობა. ამიტომ სისტემატური და თანამიმდევრული ღონისძიებანი უნდა ტარდებოდეს ხელმძღვანელ მუშაკთა იურიდიული ცოდნის ამაღლებისათვის.

სამწუხაროდ, თითქმის მივიწყებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს 1962 წლის დადგენილება „შრომის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ წარმოება-დაწესებულებებში და მშენებლობებზე“. დადგენილება ითვალისწინებდა, რომ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს და უმაღლეს და საშუალო სასწავლებლების მოსწავლეებს შეესწავლათ შრომის კანონმდებლობის საფუძვლები. წარმოება-დაწესებულებათა მომავალი ხელმძღვანელების, სამეურნეო და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების იურიდიული მომზადების ამოცანა მხოლოდ მაშინ შეიძლება წარმატებით გადაწყდეს, თუ სამართლის სწავლებას საფუძველი ჩაეყრება სასწავლო დაწესებულებებში.

ჩვენი მუშაობის პრაქტიკაში ამ ამოცანის გადაწყვეტის მიზნით პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან შეთანხმებით სამეურნეო აქტივისათვის ხშირად ვაწყობთ თათბირ-სემინარებს. ასეთი სემინარები გასულ წელს გავმართეთ ენგურ-ქალაქადკომბინატში და ჩაის საწნეხ ფაბრიკაში. ვფიქრობთ, მიმდინარე წელს უფრო ორგანიზებული ხასიათი მივცეთ ხელმძღვანელ და სამეურნეო მუშაკთა იურიდიული მომზადების საქმეს.

როდესაც ვლაპარაკობთ სამართლებრივ პროპაგანდაზე, მოსახლეობის სამართლებრივ აღზრდაზე, ჩვენ ხშირად მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ლექცია-მოსხენებები, საუბრები, პრესაში და რადიოში გამოსვლა, სამართლის სახალხო უნივერსიტეტები და სხვ. მაგრამ გვავიწყდება, თუ რა უდიდესი აღმზრდელობით ძალა აქვს ადმინისტრაციული ორგანოების კოორდინირებულ საქმიანობას. კარგად ორგანიზებული, მაღალ პოლიტიკურ და იურიდიულ ღონეზე მოწყობილი სასამართლო პროცესები, მოქალაქეთა საჩივრებისადმი გულისხმიერი და ყურადღებიანი დამოკიდებულება, მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მტკიცედ დაცვა, კანონების შესრულების შემოწმება საზოგადოებრიობის მონაწილეობით, თავიანთი ამომრჩევლების წინაშე სახალხო მოსამართლეთა ანგარიშის კარგი ორგანიზაცია, მუშაობაში მუდმივი კონტაქტი სახალხო კონტროლიორებთან, დეპუტატებთან, ამხანაგური სასამართლოს წევრებთან და მრავალი სხვა ღონისძიება მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის დამნიშვნელოვანი ელემენტია.

ჩვენი მუშაობის პრაქტიკაში დამკვიდრდა კითხვა-პასუხის საღამოების მოწყობა ცალკეულ წარმოება-დაწესებულებებში. ამ საღამოებზე მონაწილეო-



ბას იღებენ სახალხო სასამართლოს შინაგან საქმეთა და სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების მუშაკები. საღამო ტრადიციულად იხსნება პროკურატურის მუშაკთა მოხსენება-ინფორმაციით ქალაქში დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობისა და კანონმდებლობაში სიახლეთა შესახებ.

სამართლის პროპაგანდა უფრო დამაჯერებელია და ეფექტური სისხლის სამართლის კონკრეტული საქმის წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის პირობებში. გასულ წელს სისხლის სამართლის სამი კონკრეტული საქმის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების ღრმად შესწავლის საფუძველზე პროკურატურამ ქმედით პროფილაქტიკურ ღონისძიებებთან ერთად ფართო პროპაგანდა გაუწია ასეთი ხასიათის სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას მომავალში. ამ დანაშაულთა ხელშემწყობ პირობებად დადგენილ იქნა საპასპორტო რეჟიმის დარღვევა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისადმი ბოროტად თავის არიდება, რაც უბნის ინსპექტორებისა და ქუჩის კომიტეტების არადამაკმაყოფილებელი საქმიანობითაც იყო გამოწვეული. სამივე საქმის შესახებ დანაშაულის ჩადენის ადგილზე მოწვეულ იქნა ხალხმრავალი კრებები, სადაც ადმინისტრაციული დარგის მუშაკებმა ილაპარაკეს დანაშაულობათა ხელშემწყობ პირობებზე, პიროვნების ჯანმრთელობისა და სიცოცხლისადმი მიმართულ დანაშაულობებზე, მუქთახორობისა და ლოთობის, საპასპორტო რეჟიმის დარღვევისა და მაწანწალობის შესახებ. სამივე დანაშაულზე პრესაში გამოქვეყნდა სტატიები. ამ საქმეების გამო შეტანილ იქნა წარდგინებები, რომელთა განხილვისას განმარტოებულ იქნა ის საკითხები, რომელთა დარღვევა გამოვლინდა ამ დანაშაულის ხელშემწყობ პირობათა შესწავლით.

ქ. ზუგდიდში სამართლის პროპაგანდის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახალხო უნივერსიტეტი, რომლის ცხრა ფაკულტეტს შორის ერთი სახელმწიფოსა და სამართლის ფაკულტეტი (დეკანი პროკურორის თანამემწე დ. კუხალეიშვილი). სწავლის ხანგრძლივობა აქ ორი წელია. ფაკულტეტზე გაერთიანებულია 88 მსმენელი, რომელთა შორის არიან წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები, ინჟინერ-ტექნიკური და საადრიცხვო დარგის მუშაკები, პროფკავშირის, ადგილკომების წარმომადგენლები, სახალხო მსაჯულები და ამხანაგური სასამართლოების წევრები. მეცადინეობა ტარდება გეგმის მიხედვით (საამისო ცნობები პერიოდულად ქვეყნდება საქალაქო გაზეთში).

ჩვენს ქალაქში ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა ახალგაზრდობის სამართლებრივ აღზრდას. ეს ნათლად ჩანს მართლწესრიგის დარღვევის შესახებ და საერთო ზედამხედველობის ხაზით შეგროვილი მასალების ანალიზიდან. ამან გვიკარნახა უფრო ორგანიზებულად მოგვეწყო ახალგაზრდებს შორის სამართლის პროპაგანდა. ამ მიზნით ენგურქალაქკომბინატის კომკავშირის კომიტეტთან ერთად ახალგაზრდობისათვის მოვაწყვეთ თემატური საღამო დღეებით: „ღრმად შევისწავლოთ საბჭოთა კანონები და განუხრელად შევესრულოთ ისინი“. საღამოზე ვცადეთ მოქმედი კანონების განმარტებასთან ერთად ახალგაზრდობისათვის გაგვეღვივებინა საბჭოთა კანონებისადმი პატივისცემის გრძნობა. ამის გაკეთება, ცხადია, ერთი და ორი თემატური საღამოთი შეუძლებელია. მაგრამ ეს კარგი დასაწყისია საქმისა, რომელმაც ახალგაზრდობის დიდი ინტერესი გამოიწვია. ასეთივე საღამოები გავმართეთ სხვა ორგანიზაციებშიც და გან-



ზრახული გვაქვს ჩავატაროთ ყველგან, სადაც ჩვენი ახალგაზრდობა მუშაობს და ცხოვრობს.

ახალგაზრდების სამართლებრივი აღზრდის ინტერესები მოითხოვენ გაბედულად შევადოთ სკოლის კარები, სადაც სწავლობენ ნორჩი მოქალაქეები, ჩვენი ახალგაზრდობის სწორედ ის ნაწილი, რომელიც დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ემზადება.

ცალკეული მოზარდები ადვილად ექცევიან ანტისაზოგადოებრივი ელემენტების გავლენის ქვეშ, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ მათ არ გააჩნიათ საჭირო ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება, მყარი მორალური შეხედულებები და რწმენა, ნაკლები წარმოდგენა აქვთ კანონის ელემენტარულ მოთხოვნებზე.

ამას წინათ ქალაქის განათლების განყოფილებასთან შეთანხმებით მივიღეთ გადაწყვეტილება უფროსი კლასებისათვის ჩაგვეტარებინა მეცადინეობები სამართლებრივ თემებზე. ქალაქის ხუთ სკოლაში გაიმართა საუბრები სოციალისტური დემოკრატიის არსზე, მორალისა და სამართლის საკითხებზე, დანაშაულის წარმომშობ მიზეზებზე და სხვ.

მშრომელთა სამართლებრივი კულტურის ამაღლებაში, მათი მართლშეგნების ფორმირებაში დიდია როლი ინფორმაციის ისეთი მასობრივი საშუალებებისა, როგორცაა პრესა, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია. ისინი პარტიისა და ხალხის ხელში წარმოადგენენ არა მარტო სამართლებრივი პროპაგანდის საშუალებას, არამედ კანონიერების ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის მტკიცე იარაღს.

ყოველი წლის დასაწყისში ქ. ზუგდიდის პროკურორის ვრცელი წერილია საქალაქო გაზეთში წინა წელს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში გაწეულ მუშაობაზე, რაც ერთგვარი ანგარიშია მკითხველის წინაშე. გაზეთ „მებრძოლში“ გამოქვეყნდა ასეთი შემაჯამებელი სტატიები: „აღვკვეთთ მიზეზები, ავიცილებთ დანაშაულს“, „მიზანი — დანაშაულობათა მკვეთრი შემცირება — მიღწეული იქნება წელსე“, „დანაშაულობამდე და დანაშაულის შემდეგ“ და სხვ.

ახალი კანონების გამოსვლისთანავე ადგილობრივ პრესაში ქვეყნდება სტატიები, სადაც კანონების სიახლე გაანალიზებულია ადგილობრივი კონკრეტული მაგალითებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1970 წლის მაისის ბრძანებულებას „იმ პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“, ჩვენთან განსაკუთრებით ფართო პროპაგანდა გაეწია, რაც იმით აიხსნება, რომ ჩვენს ქალაქში დანაშაულობათა დიდი ნაწილი ჩადენილი იყო სწორედ იმ პირთა მიერ, რომლებიც მუქთახორობას, პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან. აღნიშნული ბრძანებულების შესაბამისად გაზეთ „მებრძოლში“ გამოქვეყნდა წერილები: „კანონისა და ხალხის რისხვა უსაქმურთ“, „ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს“; გაზეთ „ენგურის ჩირადნებში“ — წერილი „ბოიკოტი უსაქმურებს, მუქთახორებს“ და სხვ.

რა დასამალია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოების მუშაკები ზოგჯერ იმ შესაძლებლობათა შეუფასებლობას ვიჩენთ, რაც პრესას მოეპოვება, და მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ საქმეებსა და მასალებში ხშირად მკითხველისათვის საინტერესო და საგულისხმო მრავალი ფაქტია თავმოყრილი, ჩვენი მუ-



შაკები არც ისე ხშირად იწუხებენ თავს დაწერონ წერილი, სტატია ან თუნდაც პატარა ინფორმაცია და მიაწოდონ გაზეთს. ასეთი პასიურობით კი ჩვენ უარს ვამბობთ დანაშაულის აცილებისა და სამართლის პროპაგანდის ყოველდღიურ და მასობრივ საშუალებაზე. საჭიროა ვწეროთ მეტი, ყოველდღე და ყველაფერზე, რაც ხელს შეუწყობს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეს.

საქალაქო გაზეთ „მებრძოლში“ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა თანამშრომლობის გაუმჯობესებისა და სამართლის პროპაგანდის საქმეში მისი უფრო ეფექტიანად გამოყენების მიზნით ქ. ზუგდიდის პროკურატურა ამას წინათ შუამდგომლობით შევიდა გაზეთის რედაქციაში, რომ იქ ჩამოყალიბებულიყო სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შტატგარეშე განყოფილება. განყოფილება დაკომპლექტდა ძირითადად სასამართლო-პროკურატურისა და შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებით.

ქალაქში არასახარბიელო მდგომარეობა გვაქვს იურიდიული ლიტერატურის მომარაგების მხრივ. წიგნის თაროებზე თითქმის ვერ შეხვდებით კოდექსებსა და კანონთა კრებულებს, რომლებსაც დიდი ინტერესით შეიძენდა პარტიული თუ საბჭოთა მუშაკი, წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელი თუ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. ამ საქმის მზრუნველი არ ჩანს. ბიბლიოთეკებში მხოლოდ თითო-ოროლა ეგზემპლარ იურიდიულ წიგნებს იპოვიან. თითქმის ვერ ნახავთ ყურნალებს: „სოციალისტურ კანონიერებას“, „ადამიანსა და კანონს“.

პერიფერიულ ქალაქებსა და რაიონებში სამართლის პროპაგანდის საქმეს დიდ სარგებლობას მოუტანდა ლექტორთა, მეცნიერთა შეფობა. მათ მიერ სამართლის აქტუალურ საკითხებზე ლექცია-საუბრების პერიოდულად მოწყობა, მათი გამოსვლა ლექცია-მოსხენებზე ჩვენი მშრომელების წინაშე უფრო აამაღლებდა საბჭოთა კანონების ავტორიტეტს, კანონიერებისადმი პატივისცემას.

ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ის არის, რომ თითოეულ მშრომელამდე დაიყვანოს საბჭოთა კანონმდებლობის ჰუმანიტური არსი, მისი მნიშვნელობა, რათა ხელი შეუწყოს ახალი ადამიანის იმ ძულისკვეთებით აღზრდას, რომელიც დასახა სკკპ XXIV ყრილობამ.



# საქართველოს სსრ პროკურატურის ისჯობილი

ა. ფალიაშვილი,

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საქართველოს სსრ პროკურატურის არსებობას დასაბამი მიეცა 1922 წლის 11 ნოემბერს. ამ დღეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „პროკურატურის შემოღების შესახებ“ და დებულება პროკურატურის შესახებ. ამ დოკუმენტებს ზეგს აწერდნენ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე და ცაკ-ის მდივანი თ. კალანდაძე<sup>1</sup>.

1936 წლამდე საქართველოს პროკურატურა შედიოდა იუსტიციის სახალხო კომისარიატის უწყებაში და ევალებოდა დამანაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციასთან ერთად განხორციელებინა ზედამხედველობა, რათა ყველა სახალხო კომისარიატს, ადგილობრივ ორგანოებს, საზოგადოებრივ და კერძო ორგანიზაციებს, მოქალაქეებს თავიანთ მოქმედებასა და საქმიანობაში დაეცვათ კანონიერება.

პროკურატურის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია იყო, აგრეთვე ის, რომ წინასწარი გამოძიების, მოკვლევისა და საგანგებო კომისიის (შემდგომ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს) ორგანოებს თავიანთ მოღვაწეობაში განუხრევლად დაეცვათ საბჭოთა კანონები. ამას გარდა ზედამხედველობას უწყვედა კანონიერების დაცვას სასამართლო ორგანოებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.

საპროკურორო ზედამხედველობის ძირითად დარგებს დებულება დაწერილებით აწესრიგებდა. მაგალითად, დებულების მე-13 მუხლის შესაბამისად პროკურორს უფლება ჰქონდა და ევალებოდა კადეტ ალექსანდრის სამართლის საქმე თანამდებობის პირისა და კერძო მოქალაქის მიმართ როგორც თავისი ინიციატივით, ისე მის განკარგულებაში არსებული საჩივრებისა და განცხადებების საფუძველზე. პროკურორს შეეძლო მომკვლევო პირისა და გამოძიებლისათვის წინადადება და განმარტება მიეცა მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების წარმართვის, შევსების, აღმკვეთი ზომისა და სხვა ისეთ საკითხებზე, რასაც კავშირი ჰქონდა

საქმის გამოძიებასთან. პროკურორი უფლებამოსილი იყო გადაეწყვიტა საკითხი დამანაშავე პირის სამართალში მიცემის, საქმის მოსპობის ან მისი წინასწარი გამოძიებისათვის გადაცემის შესახებ. პროკურორი ამტკიცებდა საბრალდებო დასკვნას, შეეძლო თვითონ შეედგინა საბრალდებო დასკვნა სამართალში მიცემის შესახებ, გამოეტანა დადგენილება საქმის შეწყვეტის შესახებ, გადაეცა საქმე სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომისათვის, თუკი არ ეთანხმებოდა გამოძიებლის დადგენილებას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წლის 11 ნოემბრის ზემოაღნიშნული დადგენილებით გამოძიებელი ვალდებული იყო დასკვნითი დადგენილება სამართალში მიცემის შესახებ მთელ საქმესთან ერთად გადაეგზავნა პროკურორისათვის ან მისი თანაშემწისათვის, ხოლო დადგენილება საქმის წარმოებით მოსპობის შესახებ გადაეგზავნა სათანადო სახალხო სასამართლოსათვის და ეს აუცილებლად შეეტყობინებინა პროკურორისათვის.

პროკურორი უნდა გასცნობოდა აგრეთვე მშვიდა იმ საქმის მასალებს, რომლებსაც საგანგებო კომისია აწარმოებდა. დებულება უშვებდა გამოკლისსაც: თუ საქმეს, რომელსაც საგანგებო კომისია აწარმოებდა, განსაკუთრებული საიდუმლო ხასიათი ჰქონდა, მას უნდა გასცნობოდა უშუალოდ რესპუბლიკის პროკურორი ან მის მიერ გამოყოფილი განსაკუთრებული რწმუნებით აღჭურვილი პირი.

დებულებაში მოცემული იყო საქართველოს პროკურატურის ორგანოების სისტემა და სტრუქტურა. პროკურატურას სათავეში ედგარესპუბლიკის პროკურორი, რომელიც ამავე დროს იყო იუსტიციის სახალხო კომისარიატი. რესპუბლიკის პროკურორის უშუალო გამგებლობაში იმყოფებოდა იუსტიციის სახალხო კომისარიატში შექმნილი „საპროკურორო განყოფილება“ (მუხლი მე-8). მოგვიანებით (1924 წელს) საპროკურორო განყოფილების ხელმძღ-

<sup>1</sup> შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ყურნალი „მოამბე“, 1922, № 4, გვ. 6—9.



ვანელობა დაეკისრა რესპუბლიკის პროკურორის უფროს თანაშემწეს.

რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწეებს რესპუბლიკის პროკურორის წარდგენით ამტკიცებდა და ათავისუფლებდა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი. რესპუბლიკის პროკურორი თავისი თანამდებობით ითვლებოდა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად და შედიოდა სახალხო კომისარათა საბჭოში სათათბირო ხმის უფლებით, თუ მას არჩევით არ ჰქონდა მინიჭებული გადამწყვეტი ხმის უფლება.

რესპუბლიკის პროკურორს უშუალოდ ემორჩილებოდა: აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორი, დასავლეთ საქართველოს პროკურორი, რევოლუციური (სამხედრო) ტრიბუნალის პროკურორი, რომელთაც ნიშნავდა და ათავისუფლებდა საქართველოს რესპუბლიკის პროკურორი; აქარის პროკურორსა და სამხრეთ ოსეთის პროკურორს ნიშნავდნენ და თანამდებობიდან ათავისუფლებდნენ რესპუბლიკის პროკურორი და, შესაბამისად, აქარის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები. პროკურატურის ორგანოების ასეთი სტრუქტურა დადგენილი იყო 1922 წლის 11 ნოემბრის დებულებით და სასამართლო წყობილების დებულების 85-ე, 86-ე და 87-ე მუხლებით<sup>2</sup>.

ზემოთ დასახელებულ პროკურორებს ჰყავდათ თანაშემწეები, რომელთაც შესაბამისი პროკურორის წარდგენის საფუძველზე თანამდებობაზე ნიშნავდა რესპუბლიკის პროკურორი ან ათავისუფლებდა თუ სხვა ადგილზე გადაწყავდა ისინი. ეს პროკურორები თავის უფლებამოსილებას ახორციელებდნენ როგორც უშუალოდ თვითონ, ისე თანაშემწეების მეშვეობით.

რესპუბლიკის პროკურორი დებულების მე-10 მუხლის საფუძველზე მოვალე იყო ყოველწლიურად წარედგინა როგორც თავისი, ისე ხელქვეითი პროკურორების საქმიანობის ანგარიში სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისათვის. ხოლო ქვემდგომი პროკურორი ყოველ სამ თვეში ერთხელ თავისი და თავის თანაშემწეთა მოქმედების შესახებ ანგარიშს უდგენდა რესპუბლიკის პროკურორს.

დებულება საქართველოს პროკურატურის შესახებ ნახევარი წლით გვიან იქნა მიღებული

(1922 წლის 11 ნოემბერს) რსფსრ-სთან შედარებით (1922 წლის 28 მაისი). ამის გამო საპროკურორო ზედამხედველობის მრავალ საკითხს საქართველოს პროკურატურის დებულება უფრო დაწვრილებით აწესრიგებდა.

მაგალითად, საქართველოს პროკურატურის დებულება უფრო დაწვრილებით განიხილავდა პროკურორის თანაშემწის უფლებამოსილებას. კერძოდ, რსფსრ-ის სათანადო დებულებებისაგან განსხვავებით დებულება საქართველოს პროკურატურის შესახებ ითვალისწინებდა როგორც პროკურორის, ისე მისი თანაშემწის უფლებას დასწრებოდნენ სათათბირო ხმის უფლებით სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ყველა სხდომას (მუხლი მე-12).

დებულება „საქართველოს პროკურატურის შესახებ“ უფრო დაწვრილებით განსაზღვრავდა პროკურორის უფლებამოსილებას მეორე ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს. კერძოდ, მე-2 მუხლის „გ“ პუნქტით პროკურორს ეკისრებოდა როგორც ბრალდებისათვის მხარის დაჭერა სასამართლოში, ისე საკასაციო პროტესტის დაცვა საკასაციო ინსტანციაში.

რსფსრ-ის დებულება საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ ავალბებდა ქვემდგომ პროკურორებს ყოველ სამ თვეში ანგარიში წარედგინათ თავისი და თავის თანაშემწეთა მოღვაწეობის შესახებ როგორც რესპუბლიკის პროკურორისათვის, ისე საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტისათვის (მუხლი 16). დებულება საქართველოს პროკურატურის შესახებ ქვემდგომ პროკურორს ავალბებდა ანგარიში წარედგინა მხოლოდ რესპუბლიკის პროკურორისათვის. ეს მოწმობს, რომ საქართველოს პროკურატურის დებულებაში უფრო ნათლად იყო გატარებული პროკურატურის ორგანოების ცენტრალიზაციის პრინციპი და რომ ეს ორგანოები არ იყვნენ ანგარიშვალდებული ადგილობრივი ორგანოების წინაშე.

ასეთი იყო საქართველოს პროკურატურის ორგანოების ძირითადი ფუნქციები, სტრუქტურა და უფლებამოსილება შემოადინებული პირველი დებულებით.

შემდგომ ეს დებულება ვითარდებოდა, მასში შედიოდა ცვლილებები და დამატებები. ასე, მაგალითად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ცაკ-ის თავმჯდომარის მ. ცხაკაიას, იუსტიციის სახალხო კომისრის ი. ვარძიელის, ცაკ-ის მდივნის პ. საბაშვილის ხელმოწერით 1924 წლის 19

<sup>2</sup> სასამართლო წყობილების დებულება, იუსტიციის სახალხო კომისარატის გამოცემა, თბილისი, 1924, გვ. 20.



საქართველო  
სსრკ

პარლს მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების დებულების ზოგიერთი ცვლილებებისა და დამატების შესახებ“<sup>3</sup>. ამ დადგენილების XII თავი შეეხებოდა „სახელმწიფო პროკურატურას“. დადგენილების 84-ე მუხლით რესპუბლიკის პროკურორის ერთერთ თანაშემწეს დავადა პროკურორის მოვალეობის შესრულება საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოში.

ეს დადგენილება საგანგებოდ აწესრიგებდა პროკურორის უფლებამოსილებას (სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად) სასამართლოში სამოქალაქო სამართლის საქმეებზე განხილვისას. პროკურორის ვეგლებოდა: ა) მონაწილეობა მიიღო საქმის სამსჯავრო სხდომაზე განხილვის დროს, ბ) გამოეთხოვა საქმე ზედამხედველობის წესით, გ) შეეტანა პროტესტი სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე და საკასაციო დადგენილებაზე (მუხლი 95-ე). დადგენილება სამხედრო ტრიბუნალთან არსებულ სამხედრო პროკურატურას ანიჭებდა ოლქის პროკურატურის ყველა უფლებას ქართული მსროლელი დივიზიისა და საქართველოს სამხედრო კომისარიატის დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა მიმართ (მუხლი 99-ე).

1924 წლის 22 სექტემბერს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ს. ამბარცუმიანისა და ცაკ-ის მდივნის ა. შავერდოვის ხელმოწერით გამოქვეყნდა „დებულება კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ეროვნულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალისა და პროკურატურის შესახებ“<sup>4</sup>. ამ დებულების შესაბამისად ყველა ეროვნულ დივიზიაში არსდებოდა პროკურატურა, რომლის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის პროკურორი. დივიზიათა პროკურატურის პასუხისმგებელი მუშაკები ინიშნებოდნენ რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისართან და არმიის სამხედრო პროკურორთან შეთანხმებით. თვით პროკურორის კანდიდატურას ამტკიცებდა კავკასიის რევოლუციურ-სამხედრო საბჭო. დივიზიის პროკურორი უფლებამოსილი იყო ზედამხედველობის წესით შესასწავლად გამოეთხოვა საქმეები სამხედრო ტრიბუნალიდან და გაეპროტესტებინა ტრიბუნალის განაჩენი. დივიზიის პროკურო-

რი ვალდებული იყო მუშაობის შესახებ აწესრიგებდა არმიის პროკურორისათვის. რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარის უფლება ჰქონდა ყოველ დროს მოეთხოვა ანგარიში სამხედრო პროკურორის მუშაობის შესახებ.

გაითვალისწინა რა ამ პერიოდისათვის შრომის კანონმდებლობის დაცვის მეტად დიდი მნიშვნელობა საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ა. ვევეკეკორის და სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველის ალ. სალარძის ხელმოწერით 1924 წლის 25 ოქტომბერს გამოაქვეყნა დადგენილება „შრომის საქმეთა პროკურატურის შესახებ“<sup>5</sup>. საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოში შეიქმნა შრომის საქმეთა პროკურორის თანამდებობა. მას ნიშნავდა რესპუბლიკის პროკურორი შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით. შრომის საქმეთა პროკურორი უშუალოდ ემორჩილებოდა რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწეს, რომლის თანამდებობაც დაწესდა უზენაეს სასამართლოში.

შრომის საქმეთა პროკურორს ფართო უფლებები მიენიჭა. იგი ზედამხედველობას უწევდა ამ კანონიერების დაცვას, ამ კატეგორიის საქმეების გამოძიების დროს, პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოში შრომის დავების განხილვას. მას უფლება ჰქონდა აღძვრა სისხლის სამართლის საქმე, მონაწილეობდა სასამართლოს განმწესებელ სხდომაზე და მხარს უჭერდა ბრალდებას სასამართლოში, უფლება ჰქონდა საკასაციო და ზედამხედველობის წესით გამოეთხოვა ყოველი შრომის საქმე და, საქირიების შემთხვევაში გაეპროტესტებინა იგი. გარდა ამისა შრომის საქმეთა პროკურორს ვეგლებოდა ხელმძღვანელობა გაეწია ადგილობრივი პროკურორებისათვის ამ უბანზე ზედამხედველობის განხორციელების საკითხში.

შრომის საქმეთა პროკურორის უფლება-მოვალეობას კიდევ უფრო დაწვრილებით აწესრიგებდა 1930 წლის 21 ივლისის „დებულება შრომის საქმეთა პროკურატურის შესახებ“<sup>6</sup>, რომელიც დამტკიცდა საქართველოს სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1930 წლის 21 ივლისის ერთობლივი დადგენილებით და რომელსაც ხელს აწერდნენ ცაკ-ის თავმჯდომარე მ. ცხაკია, სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

<sup>3</sup> მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა თბილისი, 1925 წელი.

<sup>4</sup> გაზეთი „კომუნისტი“, 1924 წლის 24 ოქტომბერი, № 244.

<sup>5</sup> მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული, თბილისი, 1924, № 5, გვ. 38—40.

<sup>6</sup> მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული, თბილისი, 1930, № 15, გვ. 488—490.

და განკარგულებათა კრებული, 1924, № 1,





გ. მგალობლიშვილი და ცაკ-ის მდივნის თანამდებობის დროებითი აღმსრულებელი თ. უღენტი.

დაარსების პირველ წლებში პროკურატურის ორგანოებს ძალზე მცირერიცხოვანი შტატი ჰყვავდათ. ეს ორგანოები არ იყვნენ დაკომპლექტებული კვალიფიციური კადრებით. არასაკმარისო პროკურატურის ორგანოების კავშირი მასებთან. მარტოოდენ აღმოსავლეთ საქართველოში და დასავლეთ საქართველოს პროკურატურების არსებობის პირობებში ეფექტურად ვერ ხორციელდებოდა საპროკურორო ზედამხედველობა. ამას ემატებოდა სტრანსპორტო კავშირის განუვითარებლობა.

აი როგორი იყო პროკურატურის ორგანოთა შემადგენლობა 1927 წლის თებერვალში. იუსტიციის სახალხო კომისარიატის საპროკურორო განყოფილებას უშუალოდ ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის პროკურორის უფროსი თანაშემწე. განყოფილებაში სულ ირიცხებოდა ხუთი პროკურორი, უფროსი მდივანი, მდივანი, ორი საქმის მწარმოებელი, რეგისტრატორი და ორი მემანქანე.

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს პროკურატურა არსებობდა შემდეგი შემადგენლობით: პროკურორი, მისი მოადგილე, პროკურორის ექვსი თანაშემწე, მდივანი, მდივნის ორი თანაშემწე, საქმის მწარმოებელი რეგისტრატორი და მემანქანე.

რესპუბლიკის პროკურორის ი. ვარძიელის 1927 წლის 7 თებერვლის № 17 ბრძანებით პროკურორის თანაშემწეებს მასრაში და ქალაქის უბნებში ეწოდათ მასრისა და ქალაქის პროკურორი. ქ. თბილისში, მაგალითად, არსებობდა ქ. თბილისის ორი უბნის პროკურორის თანამდებობა.

პროკურატურის ორგანოების მუშაობის სრულყოფის მიზნით საქართველოს ცაკ-მა და სახკომსაბჭომ 1927 წლის 31 ოქტომბერს ფ. მახარაძის, ლ. ქართველიშვილისა და დ. აფციანურის ხელმოწერით გამოაქვეყნა დადგენილება „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საოლქო სასამართლოებისა და საოლქო პროკურატურების გაუქმებისა და სამარო სასამართლოებისა და სამარო პროკურატურების დაარსების შესახებ“. დადგენილების მე-10 პუნქტის შესაბამისად გაუქმდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის ორგანოები და მათ ნაცვ-

ლად დაარსდა სამარო პროკურატურები<sup>7</sup>. ამ დადგენილების განხორციელებამ საგრძობლად გაუმჯობესა პროკურატურის ორგანოების მუშაობა, მჭიდროდ დაუკავშირა ეს ორგანოები რაიონების მშრომლებს, უფრო ეფექტური გახდა პროკურატურის უმაღლესი ზედამხედველობის განხორციელება სახელმწიფო დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოღვაწეობის ყველა რგოლში.

პროკურატურის ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროკურატურის ორგანოების ცალკე გამოყოფას.

1930 წლის 17 იანვარს სრულიად საქართველოს საბჭოთა V მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის გადაწყვეტილების შესაბამისად ცაკ-ის თავმჯდომარის მ. ცხაკაიას და ცაკ-ის მდივნის ს. თოდრიას ხელმოწერით გამოაქვეყნა დადგენილება „საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ“<sup>8</sup>. ეს დადგენილება მიღებული იყო საბჭოთა აპარატის მუშაობაში პარალელიზმისა და გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით, აგრეთვე ამ აპარატის გამარტივების, გაიაფების, რაციონალიზაციისა და რევოლუციური კანონიერების ზედამხედველობის სრულყოფის მიზნით.

ცაკ-ის V მოწვევის მეორე სესიამ დაადგინა:

1. გაუქმებულიყო როგორც დამოუკიდებელი სახალხო კომისარიატი იუსტიციის სახალხო კომისარიატი. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს დაეკისრა სასამართლო ორგანოების, ნოტარიატისა და სასამართლო აღმასრულებელთა საერთო ხელმძღვანელობის ორგანიზაცია, ინსტრუქტირება და ადმინისტრირება. იუსტიციის სახალხო კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილების ფუნქციები, საკოორდინაციო ნაწილი და საგამომცემლო აპარატი გადაეცა სახკომსაბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის განყოფილებას.

2. იუსტიციის სახალხო კომისარიატის საპროკურორო განყოფილება რეორგანიზებული უყოფლიყო რესპუბლიკის პროკურატურად და მას უშუალოდ დაქვემდებარებოდა ადგილობრივი პროკურატურა. ამ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით რესპუბლიკის პროკურატურა, ისევე როგორც უზენაესი სასამართლო, უშუალოდ

<sup>7</sup> მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა 1927, № 10, გვ. 334—337.

<sup>8</sup> მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა 1930, № 7, გვ. 161—162.

და განკარგულებათა კრებული, თბილისი,

და განკარგულებათა კრებული, თბილისი.



დაქვემდებარა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

საქართველოში პროკურატურამ ცალკე, დამოუკიდებელი ორგანოს სახით თითქმის სამი წელი იარსება (1933 წლის 4 იანვრამდე). განვითარების ამ ეტაპზე საგრძნობლად გაუმჯობესდა საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელება, დაქვემდებარებული პროკურატურების კონკრეტული და ოპერატიული ხელმძღვანელობა. პროკურატურის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები უფრო ეფექტურად ახორციელებდნენ დაკისრებულ მოვალეობას. გაუმჯობესდა და დაიხვეწა პროკურატურის ორგანოების წყობა, უფრო დემოკრატიული გახდა მათი საქმიანობა.

პროკურატურის ცალკე ორგანოდ ჩამოყალიბებამ განაპირობა ის, რომ შეემუშავებინათ და მიედოთ პროკურატურის ორგანოების ახალი დებულება, რომელსაც უნდა განესაზღვრა პროკურატურის ორგანოების სისტემა, სტრუქტურა, ამოცანები და ფუნქციები განვითარების ახალი ეტაპისათვის. სწორედ ამიტომ საქართველოს სსრ ცაკ-მა და სახკომსაბჭომ 1930 წლის 21 თებერვლის დადგენილებით დაამტკიცა „დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურის შესახებ“<sup>9</sup>.

საქართველოს სსრ პროკურატურა ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი ორგანო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან. რესპუბლიკის პროკურორის ირჩევდა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. მისი ერთ-ერთი უფროსი თანაშემწე ითვლებოდა რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე. რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწეებს, რესპუბლიკის პროკურორის წარდგინებით, ამტკიცებდა ცაკ-ის პრეზიდიუმი, ხოლო სამმართველოს პროკურორებს თანამდებობაზე ნიშნავდა და ათავისუფლებდა თვით რესპუბლიკის პროკურორი. რაც შეეხება რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწეს შრომის საქმეებზე, მას, რესპუბლიკის პროკურორის წარდგინებით, ნიშნავდა ცაკ-ის პრეზიდიუმი. კანდიდატურა წინასწარ უნდა შეეთანხმებინათ შრომის სახალხო კომისარიატთან და საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭოსთან.

რესპუბლიკის პროკურატურის სამმართველოსთან გაწესებული იყო ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურორის თანაშემწე. საქართველოს სსრ პროკურატურისა და ამიერკავკასიის სფსრ-ის პროკურატურის ურთიერთობას

აწესრიგებდა „დებულება ა/კ სფსრ პროკურატურის შესახებ“, რომელიც დაამტკიცა ამიერკავკასიის სფსრ-ის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და ამიერკავკასიის სფსრ-ის სახკომსაბჭომ 1931 წლის 22 აგვისტოს დადგენილებით. დებულება შედგებოდა ოთხი თავისაგან, 33 პუნქტისაგან და განსაზღვრავდა: ამიერკავკასიის სფსრ-ის პროკურატურის სტრუქტურას, ფუნქციებს, ამიერკავკასიის სფსრ-ის პროკურორის, მისი მოადგილეებისა და თანაშემწეების უფლებებსა და მოვალეობებს<sup>10</sup>.

ახალი დებულებით რესპუბლიკის პროკურატურის სამმართველო შედგებოდა შემდეგი განყოფილებებისაგან: ა) საერთო განყოფილება, ბ) საერთო ზედამხედველობის განყოფილება, გ) სასამართლო ზედამხედველობის განყოფილება, დ) გამომძიების, მოკვლევის ორგანოთა და საპატიმრო ადგილების ზედამხედველობის განყოფილება, ე) სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოთა ზედამხედველობის განყოფილება და ვ) შრომის საქმეთა ზედამხედველობის განყოფილება.

იმისათვის, რომ უფრო ოპერატიულად და კონკრეტულად განხორციელებულიყო ადგილობრივი პროკურატურების ხელმძღვანელობა, ახალი დებულების საფუძველზე შეიქმნა ადმოსავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის სამმართველო (ქ. თბილისი) და დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის სამმართველო (ქ. ქუთაისი). ამ ორგანოების პროკურორებსა და მათ თანაშემწეებს ნიშნავდა რესპუბლიკის პროკურორი.

1930 წლის 21 თებერვალს დებულებამ საქართველოს სსრ პროკურატურის ფუნქციები უფრო დაწვრილებით ჩამოაყალიბა. კერძოდ, საქართველოს სსრ პროკურატურას ეკისრებოდა:

ა) სახელმწიფოს სახელით განხორციელებინა ზედამხედველობა ხელისუფლების ყველა ორგანოს, სამეურნეო დაწესებულების, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციის და კერძო პირის მოქმედების კანონიერებაზე;

ბ) ზედამხედველობა გაეწია, თუ როგორც ვადა კანონიერებას გამომძიების ყველა ორგანო, აგრეთვე სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო.

გ) თვალყური ედევნებინა მოკვლევის ყველა ორგანოში და სამძებრო მუშაობაში კანონიერების დაცვისათვის;

<sup>9</sup> მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა 1930, № 9, გვ. 217—222.

<sup>10</sup> Советская прокуратура в важнейших документах. М., 1956, Госизриздат, стр. 374 — 383.

და განკარგულებათა კრებული, თბილისი,

документах. М., 1956, Госизриздат, стр.





დ) შეემოწმებინა განაჩენის აღსრულება და საპატიმრო ადგილების მდგომარეობა;

ე) მოხდინა ყველა იმ ორგანოს მუშაობის კოორდინაცია, რომელიც ბრძოლას ეწეოდა დამნაშავეობასთან. პროკურატურას ეკისრებოდა აგრეთვე საზოგადოებრივ საწყისებზე დამხმარე უჭრედების მოწყობა და მათი ხელმძღვანელობა. ასეთი რგოლები არსდებოდა საწარმოებისა და დაწესებულებებში, რათა რევოლუციური კანონიერებისათვის კონტროლის გაწევის საქმეში ფართოდ ჩაებოთ საზოგადოებრიობა;

ვ) მონაწილეობა მიეღო შრომა-გასწორების სფეროში განსახორციელებელ ღონისძიებათა შემუშავებაში;

ზ) თვალყური ედევნებინა იურისკონსულტებისა და დამცველთა კოლეგიის მუშაობისათვის. პროკურატურას ეკისრებოდა აგრეთვე მშრომელთა მასების იურიდიული დახმარების გაწევის ორგანიზაცია;

თ) გამოჩინა საკანონმდებლო ინიციატივა საპროკურორო მუშაობის პრაქტიკის საფუძველზე. პროკურატურას უფლება ჰქონდა შეემუშავებინა სათანადო კანონპროექტები;

ი) განხორციელებინა ყველა ფუნქცია, რაც გათვალისწინებული იყო სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების სათანადო მუხლებით;

კ) დაცვა სახელმწიფოსა და მშრომელთა ინტერესები სამოქალაქო საქმეებში.

ზემოაღნიშნული დებულებების საფუძველზე გამოძიებისა და მოკვლევის ყველა ორგანოსადმი პროკურატურა ახორციელებდა არა მარტო ზედამხედველობას, არამედ ხელმძღვანელობასაც. დებულებაში ზედამხედველობისა და მეთვალყურეობის გვერდით ნახმარია ტერმინი „ხელმძღვანელობა“. პროკურორს ეკისრებოდა ხელმძღვანელობა გაეწია აგრეთვე ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაციისთვის, როგორც იყო „პროკურატურის ორგანოების დამხმარე უჭრედები“.

პროკურატურის ორგანოებისათვის ყველა ამ ფუნქციის დაკისრება მეტად საპასუხისმგებლოს ზღვდა მათ მუშაობას აღნიშნულ პერიოდში და მოწმობდა ამ ორგანოების დიდ ავტორიტეტს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული დებულებით თავიდანვე არ იყო მოწესრიგებული რესპუბლიკის პროკურატურისა და აფხაზეთის, აჭარის, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურატურების ურთიერთდამოკიდებულება, მაგრამ ეს ხარვეზი მალე იქნა გაშოსწორებული. 1930 წლის 22 აგვისტოს გამოქ-

ვეწდა დადგენილება „საქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურის დებულების დამატებისა და შეცვლის შესახებ“<sup>11</sup>; რომელიც აწესრიგებდა აღნიშნულ საკითხს. კერძოდ, რესპუბლიკის პროკურატურას დაეკისრა ზედამხედველობა გაეწია აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკ-ის და მათი პრეზიდიუმის დადგენილებების კანონიერებისათვის. საქართველოს სსრ პროკურორს უფლება მიენიჭა ზემოთ დასახელებული პროკურატურების მეშვეობით გამოეთხოვა ყველა ცნობა, მასალა, დადგენილება, განაჩენი და გადაწყვეტილება, რაც ამ პროკურატურებისა და სასამართლოების წარმოებაში იყო.

ამასთან ერთად რესპუბლიკის პროკურორს უფლება მიენიჭა წინადადება მიეცა აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურატურების ხელმძღვანელებისათვის, რომ ამ უკანასკნელთა გაეპროტესტებინათ როგორც კანონსაწინააღმდეგო ბრძანებები და დადგენილებანი, ისე სასამართლოს განაჩენები და გადაწყვეტილებანი სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ცალკეულ საქმეებზე და, საჭიროების შემთხვევაში, შეეჩერებინათ კიდევ შესაბამისი დადგენილების, განაჩენისა თუ გადაწყვეტილების აღსრულება.

გარდა ამისა, რესპუბლიკის პროკურორს დაევიდა რესპუბლიკის პროკურატურის მუშაობის ყოველწლიურ ანგარიშთან ერთად სრულიად საქართველოს ცაკ-ის პრეზიდიუმისათვის წარედგინა აგრეთვე აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურატურების მუშაობის ანგარიში.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო საქართველოში პროკურატურის ორგანოების ცენტრალიზაციის, მათი დამოუკიდებლობისა და ერთიანობის პრინციპის განხორციელებას.

პროკურატურის ორგანოების მუშაობაში მონაწილეობდა ფართო საზოგადოებრიობა. ვ. ი. ლენინი საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობაზე (1921 წელი) სამართლიანად მიუთითებდა იმის საქიროებაზე, რომ ფართო საზოგადოებრიობამ „დამოუკიდებელი, სწრაფი და საქმიანი მონაწილეობა მიიღოს კანონიერების დაცვის მეთვალყურეობის საქმეში“<sup>12</sup>. ლენინის ამ მითითების განხორციელების მიზნით პროკურატურის ორგანოების საქმიანობაში თავიდანვე ჩაებნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური წარმომადგენლები. იმისათვის, რომ ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მასები უფრო ორგანიზებულიად ჩაბმულიყვნენ სახელ-

<sup>11</sup> მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული, თბილისი, 1930, № 16, გვ. 531—532.

<sup>12</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 33, გვ. 203.





მწიფო პროკურატურის ორგანოების მუშაობაში, ხელი შეეწყობთ ამ ორგანოების ფუნქციების წარმატებით განხორციელებისათვის და რევოლუციური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, სრულიად საქართველოს ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს 1930 წლის 22 აგვისტოს დადგენილებით დამტკიცდა სპეციალური დებულება პროკურატურის ორგანოების ხელშემწყობი უპრედების შესახებ<sup>13</sup>. ამ დებულების შესაბამისად პროკურატურის ორგანოების ხელშემწყობი უპრედები იქმნებოდა საწარმოებსა და დაწესებულებებში. ხელშემწყობი უპრედის წევრებს ირჩევდა მშრომელთა საერთო კრება. ხელშემწყობი უპრედი ემორჩილებოდა პროკურატურას, რომელსაც ევალებოდა ხელმძღვანელობა გაეწია და წარემართა მათი ყოველდღიური მუშაობა.

სრულიად საქართველოს ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს 1934 წლის 1 თებერვლის დადგენილებით დამტკიცებულ იქნა ახალი „დებულება პროკურატურის ორგანოების დამხმარე უპრედების შესახებ“<sup>14</sup>. მან კიდევ უფრო დაწვრილებით ჩამოაყალიბა, დახვეწა დამხმარე უპრედების ამოცანები სამრეწველო საწარმოებში, ტრანსპორტზე და სოფლად; დამხმარე უპრედების არჩევისა და დამტკიცების წესი; ორგანიზაციული წყობა, მათდამი ხელმძღვანელობის პირობა, ანგარიში, კონტროლი და პროკურატურის დამხმარე უპრედების წევრთა უფლებამოსილებიდან.

1933 წლის 4 იანვარს გამოქვეყნდა სრულიად საქართველოს ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს დადგენილება „საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის მოწყობის შესახებ“<sup>15</sup>. იუსტიციის სახალხო კომისარიატის ხელახალი შექმნა და უზენაესი სასამართლოს, სახალხო სასამართლოების, სახელმწიფო პროკურატურის, აგრეთვე საგამოძიებო აპარატის ამ უწყებაში გაერთიანება ნაკარნახევი იყო კლასობრივი ბრძოლის ვითარებით. საქირო იყო ეს ორგანოები დამორჩილებოდნენ ერთ ხელმძღვანელობას, კიდევ უფრო მტკიცედ დაეცვათ მათ რევოლუციური კანონიერება.

პროკურატურის ორგანოები საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის უწყებაში იმყოფებოდნენ დაახლოებით სამ წელსა და შვიდ თვეს (1936 წლის 9 აგვისტომდე).

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში, ისევე როგორც წინათ, პროკურატურას სათავეში ედგა იუსტიციის სახალხო კომისარი (იგივე რესპუბლიკის პროკურორი). იუსტიციის სახალხო კომისარის მოადგილე ითვლებოდა რესპუბლიკის პროკურორის მოადგილედაც.

პროკურატურის ორგანოებს ეკისრებოდათ ძირითადად იმავე ფუნქციების განხორციელება. საპროკურორო ზედამხედველობა მოიცავდა ითხ ძირითად დარგს: ა) საერთო ზედამხედველობა, ბ) ზედამხედველობა მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების მოღვაწეობაში კანონიერების დაცვისადმი, გ) ზედამხედველობა სასამართლო ორგანოებში სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების განხილვის კანონიერებისადმი და დ) ზედამხედველობა თავისუფლების ადკეთის ადგილებში კანონიერების დაცვისადმი.

პროკურატურის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას ხელი შეუწყო იმან, რომ სრულიად საქავშირო ცაკ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1933 წლის 20 ივნისის დადგენილებით შეიქმნა სსრ კავშირის პროკურატურა. მისი მიზანი იყო მიეღო ზომები სსრ კავშირში სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, დაეცვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრება ანტისაზოგადოებრივი ელემენტების ხელყოფისაგან<sup>16</sup>.

პირველი „დებულება სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ“ დაამტკიცა სრულიად საქავშირო ცაკ-მა და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ 1933 წლის 17 დეკემბრის დადგენილებით. სსრ კავშირის პროკურატურას დაეკისრა: ა) საერთო ზედამხედველობის განხორციელება, ბ) ზედამხედველობა სასამართლო ორგანოების მიერ კანონების ერთგვაროვნად და სწორად გამოყენებისადმი, გ) სისხლის სამართლის საქმის დენის აღძვრა და სახელმწიფო ბრალდებისათვის მხარდაეჭრა, დ) ზედამხედველობა გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს, მილიციის და შრომაგასწორებითი დაწესებულების საქმიანობაში კანონიერების დაცვისადმი და ე) მოკავშირე რესპუბლიკების პროკურატურების საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობა.

ამ დროისათვის საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურატურა ჯერ კიდევ შედიოდა

<sup>13</sup> მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული, თბილისი, 1930, № 16, გვ. 533.  
<sup>14</sup> მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული, თბილისი, 1934, № 6, გვ. 148—152.  
<sup>15</sup> მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული, თბილისი, 1933, № 4, გვ. 119—120.  
<sup>16</sup> Советская прокуратура в важнейших документах. М., 1956, стр. 397.





საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის უწყებაში. სსრ კავშირის პროკურატურის ხელმძღვანელობა კი გამოიხატებოდა იმით, რომ სსრ კავშირის პროკურორს უფლება ჰქონდა მიეცა შესაბამისი მითითება რესპუბლიკის პროკურორისათვის, მოეწვია მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორების თათბირი საპროკურორო მუშაობის საკითხების განხილვის მიზნით, შეემოწმებინა და შეესწავლა მოკავშირე რესპუბლიკის პროკურატურის მუშაობა, გამოეთხოვა მოკავშირე რესპუბლიკის პროკურატურის მუშაობის ანგარიში. ამასთან ერთად მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორის თანამდებობაზე დანიშნა და გათავისუფლება შეადგენდა სსრ კავშირის პროკურორის კომპეტენციას, ოღონდ ეს საკითხი უნდა შეთანხმებულიყო მოკავშირე რესპუბლიკის ცაკ-თან.

სსრ კავშირის პროკურორის 1934 წლის 25 მარტის № 76 ბრძანებით „პროკურატურის აპარატის რეორგანიზაციის შესახებ ცენტრში და ადგილებზე“ პროკურატურის აპარატის სტრუქტურას საფუძვლად დაედო საწარმოო-ტერიტორიული პრინციპი<sup>17</sup>.

აღნიშნული დოკუმენტის გათვალისწინებით სრულიად საქართველოს ცაკმა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ 1934 წლის 15 ივლისს მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ“<sup>18</sup>. ამ დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკის პროკურატურაში საქმეებისა და მიხედვით ჩამოყალიბდა შემდეგი ჯგუფები (სექტორები): ა) მრეწველობის, ბ) სასოფლო-სამეურნეო, გ) სახელმწიფო ვაჭრობის, კოლხერაციისა და ფინანსების, დ) სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს, ე) საადმინისტრაციო-სასამართლო და კულტურული მშენებლობის, ვ) თავისუფლების აღკვეთის ადგილთა შედამხედველობისათვის, ზ) სასამართლო-საყოფაცხოვრებო საქმეებისათვის.

პროკურატურის ორგანოების საწარმოო-ტერიტორიული პრინციპის მიხედვით აგებამ ვერ გამართლა დანიშნულება და იგი გაუქმებულ იქნა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1936 წლის 5 ნოემბრის დადგენილებით „სსრ კავშირის პროკურატურის ორგანოების ახალი სტრუქტურა, რომელიც ამ დადგენილებით დაწესდა, ძირითადად შეესაბამება პროკურატურის ორგანოების ამჟამად არსებულ სტრუქტურას“<sup>19</sup>.

პროკურატურის ორგანოების სრული ცენტრალიზაციის, დამოუკიდებლობისა და ერთიანობის პრინციპის განხორციელების საკითხი საბოლოოდ მოგვარდა მას შემდეგ, რაც სრულიად საკავშირო ცაკ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1936 წლის 20 ივლისის დადგენილებით შეიქმნა სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატი. ამ დადგენილების შესაბამისად სრულიად საქართველოს ცაკ-მა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ 1936 წლის 9 აგვისტოს მიიღო დადგენილება „საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარიატის სისტემიდან საპროკურორო და საგამომძიებლო ორგანოების გამოყოფის შესახებ“, რომლის ძალითაც რესპუბლიკის პროკურატურა გამოეყო საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს და უშუალოდ დაექვემდებარა სსრ კავშირის პროკურატურას<sup>20</sup>.

ამით დამთავრდა პროკურატურის ორგანოების სრული ცენტრალიზაციის, ერთიანობისა და დამოუკიდებლობის განხორციელება სსრ კავშირში.

<sup>17</sup> Советская прокуратура в важнейших документах. М., 1956, стр. 406 — 409.  
<sup>18</sup> მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული, თბილისი, 1934, № 21, გვ. 444—445.  
<sup>19</sup> Советская прокуратура в важнейших документах, М., 1956, стр. 424.  
<sup>20</sup> მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული, თბილისი, 1936, № 23.



# ვ ე ტ ე რ ა ნ ი



მოზავალი წლის დასაწყისში 75 წელი უსრულდება ვლადიმერ იაკობის ძე შონიას — თვალსაჩინო რევოლუციონერ-იატაკქვეშეთელს, ხალხის ბედნიერებისათვის და უცხოეთში მებრძოლს, აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის აქტიურ მონაწილეს.

ვ. ი. შონია დაიბადა 1898 წლის 15 თებერვალს აფხაზეთში, სოფელ ხუმუშკურში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1913 წელს სწავლა დაიწყო მშობლიური სოფლის სამრევლო სკოლაში, 1917 წელს კი წარჩინებით დაამთავრა გალის სამასწავლებლო სკოლა. ნიჭიერმა ახალგაზრდამ სოსუმის პედაგოგიური საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო და იგი სახელმწიფო ხარჯზე მიაგლინეს ალექსანდროვსკიში (ამჟამად დონეცკის ოლქი, ქ. შახტი) სასულიერო-სამასწავლებლო სემინარიაში. თითქოს ასრულდა ვლადიმერის ბავშვობის ოცნება — დაუფლებოდა ცოდნას, მიეღო ყველაზე მშვიდობიანი პროფესია მასწავლებლისა, რათა შემდეგში განათლების ჩირაღდან შეეტანა

ღარიბ-ღატაკთა ოჯახებში, დახმარებოდა გლეხის შვილებს ესწავლათ, გამსდარიყვნენ საზოგადოების ღირსეული წევრები.

ვლადიმერის ეს ოცნება ვერ განხორციელდა. მალე მისი ცხოვრების გზა სხვაგვარად წარიმართა. სემინარიაში სწავლის დროს ვ. შონია ეცნობა მარქსისტულ ლიტერატურას, კომუნისტური პარტიის პროგრამას და უყოყმანოდ დგება ლენინის პარტიის, ბოლშევიკების მხარეზე. უაღრესად მნიშვნელოვანი როლი მისი ხასიათისა და რევოლუციონერად ჩამოყალიბებაში შეასრულა რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ. 1917 წლის დასასრულს ვ. შონია ბრუნდება სამშობლოში და რევოლუციურ მოღვაწეობას ეწევა აფხაზეთში. აქ იგი ეცნობა ადგილობრივ რევოლუციონერებს ნ. სვანიძეს, ე. ეშბას, ნ. აკირტავას, კ. თორიას და სხვებს და მათთან ერთად ეწევა ბრძოლას ქართველი ხალხის ინტერესების გამყარების — მენშევიკების ბატონობის წინააღმდეგ.

1917 წლის დეკემბერში ვ. შონია შედის კომუნისტური პარტიის რიგებში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე ვ. შონია სამურზაყანოს მაზრაში და სოსუმში ასრულებს პარტიის სხვადასხვა დავალებას: ავრცელებს პროლამაციებს, ეწევა პრობაგანდისტულ მუშაობას, აარსებს არალეგალურ კომუნისტურ უჯრედებს და სხვ. 1919 წლიდან ვ. შონია ბოლშევიკური პარტიის სამურზაყანოს არალეგალური სამაზრო კომიტეტის მდივანია.

1920 წლის დასასრულს ბოლშევიკური





პარტიის სოხუმის საოლქო კომიტეტი ავა-  
ლებს ვ. შონიას მოამზადოს სამურზაყა-  
ნოში შეიარაღებული აჯანყება მენშევიკუ-  
რი მთავრობის წინააღმდეგ და ნიშნავს მას  
აჯანყების ხელმძღვანელი ორგანოს — რევ-  
კომის წევრად.

ვლადიმერ იაკობის ძე შონიამ უშუალო  
შონაწილეობა მიიღო მენშევიკების წინააღ-  
მდეგ გალის მშრომელთა აჯანყებასა და  
მაზრასი საბჭოთა ხელისუფლების დამყა-  
რებაში. პირველ ხანებში იგი იყო სამურ-  
ზაყანოს მაზრის რევკომის წევრი, ხოლო  
1921 წლის ივნისიდან იგი ინიშნება აფ-  
ხაზეთის რევკომის კოდორის პოლიტიბიუ-  
როს გამგედ.

ვ. შონიას პირად არქივში დაცულია  
დროისაგან გაყვითლებული მანდატი, რო-  
მელიც გაცემულია 1921 წლის 16 ივ-  
ლისს და ხელს აწერს აფხაზეთის საგან-  
გებო კომისიის თავმჯდომარე კ. დამენია.  
მანდატში ნათქვამია „ეძღვევა ესე ამხ.  
ვლადიმერ შონიას, რომელიც დანიშნულია  
კოდორის პოლიტიბიუროს გამგედ. ამხ. შო-  
ნიას უფლება ეძღვევა: გაჩხრიკოს და და-  
პატიმროს დამნაშავე და საეჭვო პირები,  
ისარგებლოს სამსახურებრივი საჭიროები-  
ათვის სატელეფონო და სატელეგრაფო ხა-  
ზებით, გაგზავნოს სასწრაფო სამხედრო  
დეპეშები, ისარგებლოს მიმოსვლის ყველა  
საშუალებით, იქონიოს ყველა სახის ცივი  
და ცეცხლსასროლი იარაღი“.

როდესაც ადგილებზე შეიქმნა არჩევითი  
ორგანოები, ვ. შონია დანიშნა მუშათა,  
გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების სა-  
მურზაყანოს (გალის) სამაზრო საბჭოს თავ-  
მჯდომარის მოადგილედ და მაზრის პო-  
ლიტიბიუროს უფროსად.

1923 წლის სექტემბრიდან პარტიას ვ.  
შონია გადაყავს სამუშაოდ იუსტიციის ორ-  
განოებში, თავდაპირველად იგი არის აჭა-  
რის რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს  
წევრი, შემდეგ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი  
სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე,  
ხოლო 1926 წლის მაისიდან იუსტიციის  
სახალხო კომისარი და ამ რესპუბლიკის

პროკურორი. ამ თანამდებობაზე მან იმუ-  
შავა სამი წელი. ვ. შონია ენერგიის დაუ-  
ზოგავად იღვწოდა სოციალისტური კანო-  
ნიერების განმტკიცებისათვის, ახალი ამო-  
ცანების შესაბამისად სასამართლო-პრო-  
კურატურის და საბჭოთა ადვოკატურის  
ორგანოების მუშაობის გარდაქმნისათვის.

1929 წლის მაისში ვ. შონია ინიშნება  
ახალციხის რაიონის პროკურორად, ხოლო  
იმავე წლის აგვისტოდან აღმოსავლეთ სა-  
ქართველოს პროკურორის მოადგილედ.

ამ პერიოდში საქართველოში ისევე რო-  
გორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, გამწვავდა  
კლასობრივი ბრძოლა. ქალაქად კაპიტა-  
ლისტური ელემენტები, ხოლო სოფლად კუ-  
ლაკობა წინაღმდეგობას უწევდა პარტიის  
კურსს, რომელიც მიმართული იყო ქვეყნის  
ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურ-  
ნეობის კოლექტივიზაციისაკენ. საბჭოთა სა-  
ხელმწიფოს განვითარების ამ რთულ ხანა-  
ში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ-  
მა კომიტეტმა ვ. შონია, როგორც თადარი-  
გის ჩვეისტი გაგზავნა ამიერკავკასიის სა-  
განგებო კომისიის ორგანოებში, სადაც  
1933 წლამდე იმუშავა. წარმოებისაგან მო-  
უწყვეტილად მან ამ პერიოდში დაამთავრა  
საბჭოთა მშენებლობისა და სამართლის  
თბილისის ინსტიტუტის სამართლის ფა-  
კულტეტი.

1933 წლის სექტემბერში ამხ. ვ. შონია  
ინიშნება ამიერკავკასიის პროკურორის მო-  
ადგილედ სპეტსაქმებზე. ამ თანამდებობა-  
ზე მან დაპყო ამიერკავკასიის ფედერაციის  
ლიკვიდაციამდე — 1936 წლამდე.

1936 წლის სექტემბერში ვ. შონია სა-  
ქართველოს სსრ პროკურორის მოადგილედ,  
1937 წლიდან კი აფხაზეთის ასსრ პროკუ-  
რორი. 1942 წლის მარტიდან იგი კვლავ  
გადმოპყავთ თბილისში და ნიშნავენ სა-  
ქართველოს სსრ პროკურორის მოადგილედ.

1946 წლის ივლისში ვ. შონია საქართ-  
ველოს სსრ პროკურორია. მას ენიჭება იუს-  
ტიციის მეორე კლასის სახელმწიფო მრჩევე-  
ლის ჩინი.



ამ თანამდებობაზე მუშაობისას მან დიდი როლი შეასრულა დამნაშავეობის წინააღმდეგ მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების დარაზმვისათვის.

1953 წლის აპრილიდან ვ. შონია სამუშაოდ იგზავნება აფხაზეთის ასსრ-ში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. 1958 წლიდან აფხაზეთის ასსრ პროკურორის თანაშემწე და საგამოძიებო განყოფილების უფროსია. პენსიაზე გასვლის შემდეგაც ამხ. ვ. შონიას არ გაუწყვეტია კავშირი პროკურატურის ორგანოებთან. თავის მდიდარ გამოცდილებას იგი გადასცემს ახალგაზრდობას, ეხმარება მათ პროფესიულ დაოსტატებაში.

ვლადიმერ შონიას საქმიანობა ღირსეულად დააფასა პარტიამ და მთავრობამ. იგი დაჯილდოებულია: ლენინის, შრომის წითელი დროშის და საპატიო ნიშნის ორდენით,

მედლებით და სიგელებით. იგი არაერთხელ იყო არჩეული აფხაზეთის ასსრ ცაკ-ის წევრად, აფხაზეთის და საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წევრად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრად. რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით მას დაენიშნა რესპუბლიკური პერსონალური პენსია.

საბჭოთა პროკურატურის ორმოცდაათი წლისთავის იუბილეს წინა დღეებში მასთან მისალოცად მიდიან მეგობრები, კოლეგები, ახალგაზრდა იურისტები. ისინი ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს უსურვებენ ამგდარ ადამიანს, რომელმაც პროკურატურის ორგანოებში თითქმის ორმოცი წელი გაატარა.

3. მელაქი



# დიანულის ვადავუა

## მეხილუბელ მკვიცხულებათა სწორი გამოყენება ღანაშაულის გუხსნის საფუძველია

ოც წელზე მეტ ხანს მუშაობდა ოჩამჩირის რაიონის ჩამბას სახელობის კოლმეურნეობაში სკკპ წევრი როსიმ შააბის ძე ბუთბა. იგი პირველად მოლარე-მეკუჭნავედ მუშაობდა, შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, სოფსაბჭოს თავმჯდომარედ და ბოლოს კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ. ამავე კოლმეურნეობაში მუშაობდა რიგითი კოლმეურნე კვას ბიჭის ძე კვიცინია.

ის ფაქტი რომ მოლარე-მეკუჭნავე ბუთბა კოლმეურნეობის განმტკიცების შემდეგ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ დააწინაურეს, მეტყველებს იმ პატივისცემასა და ნდობაზე, რითაც ბუთბა სარგებლობდა კოლმეურნეთა შორის.

1954 წელს ეს ნდობა რამდენადმე შეირყა. კოლმეურნეებს ეჭვი შეეპარათ, რომ ბუთბამ და კვიცინიამ კოლმეურნეობის სალაროდან გაიტაცეს დიდი ოდენობის თანხა (ძველი კურსით 95.777 მან.). მაგრამ ამ თანხის გატაცებაზე სხვა პირები გაასამართლეს. ბუთბა და კვიცინია განზე დარჩნენ. ფულის გატაცება კი ასე მოხდა:

1954 წლის 11 იანვარს კოლმეურნეობის მოლარე აკაკი კვიცინიამ, რომელიც ამ თანამდებობაზე სულ სამი თვე მუშაობდა, წარდგინილი ქვითრით ოჩამჩირის შემნახველი სალაროს განყოფილებიდან 120.000 მან. (ძველი კურსით) მიიღო. გასცა რა კოლმეურნეებზე ამ თანხის ნაწილი (24.223 მან.), დარჩენილი 95.777 მან. აკ. კვიცინიამ ინკასატორის ჩანთაში ჩადო და სეიფში შეინახა.

მეორე დღეს ე. ი. 12 იანვარს სამსახურში რომ გამოცხადდა და სეიფი გააღო ფული იქ აღარ იყო. ეს ამბავი სასწრაფოდ შეატყობინა კოლმეურნეობის გამგეობას და ოჩამჩირის რაიონილიციას, მილიციის თანამშრომლებმა, აფხაზეთის ასსრ შსს წარმომადგენელთან ერთად დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი. აღმოჩნდა, რომ არც სეიფის გასაღები და არც იმ შენობის კარის გასაღები, სადაც სეიფი იდგა არ იყო დაზიანებული, და, ბუნებრივია, ისინი შესაბამისი გასაღებით იყო გაღებული. ეს გარეშე პირს არ შეეძლო გაეკეთებინა.

გასაღები მოლარე აკაკი კვიცინიას ჰქონდა

და ამიტომაც მის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

მოლარის მიერ ფულის გატაცების ვერსიას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ქურდობის წინადადეს, იმ შენობაში სადაც სეიფი იდგა, აკაკი კვიცინიამ ღებნი გაშარათა.

აკ. კვიცინიამ თავი დამნაშავედ არ ცნო და თუმცა მისი განმარტებანი არაფრით არ იყო უარყოფილი, იგი სამართალში მისცეს და 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მასთან ერთად გაასამართლეს უკონტროლობისათვის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ფაჩული კვიცინია და კოლმეურნეობის ბუხალტერი ბიგვაკა.

ეს იყო სასამართლოს დიდი შეცდომა, რომელიც იმ დროს არ იყო გამოაშკარავებული. მაშინვე, 1954 წელს, როგორც კი აკ. კვიცინია დააპატიმრეს, მამამისმა თეიმურაზმა მოიწვია თავისთან სოფლის საპატოო დრმად მოხუცებული, რომელსაც განუცხადა, რომ მისი შვილი არ არის დამნაშავე, ზის ტყუილბრალოდ და რომ ფული გაიტაცეს როსიმ ბუთბამ და კვას კვიცინიამ. თეიმურაზ კვიცინიამ თხოვა თანასოფლელებს მისუღიყვნენ კვას კვიცინიასთან და ეთქვათ რომ ფული მან გაიტაცა და თუ ის ამაზე უარს იტყოდა მაშინ ხატზე დაეფიცა. მაგრამ თანასოფლელებმა არ გარკვიეს ეს საკითხი. ბუთბასა და კვას კვიცინიას მიერ ფულის გატაცებაზე ლაპარაკობდა თვით აკაკი კვიცინიაც.

მილიციის მუშაკებმა, რომლებსთვისაც ცნობილი იყო ეჭვები ბუთბას მიმართ, გაჩხრიკეს მისი ბინა, მაგრამ გატაცებული ფული რომ ვერ ნახეს, ბუთბასა და კვას კვიცინიას მოეშვენენ.

გავიდა თხუთმეტი წელი. 1969 წლის 24 აგვისტოს ღამით კოლმეურნეობის გამგეობის იმავე სეიფიდან კვლავ გაიტაცეს ფული.

როგორც კი გაიგეს, რომ კოლმეურნეობის სალაროს შენობაში ბოროტმოქმედებმა შეაღწიეს, ოჩამჩირის რაიონის პროკურატურისა და მილიციის მუშაკები გამოცხადნენ შემთხვევის ადგილზე. შენობის კარები, სადაც სეიფი იდგა, ორი ბოჭლომით იყო დაკეტილი. არც ბოჭლო-





შეზღუდვები და არც კარებზე არავითარი კვალი არ შემჩნეოდა. ბოქლომები გაღებული იყო მოლარის გასაღებებით. შენობის პირველი სართულის ოთახის კუთხეში იდგა რკინის სეფი. სეფის კარი გამოღებული იყო. სეფის გასაღების სახელური იყო „ლია“ მდგომარეობაში და „დაკეტის“ მიმართულებით არ ტრიალებდა, რადგანაც რიველის ბოლოები არ გამოდიოდა თავისი ხერხებიდან ზემო ნაწიბურის ფურცლის ჩამოწევისა და გამრუდებისაგან. სეფის კარების ჭუჭურუტანაში ჩადებული გასაღების ზედაპირი დაქანებული იყო. გასაღები ადვილად აღებდა და კეტავდა სეფის საკეტს.

ადგილის დათვალიერებასთან ერთად საბუხ-ჭალტრა დოკუმენტები შეამოწმეს. კოლმეურნეობის სალაროში 5.600 მან. დანაკლისი გამოვლინდა.

ამ მონაცემების საფუძველზე იმავე დღეს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც სირთულის გამო თავის წარმოებაში მიიღო შემთხვევის ადგილის დათვალიერების ხელმძღვანელმა, ოჩამჩირის რაიონის პროკურორმა, იუსტიციის უმცროსმა მრჩეველმა ა. ტ. ემუხვარმა.

პირველი სავამოძიებო მოქმედებათა მარჯვედ ჩატარებით, კერძოდ შემთხვევის ადგილის დათვალიერებით, ხოლო შემდეგ თვითმხილველის — კოლმეურნეობის გამგეობის დარაჯის ანზორ კვიცინიას დაკითხვით, ემუხვარმა დაადგინა საკმაო მონაცემები ქურდობის ვერსიის წამოსაყენებლად და მის ჩამდენ პირებზე.

კოლმეურნეობის დარაჯმა უჩვენა, რომ დაახლოებით ღამის სამ საათზე, სამორიგო გიხურში მყოფმა კოლმეურნეობის სალაროს შენობის მხრიდან გააგონა სეფის რიველის დაშლისას დასმული წკრილა ხმა. ამ ხმაზე სამორიგო გიხურიდან გამოსულმა იყვია: ვინა ხარ? რის შემდეგ დაინახა თუ როგორ გაიქცა სალაროს შენობიდან ჯერ ერთი კაცი, ხოლო შემდეგ მასვე გაეკიდა მეორე კაციც, რომელშიც დარაჯმა შეიცნო კვას კვიცინია. გაქცეულებს ტყვია დაადგინა დარაჯმა, მაგრამ დამნაშავეებმა მოასწრეს გაქცევა.

დაუპირისპირა რა ამ გატაცების ყველა გარემოება 1954 წელს იმავე სეფიდან ფულის გატაცების მდგომარეობას ემუხვარი მივიდა იმ აზრამდე, რომ როგორც პირველი, ასევე მეორე გატაცება შეიძლება მოხდინა მხოლოდ იმ პირებს, რომელსაც ჰქონდათ სეფისა და შემოსასვლელი კარის გასაღებები, სეფის დაქანებული გასაღები, რომელიც სეფის კლიტის ჭუჭურუტანაში იდო, იმ დასკვნის გამოტანის შესაძ-

ლებლობას იძლეოდა რომ გასაღები დიდი დროს განმავლობაში უმოქმედოდ იდო.

პირველი გატაცების დროს ეჭვი ეპარებოდათ არა მარტო მოლარე ა. კვიცინიასზე, რომელიც როგორც ზევითაც აღენიშნეთ გასამართლეს კიდევ, არამედ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ბუთბაზე და კოლმეურნე კვას კვიცინიასზე.

მოცემულ საქმეზე დარაჯმა ამოიცნო კვას კვიცინია, იმ პირად რომელიც კოლმეურნეობის სალაროს შენობიდან ვარბოდა.

ვაითვალისწინა რა ეს გარემოება და აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ბუთბა ადრე, კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულად მოლარე-მეკუჭნავედ მუშაობდა, ი. ტ. ემუხვარმა საფუძვლიანად წამოაყენა ვერსია — ახლადანაშენელი მოლარე-მეკუჭნავესათვის საქმეებისა და ფულის ჩაბარებისას, ბუთბას შეეძლო მისთვის გადაეცა სეფის მხოლოდ ერთი გასაღები, მეორე კი დაეტოვებინა თავისთვის, რაც გამოიყენა მან შემდეგში სეფიდან ფულის გატაცებისათვის.

მოწმის სახით დაკითხულმა ყოფილმა მოლარე-მეკუჭნავემ დელილ-ოღლიმ, რომელსაც ბუთბამ თავის დროზე სალარო ჩააბარა აღნიშნა, რომ ბუთბამ მას გადასცა სეფის მხოლოდ ერთი გასაღები. თუ იყო მეორე გასაღები ან თუ იყო რა იქნა, მან ამის შესახებ არაფერი იცოდა.

რამდენადაც დარაჯმა პირდაპირი ჩვენება მისცა, რომ სალაროს შენობიდან გაქცეული პირი კვას კვიცინია იყო, ეს უკანასკნელი დააკავეს როგორც ეჭვიმტანილი პირი. კვას კვიცინია ჩაიყვანეს ოჩამჩირეში, სადაც ის დაკითხა პროკურორმა ა. ემუხვარმა. ეჭვიმტანილი პირველად კატეგორიულად უარყოფდა 1969 წლის 24 აგვისტოს დამით ქურდობაში მონაწილეობას და წამოაყენა აღიბი, რომ იმ დამეს ის ამხანაგებთან ერთად თანასოფელ მაროა კვიცინიას დასაუფლებებზე იყო, სადაც დალია სპირტიანი სასმელები და დაითრო კიდევ. კოლმეურნეობის გამგეობის შენობასთან მან ვაიარა ღამის 12 საათზე, სადაც დაუფარდა ქუდი და ეძებდა. ამით ახსნა კვას კვიცინიამ დარაჯის ჩვენება. თავისი ჩვენების დამადასტურებლად მან დაასახელა მოწმეები: აიძბა, ჟუკი, იური კვიცინია და ლურგუნ ჯინჯოლია.

კვას კვიცინიას დაკითხვისთანავე, პროკურორმა ა. ემუხვარმა დარეკა სოფლსაბჭოში და იქ მყოფ მილიციის მუშაკებს დაავალა დაეძებნათ და მოეყვანათ სოფლსაბჭოს შენობაში კვიცინიას მიერ დასახლებული პირები, თვითონაც იქით გაემგზავრა.

კვას კვიცინიას დაკითხვიდან ორი საათის



შემდეგ, სწრაფი ოპერატიული ღონისძიებების მიღების შედეგად ა. ემუხვარმა დაკითხა ა. ავიძბა, ი. კვიციანი და დ. ჯიჩორია. აღნიშნულმა პირებმა განაცხადეს, რომ ისინი 23 აგვისტოს ზვიან ღამით იყვნენ მართა კვიციანიას სატირალში, მაგრამ კვას კვიციანია იქ არ უნახავთ.

ამრიგად მოწმეთა და თვით კვას კვიციანიას დაკითხვით მისი ალიბი უარყოფილი იქნა და კვას კვიციანია იძულებული გახდა თავი ელიაჩიზინა სეიფიდან ფულის გატაცების მოწაწილედ და დაასახელა კიდევ მეორე მოწაწილედ — როსიმ ბუთბა.

1969 წლის 27 აგვისტოს დააკავეს ბუთბა.

დასაწყისში ის კატეგორიულად უარყოფდა თავის მოწაწილობას ფულის გატაცებაში. მაშინ ა. ემუხვარმა ბუთბას გააცნო კვას კვიციანიას ზოგეობით ჩვენება, სადაც კვას უკანასკნელი აღიარებდა ფულის გატაცების ფაქტს და მთავარ მოწაწილედ ასახელებდა ბუთბას, გააცნო აგრეთვე დელილ-ოღლის ჩვენება, რომ საქმეთა გადაცემის დროს მას ბუთბამ სეიფის მხოლოდ ერთი გასაღები გადასცა. ამის შემდეგ ა. ემუხვარმა ბუთბას წააკითხა სავამოძიებო მასალები, რაც უარყოფდა მის ჩვენებას, თითქოსდა ის მტრულ ურთიერთობაში იყო კვას კვიციანიასთან და ამიტომ სწამებდა ეს უკანასკნელი მას ცილს.

რადგანაც ბუთბამ არ იცოდა კვას კვიციანიას ჩვენებანი სრულად და დარწმუნდა, რომ გამოძიებისათვის ცნობილი იყო არა მარტო 1969 წლის 24 აგვისტოს ჩადენილი გატაცება, არამედ 1954 წელს ჩადენილი გატაცებაც, მან თავი ცნო დამნაშავედ ორივე გატაცებაში და აღნიშნა შემდეგი:

1941 წლის ივლისში ჯარში გაწვეულ თავმჯდომარე ჯინჯოლიას მაგივრად მის თანამდებობაზე აირჩიეს ის-ბუთბა. მოლარე-მეუტუქნავედ დანიშნეს კოლმეურნე დელილ-ოღლი, რომელსაც ბუთბამ გადასცა თავისი საქმეები, მაგრამ რადგანაც ბუთბას მომავალში განზრახული ჰქონდა კოლმეურნეობის სალაროდან ფულის გატაცება, სეიფის ერთი გასაღები თავისთვის შეინახა.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში მას არ მიეცა შემთხვევა, რომ ფული გაეტაცა და აი, 1954 წლის იანვარში როგორც კი გაიგო, რომ ხალმა მოლარემ აკაცი კვიციანიამ სახანკიდან მიიღო 120.000 მან. (ძველი კურსით), იმავე დღეს მოელაპარაკა კვას კვიციანიას ფულის გატაცებაზე. აღნიშნულზე ისინი შეთანხმდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარის ფაჩული კვიციანიას მიერ გამართულ ღზინზე, რომელიც მან გამართა ცოლისძმის ჩამოსვლის გამო. ბუთბამ დაავალა კვას კვიციანიას ემოვნა იმ შენობის

ბოქლომის გასაღები, სადაც სეიფი იდგა. კვას კვიციანიამც მონახა ეს გასაღები.

ღამით, როდესაც კოლმეურნეობის გამგეობის შენობის მეორე საართულზე მყოფმა დარაჯმა დაიძინა, მათ გააღეს ჯერ შენობის კარები კვასის მიერ შერჩეული გასაღებით, ხოლო შემდეგ სეიფი და გამოიღეს იქიდან 95.777 მან. ეს თანხა წაიღეს სოფ. ათარ-აფხაზის განაპირას და შეინახეს ფარჩხში, შემდეგ კი გაინაწილეს.

ბუთბასა და კვას კვიციანიას მიერ 5.600 მან. გატაცების საქმეს დაერთო 1954 წელს გატაცებული 95.777 მანეთზე არსებული საქმე, რომლის გატაცებაც მათ ბრალად არ ედებოდათ ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

რაც შეეხება ადრე შეცდომით მსჯავრდებულ აკ. კვიციანიას და სხვებს, მათი საქმე ხელშეორედ იქნა გადასინჯული ახლად დადგენილ გარემოებათა გამო და ისინი რეაბილიტირებულ იქნენ.

5.600 მანეთის გატაცების საქმის შემდგომი გამოძიებით ბუთბას, კვას კვიციანიასა და მოწმეთა ჩვენებით დადგინდა შემდეგი:

1969 წლის 23 აგვისტოს ბუთბამ და კვას კვიციანიამ, რომლებიც თანასოფლედ მიტრო კვიციანიას დასაფლავებაზე იყვნენ, მოილაპარაკეს გაეტაცათ ფული კოლმეურნეობის სალაროდან. ისინი ღამის სამ საათზე შეხვდნენ ერთმანეთს გზაჯვარედინზე, რომელიც კოლმეურნეობის გამგეობისკენ მიდიოდა, მიუახლოვდნენ გამგეობის შენობას და როდესაც დარაჯი ჯიხურში შევიდა, კვას კვიციანიამ გააღო შენობის კარები და იქვე გაჩერდა მეთვალყურედ. ბუთბა კი შევიდა შენობაში და გააღო სეიფი, რომლის გასაღებიც მას ჰქონდა. ამ დროს დარაჯს შემოესმა ხმაური და დაიძახა „ვიც არისო“. ბუთბამ სიჩქარით ვეღარ მოასწრო სეიფის დაკეტვა და იქიდან გასაღების გამოძრობა, დაავლი ხელი ჩანთას, რომელშიც ფული იყო შენახული და მოჰკურცხლა, ხოლო კვას კვიციანიამ ჯერ დაკეტა შენობის კარები და თვითონაც გაიქცა.

ბუთბამ შემდეგ უჩვენა, რომ გზაში მთელი თანხა შეინახა 1969 წლის 17 ივლისის გაზეთ „აფხსნი კაშუში“, ჩაღო ის პოლიციელენის ბაღურაში და შემდეგ გასწია თავის სახლთან ახლომდებარე ტყეში, სადაც წაქცეულ თუთის ხის ფულუროში შეინახა გატაცებული ფული.

ამ ჩვენებების ადგილზე შემოწმებით ა. ემუხვარმა დამსწრეებისა და თვით ბუთბას თანდასწრებით ნახა აღნიშნულ ადგილზე მთელი გატაცებული თანხა და საქმეს დაურთო. იმ დამსწრე, როდესაც ფული გაიტაცეს, კვას კვიციანია მივიდა ბუთბასთან სახლში და მოილაპარაკეს, რომ თუ მათ დააკავებდნენ ისინი არ



ელიარებდნენ დანაშაულს, მაგრამ სწრაფად შეგ-  
როვილი მტკიცებულებებით, ისინი იძულებუ-  
ლი გახდნენ ელიარებიანთ გატაცების ფაქტი.

გამოძიების პროცესში პროკურორმა ა. ემუხ-  
ვარმა მარჯვედ გამოიყენა კინოფოტოგადაღე-  
ბები, დანიშნა რამდენიმე კრიმინალისტიკური  
ექსპერტიზა და უფრო მნიშვნელოვანი ჩვენე-  
ბანი მაგნიტოფონის ფირზე ჩაიწერა. ყველა ამ  
მტკიცებულებებით მხილებული დანაშაულებები  
იძულებული გახდნენ ელიარებიანთ თავიანთი  
დანაშაული.

რ. შ. ბუთბა და კ. ბ. კვიციანია გაასამართ-  
ლა სახალხო სასამართლომ ხანგრძლივი დროის  
თავისუფლების აღკვეთითა და ქონების კონ-  
ფისკაციით.

ალექსანდრე ტიმოტეს-ძე ემუხვარი მუშაობს  
ოჩამჩირის რაიონის პროკურორად 1957 წლი-  
დან და ამ დროის განმავლობაში მან არაერ-  
თხელ გამოიძია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი  
საქმეები.

**ბ. ძველიძე.**



# ღამოქდეს მახვილი\*

აკოვ. მ. კვიციანი

## ნიურნბერგის პროცესის მონაწილის შთაბეჭდილებანი

### გენერალური რეპეტიცია...

პროცესის დაწყების დღე მოახლოვდა. ყველა ღელავდა. ყველას რაღაც საზრუნავი ჰქონდა: მოსამართლეებს, ბრალდებისა და დაცვის მხარეს, დამხმარე თუ ტექნიკურ პერსონალს. ყველამ იცოდა, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა აწვიათ ისტორიის წინაშე. ერთ-ერთმა ბრალმდებელმა თქვა კიდევ:

— ისტორიკოსები ათასა წლის შემდეგაც ისევე მოიგონებენ და შეისწავლიან ამ პროცესს, როგორც ჩვენ ვსწავლობთ დღეს ძველი კართაგენისა და რომის ამბებს...

ამიტომ ყველაფერი გასათვალისწინებელი იყო, ასაწონ-დასაწონი, ისიც კი, თუ რა უნდა ჩაეცვათ ტრიბუნალის წევრებს, როგორი საგარძლები უნდა დაედგათ მათთვის, ვინ სად უნდა დამჯდარიყო და სხვა ამგვარი...

ტრიბუნალის სპეციალურმა სხდომამ გადაწყვიტა: ინგლისელი, ამერიკელი და ფრანგი მოსამართლეები თუ მათი თანაშემწეები გამოვლენ ტრადიციულ შავ ან მუქ-ლურჯ მოსასხამებში, საბჭოთა წარმომადგენლები კი სამხედრო მუნდირებში. რაც შეეხება ტრიბუნალის წევრების საგარძლებს, აქ ერთგვარბა წინააღმდეგობამაც იჩინა თავი. თავდაპირველად განზრახული იყო, რომ მოსამართლეებისთვის უფრო მაღალურდებიანი საგარძლები დაედგათ, სოლო მათი თანაშემწეებისათვის — შედარებით დაბალი, მაგრამ ამერიკელი მოსამართლის თანაშემწემ — პარკერმა პროტესტი განაცხადა ამაზე, ეს ჩვენი როლის უგულვებელყოფა, ანუ დისკრიმინაცია იქნებაო.

— მე ვმიშობ, რომ ამ პროცესზე ისეთივე უსაქმური ვიქნები, როგორც ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც უცდის, როდესაც გაათავისუფლებს პრეზიდენტის საგარძელი, — განაცხადა მან.

ამას მოჰყვა ხანგრძლივი დისკუსია მოსამართლეთა თანაშემწეების უფლება-მოვალეობის შესახებ. ბოლოს, საქმე იმით დამთავრდა, რომ ყველასათვის ერთნაირი საგარძლების დადგმა გადაწყვიტეს.

საერთოდ, სხდომათა დარბაზში ყველგან რბილი საგარძლები იდგა, ბრალდებულთათვის კი ხის გრძელი სკამები, სადაც ნომრებით იყო აღნიშნული — ვინ სად უნდა დაესვათ...

...დიდი მზადება იყო ენდრიუსის „პოლიტიკურ ზოოპარკშიც“. მან ჯერ ტანსაცმელი გაუსინჯა ყველა ბრალდებულს და „აღმოაჩინა“, რომ ზოგიერთმა თვანს დახეული კოსტუმი ეცვა. მართალია, იგი ამბობდა, „ჩემი ექსპონატები პროცესზე კარგად უნდა გამოიყურებოდნენო“, მაგრამ რა უნდა ექნა: შინაგანაწესის მიხედვით, გარედან ციხეში ტანსაცმლის შეტანა აკრძალული იყო, არადა, „შარვაღამოსეულ ფელდმარშლებსა და მინისტრებს ხომ არ გამოიყვანდა პროცესზე!“ ამიტომ „სოსებზე“ ნადირობის დროს ჩამორთმეული ჩემოდნები გაახსენებინა და, თუ ვინმეს რამე რიგიანი ჩასაცმელი ჰქონდა, დაურიგა. ფრიჩე წერს, მე შევერმა მათხოვა თავისი შარვალით. სხვებისთვის მეკრავები მოიწვიეს და, როგორც იქნა, შემოსეს ყველანი.

ენდრიუსის განკარგულებით, ამ „სამეფლისო ტანსაცმელს“ მხოლოდ სხდომის დარბაზში ჩასაცმელად ურიგებდნენ ბრალდებულებს, დანარჩენ დროს ისევ თავიანთი ძველმანები ეცვათ...

განა ესეც ბედის დაცინვა არ იყო? ერთ დროს მივლი ევროპის საუკეთესო სამკურვალოები შეწირილლებული ჰყავდათ გერინგის, რიხენტრობისა და სხვების კოსტუმების შესაყარად, ახლა კი ასე უბრალოდ მოგვარდა ყველაფერი.

პროცესის მოახლოვების გამო კვებაც გაუმჯობესდა. ამაზე შირახმა „ისუმრა“, ჩამოსხრების წინ, ალბათ, კარგად გამოგვამდობნენ. შტრაინგერმა დაუმატა, სწორია, იქნებ ძეხვის ნაჭრებიც დაგვირიგონო.

ენდრიუსს ამგვარი ხუმრობისათვის სად ეცალა. იგი ყოველ წერილმანს რაღაც სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებდა. აქაოდა, სამსჯავროს წინაშე დანაშაულის დადგენამდე ყველა თანასწორიაო, პარიკმახერები იხმო და ბრალდებულებს ყველას ერთ სიგრძეზე დაუყვანა თმა...

„რეპეტიციის“ დღეს ყველა ბრალდებულს „სამეფლისო“ კოსტუმები ჩააცვეს და დერეფანში გაანწყობეს. მერე ამ „ოცუელის“ წინ ამერიკელი ოფიცერი, ხოლო ყოველი ბრალდებულის უკან, საგანგებოდ გამოწყობილი სამხედრო პოლიციელები დააყენეს და ასე გაუდგნენ გზას ტრიბუნალის დარბაზისაკენ.

\* ნაწყვეტი წიგნიდან „ას ერვასის დღე“ (მესამე ნაწილი). მთლიანად წიგნს უახლოეს ხანში გამოცემის გამოძეგმლობა „საბჭოთა საქართველო“.



„აღლუმს“ აქაც პოლკოვნიკი ენდრიუსი ხელმძღვანელობდა, ყველა მოსახვევთან მცველები ჰყავდა დაყვებულნი. ისინი გზადაგზა ამოწმებდნენ „ოცეულის“ პირად შემადგენლობას, სომ არავინ აკლიაო. რეპროდუქტორებში გაისმოდა განკარგულებები:

— მარჯვნივ! მარცხნივ! სდექ! იარ! და სხვ.

მერე ყველანი ლიფტით აიყვანეს ზევით და გრძელი დერეფნით განავრდეს გზა. ფანჯრები, როგორც მოგახსენეთ, ყველგან ამოქოლილი იყო, რათა არც ერთ მათგანს აღარ ეხილა დღის სინათლე...

...დარბაზში ფოტოკორესპონდენტები და კინოოპერატორები ირეოდნენ. ყველა ცდილობდა, რაც შეიძლებოდა მოხერხებული ადგილი შეერჩია და უკეთესი კადრები გადაედო. ბრალდებულთაგან ზოგმა არ ისურვა ეს და სახესე ხელი აიფარა. შასტმა დემონსტრაციულად შეაქცია ზურგი „აბოზარ“ კორესპონდენტებს. სხვებმა, პირიქით, საშუალება მისცეს მათ, როგორც უნდოდათ, ისე გადაედოთ. ისინი ყურადღებით ათვალერებდნენ სხდომათა დარბაზს და მომსახურე პერსონალს.

— იმდენ ხანს ვიწრო საკანში ყოფნის შემდეგ აქ, ამ ვრცელ დარბაზში, დავიბენითო, — წერს ფირიქ.

შემდეგ კორესპონდენტები დაითხოვეს და თვითონაც ჩაებნენ „რეპუბლიკაში“. ყველაფერი შეამოწმეს, მიზანსცენები დალაგეს და... ვითომ მართლა სპექტაკლი ყოფილიყო, ისე დაიწყეს „გენერალური რეპრეზენტაცია“. მათ წინასწარ ჰყავდათ შერჩეული „კარპატრონი“ ამერიკელი ოფიცერი ბოუკერი, რომელიც მოსამართლეების შემოსვლის წინ უნდა გამოეცხადებინა:

— ყურადღება, სასამართლო მობრძანდება!..

ბოუკერმა ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენაზე სწორად წარმოთქვა ეს ფრაზა, მაგრამ ჯერი რუსულზე რომ მიდგა, თითქმის ცარიელ დარბაზში „внимание!“ —ს ნაცვლად, დაიქუხა:

— Молчат!..

გაუსწორეს და მეორედ უკვე სწორად, მაგრამ ვამოკვეთილი ამერიკული აქცენტით წარმოთქვა: **Внимание суд идет!**

ყველაფერი რომ მოათავეს, ენდრიუსმა სიტყვით მიმართა ბრალდებულებს, იმედი მაქვს, მთელი პროცესის მანძილზე ჩვენს შორის არავითარი გავუგებრობა არ მოხდებაო. იგი ისე გამაყოფილი იყო ჩატარებული „რეპრეზენტაცია“, რომ შედგა გაბადრულ სახესე ეწერა:

— ყველაფერი რიგზეა!..

მერე ისევ ერთ მწკრივზე დაწყობა.. წინ ოფიცერი... ყოველ ბრალდებულს უკან — სამხედრო პოლიციელი და... гуси, гуси, домой!..

**დღე პირველი...**

„რეპუბლიკის“ შემდეგ, როგორც ყველა, ისე მეც, მოუთმენლად ველოდი „მსოფლიო სამსჯავროს

პრემიერას“. მართალია, ადრე თითქმის ყველა ბრალდებული მყავდა ნანახი ეკრანზე, ენდრიუსის „პოლიტიკურ ზოოპარკში“ ან წინასწარ დაკითხვებზე, მაგრამ საბრალდებო სკამზე ასე ერთად შეკრებილი „დამხობილი ღმერთები“ მინც სხვა სანახაობა იყო.

ეს, მათ შორის ჰიტლერი, ჰიმლერი და გებელსიც რომ ყოფილიყვნენ, მთავარ სამხედრო დამანაშავეთა ეს „სამხლეა“ უფრო მაღალ დონეზე იქნებოდა დაკომპლექტებული, მაგრამ რაც იყო, იმასაც არა უშავდა რა. ნამდვილად! ჰიტლერის შემდეგ გერმანიაში არავინ იყო გერინგზე მაღალი თანამდებობის პირი; პარტიაში — ჰესესე; არმიასი — კაიტელსა და იოდლზე; ფლოტში — რედერსა და დენიციზე; საგარეო პოლიტიკაში — რიბენტროპსა, პაპენსა და ნორიატზე. ისინი წარმოადგენდნენ პარტიას, მთავრობას, არმიას, ერთი სიტყვით, მთელი „მესამე რეიხის“ ხელმძღვანელ ძალას.

„პრემიერა“ დღის 10 საათზე იყო დანიშნული, მაგრამ მზადება უკვე დღის 7 საათიდან დაიწყო. ყველა ბრალდებული გაპარსეს, „საგარეო“ ტანისამოსი ჩააცვეს და 9 საათზე ნაცნობი გზით შეიყვანეს ტრიბუნალის სხდომათა დარბაზში. აქ გერინგი მიესალმა რიბენტროპს, პაპენი — ნორიატს, დენიცი — რედერსს, შირახს — ყველას, შასტი — არავის. „რეპუბლიკის“ შემდეგ ყველამ იცოდა თავისი ადგილი და არც არაფერი შეშლია ვინმეს. მათი რიგი განაწილებული იყო არა ალფაბეტის, არამედ „დამსახურების“ მიხედვით. პირველი ნომერი, რა თქმა უნდა, გერინგს ერგო, მეორე — ჰესესე, მესამე — რიბენტროპს, მეოთხე — კაიტელს და ა. შ. თავისუფალი იყო მხოლოდ ორი ადგილი: კალტენბრუნიერი არ გამოსულა ავადმყოფობის გამო, ბორმანს კი დაუსწრებლად ასამართლებდნენ. პროცესის დაწყებამდე პრესაში თუ რადიოში ოთხი კვირის განმავლობაში ყოველდღიურად აცხადებდნენ, რომ ბორმანს შეუძლია გამოცხადდეს პროცესზე ან განოგზავნოს თავისი ვეჭილი. თუ ეს არ მოხდებოდა 1945 წლის 20 ნოემბრამდე, მას გაასამართლებდნენ დაუსწრებლად. ბორმანი არ გამოცხადებულა და არც ვეჭილი გამოუგზავნია. მიუხედავად ამისა, ტრიბუნალის დადგენილებით, მას დაენიშნა დამცველი...

დანარჩენები საბრალდებო სკამზე ისხდნენ. მათ უკან ჩამწკრივებული იყვნენ ათლეტური აგებულების სამხედრო პოლიციელები — რკინის თეთრი მუზარადებით, თეთრი ქაბრებით, თეთრი ხელთათმანებით და ასევე თეთრი რეზინის ჯოხებით. მათ წინ დაბორილებდნენ შავ მანტოებში გამოწყობილი დამცველები. ბრალდებულები დარბაზს ათვალერებდნენ ან ერთმანეთთან საუბრობდნენ, იმისდა მიხედვით, თუ ვინ ვისთან იჯდა.

ათს რომ რამდენიმე წუთი აკლდა, დარბაზში შემოვიდნენ და მათთვის განკუთვნილ მაგიდებთან დასხდნენ სახელმწიფო ბრალდებულები: რ. რუდენკო, რ. ჯეკსონი, პ. შოუკროსი და ფ. დე მენტონი, მათი





შოადგილები და თანაშემწეები. მდივნებმაც და მთარგმნელებმაც განკუთვნილი ადგილები დაიკავეს. იარუსზე იყვნენ კორესპონდენტები და სტუმრები, რომელნიც სხვადასხვა დროს გამოჩნდებოდნენ ხოლმე თითო დღით; მათ შორის გვგვლებოდნენ ფრიად „გაგლენიანი პირები“ — მათი მეუღლეები, ამერიკისა და ინგლისის სამხედრო მინისტრები, ნიუ-იორკის გუბერნატორი, ლორდთა პალატის კანცლერი და...

შთავარმა სამხედრო დამნაშავე ფრიკმა იარუსზე სტუმართა შორის თავისი მეუღლე შენიშნა და ხელის მსუბუქი მოძრაობით მიესალმა. ქალბატონმა ფრიკმა კი „პაეროვანი კონცით“ უპასუხა მას. ეს კიდევ არაფერი. ნამდვილი სენსაცია მერე მოხდა, როცა ყველასათვის მოულოდნელად იარუსზე გამოჩნდა ცნობილი ამერიკელი კინოვარსკვლავი, იმ დროს მსოფლიოს უღამაზეს ქალად აღიარებული რიტა ჰეიფორტი. დარბაზში მყოფთაგან ყველას იქითკენ მოედრიაც კისერი და გაოგნებული მიაჩერდნენ „სი-ღამაზის ქალღმერთს“, რომელიც ზემოდან დაჰყურებდა მათ.

არ ვიცი, რიტა ჰეიფორტი რა მოსასრებით იქნა მოპატვებული ნიურნბერგის სამსჯავროზე, ის კი ცნობილია, რომ მისი პორტრეტი „ამშვენებად“ პირველ ატომურ ყუმბარას, რომელიც ამერიკელებმა ჩამოაგდეს ხირსიმიასში. შესაძლებელია, ესეც „ტიპიური ამერიკული ხუმრობა“ იყო, ან ჭირვეული ასოციაციის შედეგი, აქაოდა, რიტა ჰეიფორტსაც ხომ „სექს-ყუმბარას“ უბახიანო. მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ქალი და ყველაზე ძლიერი ყუმბარა! ნუთუ წარმოსახვის თუნდაც ჯამბაზურ ნახტომს შეუძლია მათ შორის რამე საერთოს აღმოჩენა? ან იქნებ ვინმემ იფიქროს, ეს „თეძოებით მოაზროვნე“ ლამაზმანი ცვლის ჩვენს დროში მართლმსაჯულების ქალღმერთ თემიდასი. ყოველ შემთხვევაში, ის ატომური „სექს-ყუმბარა“ ისე დაჰყურებდა სხდომის დარბაზს, რომ არც თვალები ჰქონდა ასვეული და არც სასწორი ეჭირა ხელში. ის კი არა, მკერდი ისე ჰქონდა მოღვლილი და კაბა წელამდე ჩაჭრილი, რომ ორიოდ დღის შემდეგ ფრანკის საკანში შესულმა ჯილბერტმა ჰკითხა ბრალდებულს, სექსუალური კომპარები ხომ არ გაწუხებენო...

... ამ მოულოდნელი „სენსაციის“ შთაბეჭდილება რომ მიწელდა, ყველანი ისევ ბრალდებულებს მიაჩერდნენ. ვიღაცა ტურისტებივით უხსნიდა მათ, ვინ—ვინ იყო და ხელსაც მოურადებლად იშვერდა საბრალდებო სკამებისაკენ.

— ისე გვათავალიერებდნენ, თითქოს მხეცები გყოფილიყავით, — წერს ფრიჩე. არც ბრალდებულები იკავებდნენ ამისგან თავს. ისინი უფრო ბრალმდებელთა მაგიდებისკენ აყურებოდნენ და ჟესტების მიხედვით ცდილობდნენ „მათი ხასიათის გამოცნობას“. შტრაინბერი კი აქაც არ დალატობდა თავის ანტი-სემიტურ პროფესიას და არაკვევდა, რამდენი ებრაელი იყო ბრალმდებელთა შორის. ამის გამოცნობა მე

ერთი შეხედვითაც შემიძლიათ, — ტრბახობდა იგი...

... საათის ისარი მიუახლოვდა ათს. ყველამ თავის სავარძელს მიაშურა. ეს სავარძლები რადიოფიცირებული იყო. მარჯვენა სახელურთან ყველგან მიმაგრებული ჰქონდათ გადამრთველი და ყურმილი. დარბაზში მყოფთ შეეძლოთ ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ ან გერმანულ ენაზე მოესმინათ პროცესის მიმდინარეობა. მე პირველად ვნახე თარგმნის ასეთი რთული პროცედურა. პროფესიულმა ინტერესმა შემიპყრო და კარგად გავეცანი ამას. ყურიც მოვკარი, რომ ასეთ სინქრონულ თარგმანს ჩვენში, თურმე, „კომინტერნულ სისტემას“ უწოდებდნენ. ალბათ, კომინტერნის სხდომებს ატარებდნენ ასე და იმიტომ. ამ წესით თარგმნა მართლაც ძნელია. დარბაზის ტრიბუნაზე, თავმჯდომარის მაგიდაზე და სხვაგანაც დგას მიკროფონები, რომელთაც შეერთებულია მთარგმნელთა ჯისურებთან, იქიდან კი ყველა სავარძელთან. ვთქვათ, ტრიბუნაზე დგას ორატორი და ლაპარაკობს ინგლისურად. მის სიტყვებს თავიანთ ჯისურებში ყურმილით ისმენენ გერმანელი, ფრანგი და რუსი მთარგმნელები და უმაღლვე თარგმნიან ზებირად. ყოველ მათგანს წინ მიკროფონი უდგას. ამ მიკროფონის საშუალებით ინგლისურა სიტყვები, უკვე სამ სხვადასხვა ენაზე თარგმნილი, მოჰყვება სამ არხს სავარძლებისაკენ, სადაც ინგლისურთან ერთად უერთდება მონაწილის ყურმილს. აქ ყველა იმ ენას ირჩევს, რომელიც უკეთ იცის. გადასწევს ნომერ პირველ გადამრთველს — ესმის გერმანულად, გადასწევს მეორეს — ინგლისურად, მესამეს — რუსულად, მეოთხეს — ფრანგულად. ამასთან, უდიდესი ყურადღება ექცევა თარგმნის სიზუსტეს. მთარგმნელთა ჯისურები უერთდება საკონტროლო სამსახურის ოთახს, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია ტრიბუნალის თავმჯდომარესთან. საკმარისია თუნდაც ერთი წინადადება არასწორად ითარგმნოს, რომ საკონტროლო სამსახურიდან მაშინვე მისცემენ სიგნალს. ტრიბუნალის თავმჯდომარის მაგიდასთან აინთება სპეციალური სასიგნალო ელექტრონათურა და... ლოურენაი მაშინვე ხის ჩაქუჩს დაჰკრავს მაგიდას. პროცესი წყდება, ვიდრე დაშვებული შეცდომა არ გასწორდება.

მთარგმნელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჩემი იქ ყოფნის დროს, სულ რამდენიმე შემთხვევა თუ იყო, როცა ტრიბუნალის თავმჯდომარეს მოუხდა გამოყენებინა თავისი „ისტორიული ჩაქუჩი“, რაც ტრადიციის მიხედვით მართლმსაჯულების სიმბოლოს წარმოადგენდა. ეს ჩაქუჩი, თურმე, ადრე რუსველტს ეკუთვნოდა და გამოყენებული ყოფილა მისი პრეზიდენტად არჩევის დროს. შემდეგ რუსველტს ის მოსამართლე ბიდლისათვის უჩუქებია. ბიდლს, როგორც ამბობენ, იმედი ჰქონდა, ტრიბუნალის თავმჯდომარედ ამირჩევენო და თავისი ძვირფასი რელიკვია თან წამოუღია ნიურნბერგში. აქ კი თავმჯდომარედ ლოურენსი აირჩიეს. ბიდლმა თავისი ჩაქუჩი თავაზიანად დაუთმო მას, მაგრამ, ის მაშინ-



ვე მოიპარეს სუვენიერების მოყვარულებმა. ლოურენსი იძულებული გახდა, სხვა ჩაქურით „შეიარაღებულიყო“...

... 1945 წლის 20 ნოემბერი პროცესის დაწყების დღეა. უსუსტად 10 საათზე დარბაზში გაისმის ბოუკერის სმა:

— ყურადღება, სასამართლო მობრძანდება!..

ყველა ფეხზე დგება. დარბაზში „თემიდას ქურუმები“ შემოდის — ჯერ ფრანგები: დ. დევიზერი და რ. ფალკო; მერე — ამერიკელები — ფ. ბილი და ჯ. პარკერი; ინგლისელები: ჯ. ლოურენსი და ლორდი ბირკეტი; საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები: ი. ნიკიტჩენკო და ა. ვოლჩკოვი. ისინი მსუბუქად უკარავენ თავს დარბაზში მყოფთ და იკავებენ თავიანთ ადგილებს.

ტრიბუნალის თავმჯდომარეა ლორდი ჯეფრი ლოურენსი — ხანშიშესული, სიმპათიური მამაკაცი, მაღალი შუბლით, წყნარი თაფლისფერი თვალებითა და ტიპიური ბრიტანული ოთხკუთხა ნიკაბით.

იგი წარმოდგება შესავალ სიტყვას:

— პროცესი, რომელიც ახლა უნდა დაიწყოს, ერთადერთია მსოფლიო იურისპრუდენციის ისტორიაში და მას უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს დედამიწაზე მცხოვრებ მილიონობით ადამიანებისათვის. ამიტომ ყველას, ვინც რამე მონაწილეობას იღებს ამ პროცესში, ეკისრება უზარმაზარი პასუხისმგებლობა: პატიოსნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს თავისი მოვალეობა, ყოველგვარი დაუდევრობის გარეშე, კანონისა და მართლმსაჯულების წმიდათაწმიდა პრინციპის მიხედვით.

მე უნდა მოვარგონ ყველას, ვინც ამ დარბაზში იმყოფება, რომ ტრიბუნალი მტკიცედ დაიცავს დადგენილ წესებს და მკაცრ ზომებს მიიღებს ამის უზრუნველსაყოფად.

ამასთან, ლოურენსი მადლობას უხდის ტრიბუნალის აპარატს, რომ დამცველებს საშუალება მიეცათ, გასცნობოდნენ ყველა საჭირო დოკუმენტს, რითაც შეეძქმნათ აუცილებელი პირობა თავიანთი პროცესიული მოვალეობის შესასრულებლად.

ამის შემდეგ ლოურენსმა გამოაცხადა პროცესის მიმდინარეობის წესრიგი:

1. საბრალდებო აქტის წაკითხვა.
2. შეკითხვები ბრალდებულებს: ცნობენ თუ არა ისინი თავს დამნაშავედ.
3. ბრალმდებლები წარმოთქვამენ შესავალ სიტყვას.
4. მოსამართლენი ეკითხებიან ბრალდებისა და დაცვის მხარეს, თუ რა დოკუმენტებს ადგენენ ისინი.
5. ბრალდებისა და დაცვის მოწმეების დაკითხვა.
6. ტრიბუნალს ყოველთვის შეუძლია მისცეს შეკითხვა მოწმეებს ან ბრალდებულებს.
7. ბრალდებისა და დაცვის მხარეებს შეუძლიათ ბრალდებულები, როგორც მოწმეები, გამოიძახონ ჯვარედინ დაკითხვაზე.
8. დამცველების გამოსვლა.

9. ბრალმდებლების გამოსვლა.

10. ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვები.

11. განაჩენი და სასჯელი.

ბუნებრივია, რომ ჩემი თხრობაც ამ რიგს მიჰყვება...

უდანაშაულო დამნაშავენი...

იწყება საბრალდებო აქტის კითხვა. ოთხივე ქვეყნის ბრალდების წარმომადგენლები რიგრიგობით კითხულობენ მას თავ-თავიანთ ენაზე. ეს პროცედურა ხუთ საათს გრძელდება. წესი წესია, თორემ დარბაზში მყოფ ოფიციალურ პირთაგან არავინაა ისეთი, ვისაც ერთსეულ ან რამდენჯერმე არ ქონდეს წაკითხული ეს დოკუმენტი, ბრალდებულებს მათ უმეტეს, გარდა ჰესისა, რომელიც ამბობდა, სულაც არ მაინტერესებს, რა წერია იმ აქტში. იგი დარბაზში ერთხანს რომანს კითხულობდა. შემდეგ, კუჭი მტკიავდა, მოიმიწევა და მცველებმა დააბრუნეს თავის საკანში. სხვები ხან ისმენენ, ხან ყურმოლს ძირობენ და მოსამართლეებს აკვირდებიან. ზოგიერთი ძილს ებრძვის, ამოქნარებს ან თვლებს. ფრინვე წერდა, თუ ვინმე ხვრინვას ამოუშვებდა, მუჟღუგუნს წაგვკრავდით და ვადვიებდითო...

... ტრიბუნალის სხდომები იწყებოდა დილის 10 საათზე და გრძელდებოდა 13 საათამდე. შემდეგ ცხადდებოდა ერთი საათი შესვენება და 14 საათიდან 17 საათამდე ისევ განაგრძობდნენ მუშაობას...

შესვენების დროს ბრალდებულებს ხის მოაჯირის კარს უღებდნენ და დამცველებთან საუბრის ნებას აძლევდნენ. ისინი მიდიოდნენ თავ-თავიანთ ვეჭილებთან და სხდებოდნენ მათ რბილ სავარძლებში. ფრიჩე წერს:

— ჩვენი მაგარი სკამების შემდეგ, ეს შესანიშნავი კომფორტი იყო.

ყველაზე მეტი „ბედნიერება“ ამ მხრივ გვრინეს ერტო. მან, როგორც იქნა მიადწია, რომ მისთვის რბილი სავარძელი დაედაბო. ეს სავარძელი დილით შემოქონდათ და საღამოთი გაჰქონდათ პოლიციელებს, ვიდრე ამგვარ „კომფორტს“ მოიწყობდა, თავის საბანს დააბატარებდა, კეცავდა, სკამზე ღებდა და ისე ჯდებოდა.


მეორე საუზმეც დარბაზში შემოქონდათ მათთვის. ეჭირათ ხელში თუფში, საუბრობდნენ დამცველებთან და...

— ახ, რა კარგი იყო ეს! — წერდა ფრიჩე.

მართალია, პაპიროსის მოწვევის ნებას არ აძლევდნენ, მაგრამ გვრინე ამ შემთხვევაშიც გამონაკლისი იყო. მას ვიდაცამ ერთი სიგარეტი შესთავაზა და იქვე გააბოლა. სხვები პაპიროსის მოსაწყევად დარბაზიდან გაჰყავდათ...

... შესვენების შემდეგ სტუმართაგან ბევრი წავიდა. სენსაცია დამთავრდა. დანარჩენი უკვე მოსაწყენი იყო. ის „ცისკრის ვარსკვლავიც“ გაქრა. მხოლოდ





კორესპონდენტები ფუსფუსებდნენ და მსოფლიოს ყველა კუთხეში გზავნიდნენ ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყო ეს „ისტორიაში არნასული“ პროცესი. ყოველ მათგანს სამკლავურზე ჰქონდა იმის მაუწყებელი წარწერა, თუ რომელ ქვეყანას წარმოადგენდა. „დანია“, „ნორვეგია“, „აგსტრია“, „გერმანია“ და ა. შ. მთელი სამყაროს რუკა იყო აქ წარმოდგენილი. ყველა ქვეყანა ელოდა ახალ ცნობებს ნიურნბერგიდან. კორესპონდენტები ასერებსდნენ კიდევ მათი ცნობის მოყვარეობის დაკმაყოფილებას...

... საბრალდებო აქტის კითხვა რომ დამთავრდა, ლოურენსმა გამოაცხადა:

— ესლა მე შევეკითხები ბრალდებულებს, სცნობენ თუ არა წარდგენილ ბრალდებებში თავს დამნაშავედ. ისინი რიგრიგობით უნდა მივიდნენ მიკროფონთან და უპასუხონ ამ კითხვას. ჰემან გერინგი. ბმრინბი: ვიდრე მაღალი სამსჯავროს მიერ დასმულ კითხვას ვუპასუხებდე, ვცნობ თუ არა თავს დამნაშავედ...

ლოურენსი: დადგენილი წესის მიხედვით, ბრალდებულებს პროცესის ამ ეტაპზე განცხადების ნება არ ეძლევათ. თქვენ მხოლოდ ამ კითხვას უნდა უპასუხოთ: სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ.

ბმრინსი: მე არ ვცნობ თავს დამნაშავედ იმ აზრით, როგორც ეს წარმოდგენილია საბრალდებო აქტში.

ლოურენსი: რუდოლფს ჰესი.

ჰესი: არა. თავს ვცნობ დამნაშავედ მხოლოდ ღმერთის წინაშე.

ლოურენსი: ეს იმას ნიშნავს, რომ თავს არ ცნობთ დამნაშავედ (სიცილი დარბაზში). პროცესის მიმდინარეობის დროს თუ ოდნავი სმაური იქნა, წესრიგის დამრღვევს ვაიძულებ დასტოვოს დარბაზი. იოახიმ ფონ რიბენტროპი.

რიბენტროპი: თავს არ ვცნობ დამნაშავედ იმ აზრით, როგორც ეს წარმოდგენილია საბრალდებო აქტში.

ლოურენსი: ვილჰელმ კაიტელი.

კაიტელი: არ ვცნობ თავს დამნაშავედ.

ლოურენსი: მიუხედავად იმისა, რომ კალტენბრუნერი არ ესწრება ტრიბუნალის სხდომას, მისი საქმის წარმოება გრძელდება. როცა იგი იმდენად გამოჯანმრთელდება, რომ შესაძლებელი გახდება სამსჯავროსზე მოყვანა, მიეცემა საშუალება უპასუხოს კითხვას: ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ. ალფრედ კროუნბერგი.

როუნბერგი: მე არ ვცნობ თავს დამნაშავედ იმ აზრით, როგორც ეს წარმოდგენილია საბრალდებო აქტში.

და შემდეგ:

ჰანს ფრანკი: არ ვცნობ თავს დამნაშავედ.

ვილჰელმ ფრიმი: არ ვარ დამნაშავე.

იულიუს შტრაიხმერი: არ ვარ დამნაშავე.

გალტიერ ფუნკი: არ ვცნობ თავს დამნაშავედ.

შახტი: არაფერში არ ვარ დამნაშავე.

პარლემენტი: არ ვარ დამნაშავე.

მრის რედერი: არ ვცნობ თავს დამნაშავედ.

ბალდურ ფონ შირახი: არ ვცნობ თავს დამნაშავედ იმ აზრით, როგორც ეს წარმოდგენილია საბრალდებო აქტში.

ფრიც ზაუკელი: არ ვცნობ თავს დამნაშავედ იმ აზრით, როგორც საბრალდებო აქტშია წარმოდგენილი — არც ღმერთის, არც სამყაროს და არც ჩემი ხალხის წინაშე.

ალფრედ იოდლი: არ ვარ დამნაშავე. ყველაფერში, რასაც ვაკეთებდი თუ უნდა გამეკეთებინა, ჩემი სინდისი სუფთაა ღმერთის, ისტორიისა და ხალხის წინაშე.

ფრანს ფონ ჰაპენი: არავითარ შემთხვევაში არ ვცნობ თავს დამნაშავედ.

არტურ ზმის-ინჰარტი: არ ვცნობ თავს დამნაშავედ.

ალბერტ შპერი: არ ვარ დამნაშავე.

კონსტანტინ ფონ ნორბატი: თქვენს კითხვაზე მე ვუპასუხებ: არა!

ჰანს ფრიმი: წარმოდგენილ ბრალდებაში არ ვარ დამნაშავე.

გერინგი დგება და ცდილობს მიმართოს ტრიბუნალს.

ლოურენსი: ახლა, ამ ეტაპზე, თქვენ უფლება გაქვთ მიმართოთ ტრიბუნალს მხოლოდ თქვენი დამცველის მეშვეობით.

გერინგი უკმაყოფილოდ აქწევს თავს და ჯდება. კალტენბრუნერი მხოლოდ 10 დეკემბერს გამოჩნდა დარბაზში. ამის გამო ლოურენსმა განაცხადა:

— ტრიბუნალმა იცის, რომ ბრალდებული კალტენბრუნერი ესწრება სხდომას. ვთხოვ მას ადგეს (კალტენბრუნერი დგება). წესდების 24-ე მუხლის ნიხედვით, თქვენ უნდა უპასუხოთ კითხვას, სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ.


კალტენბრუნერი: მე ვცნობ თავს უდანაშაულოდ (დარბაზში სიცილი)...

გონების სარკი...

ამის შემდეგ შესავალი სიტყვა წარმოთქვა ამერიკელმა ბრალდებულმა ჯეკსონმა:

— ბატონო მოსამართლენო, — თქვა მან, — ისტორიაში ეს არნასული პროცესი მძიმე პასუხისმგებლობას ვაკისრებს. დანაშაულობანი, რომელთა დამგობას და დასჯას მივესწრაფით, იმდენად წინასწარგამიზნულია და ისეთი დამანგრეველი ძალიანაა, რომ ცივილიზაციას არ შეუძლია მათი მოთმენა ან უკუღებულყოფა, რადგან იგი დაიდუმება, თუკი ყოველივე ეს განმეორდა. ის ფაქტი, რომ გამარჯვებით გალაღებულმა და გაღებულ მსხვერპლით შეჭრულსულმა ოთხმა დიდმა სახელმწიფომ შეაჩერა შურისძიებისათვის აღმართული ხელი და თავიანთი დატყვევებული მტრები გადასცა სამართლიანობის სამსჯავროს, წარმოადგენს ყველაზე დიად





მაგალითს იმ ხარკისას, რასაც ხელისუფლება უხდის გონებას.

სასამართლო გარჩევას იმიტომ ენიჭება უდიდეს მნიშვნელობა, რომ ეს ტუსადები წარმოადგენენ უბოროტეს ძალებს, რაც კიდევ დიდხანს იქნება მიმალული, მას შემდეგაც, რაც ამათი სხეულები ფერფლად იქცევა. ესენი არიან რასობრივი სიძულვილისა და ტერორის, ძალადობის, ქედმაღლობისა და სისასტიკის ცოცხალი სიმბოლოები. ჩვენ დიდი მოთმინებითა და თავშეკავებით ნათლევყოფთ, თუ რანი არიან ეს ადამიანები, რისთვისაც წარმოვიდგენთ მათ მიერ ჩადენილი გაუგონარი ბოროტების უცილობელ საბუთებს. დანაშაულებათა რიცხვში იქნება ყველაფერი, რისი მოფიქრებაც შეუძლია პათოლოგიურ სიამაყეს, სისასტიკისა და ძალაუფლების წყურვილს. „ფიურერობის“ პრინციპის მისხედვით, ამ ადამიანებმა გერმანიაში ისეთი ნაციონალ-სოციალისტური დესპოტიზმი შექმნეს, რომლის შედარება შეიძლება მხოლოდ უძველეს ადმოსავლურ დინასტიებთან. მათ ახადეს გერმანელ ხალხს ყოველგვარი ღირსება და წაართვეს თავისუფლება, რაც ჩვენ ბუნებრივად და უცილობლად მივგაჩნია ყველა ადამიანისათვის. თუ ესენი დამარცხებული ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელთაგან არიან პირველი, რომელთაც ბრალი ედებოდათ კანონის სახელით, იმავე დროს, ესენი არიან პირველი, რომელთაც შეუძლიათ კანონის ძალითვე დაიკვან თავიანთი თავი... იმის მიუხედავად, რომ მათი დანაშაულებრივი მოქმედებანი საყოველთაოდ ცნობილია, ჩვენ თანახმა ვართ აქ იმ მისაზრებიდან გამოვიდეთ, რომ ისინი უდანაშაულონი არიან და ვიცისრთო მათი დანაშაულისა და პასუხისმგებლობის დამტკიცება. ჩვენ არ მოვითხოვთ დანაშაულის აღიარებას მანამ, ვიდრე არ დამტკიცდება, რომ ის ჩადენილია.

ჩვენ არც ისეთ არაკანონიერ მოქმედებას გამოვედავებით, რაც ადამიანური სისუსტიათა გამოწვეულია და შეიძლება ბევრ ჩვენთაგანსაც ჩაედინა მაგავს სიტუაციაში რომ მოხვედრილიყო... ჩვენ არ მოვითხოვთ ტრიბუნალისაგან, მსჯავრი დაადონ ბრალდებულთ მხოლოდ მათი მტრების ჩვენების მიხედვით. საბრალდებო აქტში არ არის არც ერთი მუხლი, რომლის დამტკიცებაც არ შეიძლებოდა მათივე წიგნებითა და დოკუმენტებით.

გვიწინა აგრეთვე ყველა ვიაცოს, რომ ვაპირებთ ბრალი დავდეთ მთელ გერმანელ ხალხს. ჩვენ ვიცით, რომ ნაცისტურმა პარტიამ მიიღო ძალაუფლება არა უმრავლესობის მხარის დაჭერით. გერმანელ ხალხს თვითონ რომ სდომებოდა ნაცისტური რეჟიმი, საჭირო არ იქნებოდა მოიერიშეთა რაზმები, საკონცენტრაციო ბანაკები და გესტაპო. გერმანელებმა უნდა იცოდნენ, რომ ამერიკელებს არ სურთ მათი დაშინება და არც განიცდიან სიძულვილს. მართალია, მათ ჩვენ ნამდვილად ვგასწავლეს თანამედროვე ომის სამინელება, მაგრამ გერმანული ქალაქებისა და სოფლების ნანგრევები რაინსა და დუნაის

შორის ამტკიცებენ, რომ ჩვენ, მოკავშირენი ნიტელერი მოწაფეები აღმოვჩნდით. ჩვენ ვერ შევავსინა გერმანელების სამხედრო ძლიერებამ და უნარმა. ჩვენ არ მივგაჩნია, რომ ისინი პოლიტიკური თვალსაზრისით მომწიფებული ხალხია, მაგრამ პატივს ვცემთ გერმანელების ნიჭს მშვიდობიანი ხელოვნების განვითარებაში, მათ ტექნიკურ განათლებას, თვითღისციპლინას, ნაყოფიერ მუშაობას და სიფხიზლეს...

მიუხედავად ამისა, ჯეკსონი იძულებული იყო განეცხადებინა:

— ნაცისტურმა კომმარმა თვით სიტყვას — „გერმანელი“ მისცა შემადრწუნებელი მნიშვნელობა, რომელიც ასევე იქნება დაკავშირებული ამ სიტყვასთან მიელი საუკუნის განმავლობაში. გერმანელებს უფლება აქვთ, არანაკლებ ანგარიში წარუდგინონ ამის გამო ბრალდებულებს, ვიდრე დანარჩენ მიოფლიოს.

ჯეკსონმა მოიყვანა დანაშაულებათა შემადრწუნებელი მაგალითები.

ბრალდებულები სულგანაბული უხდნენ მის სიტყვას. დარბაზი დაძაბულია. ეს არის ნერვებისა და ნებისყოფის გამოცდა. ზოგი გაფითრებულია და გაოცებულია, ზოგი ნერვული სპაზმები მოსდის და გაჰყავთ დარბაზიდან.

— ჩვენი საუკუნე წარმოადგენს ცივილიზაციის მწვერვალს, — განაგრძობს ჯეკსონი, — რომლის სიმადლიდანაც შეგვიძლია მფარველის თვალბით გადახედოთ გასული საუკუნეების შეცდომებს, იმ თვალსაზრისით, რასაც ეწოდება პროგრესი...

ჯეკსონმა კიდევ დიდხანს ილაპარაკა საბრალდებო აქტის პირველი პარაგრაფის („შეთქმულმა მშვიდობის წინააღმდეგ“) გარშემო და, ბოლოს, გაჟავრებულმა განაცხადა, რომ ამერიკას, ერთი თაობის სიციცხლის მანძილზე, ორჯერ უხდება თეანის გაღმა ახალგაზრდობის სისხლის საღვრელად გაგზავნა გერმანიის მიერ ატეხილი ომის გამო.


დასასრულ, მან ასე მიმართა ტრიბუნალს:

— ცივილიზაცია მოითხოვს პასუხს: ნუთუ სამართლის ნორმები ისე ჩამორჩა, რომ უძლურია გაუსწორდეს ასეთი მასშტაბის დანაშაულს, რაც ამგვარი მაღალი თანამდებობის პირებმა ჩაიდინეს. იგი არ მოითხოვს, რომ შეუძლებელი გასადოთ ომები, არამედ ელის, რათა თქვენმა იურიდიულმა მოქმედებამ საერთაშორისო სამართლის ძალები, მისი მცენებები, აკარაღვანო და, უწინარეს ყოვლისა, სანქციები დააყენოს მშვიდობის სამსახურში, რათა ყველა ქვეყნის კეთილი ნების ადამიანებს ჰქონდეთ მშვიდობიანი ცხოვრების „უფლება“ კანონის საფარს ქვეშ...

აქილემსის ძუსლი...

ინგლისელმა ბრალმდებელმა პარტლი შოუკრისმაკ აღნიშნა ნიურნბერგის პროცესის ისტორიული მნიშვნელობა:





— ეს პროცესი, — თქვა მან, — იქნება ავტორიტეტული და მიუდგომელი მატანე, რომელსაც მომავალი ისტორიკოსები ჭეშმარიტების დასადგენად მიმართავენ, პოლიტიკოსები კი — გასაფრთხილებლად. ამიტომაც იყო, რომ ბრიტანელმა ბრალდებულმა თავისი გამოსვლა უმთავრესად აგრესიული ომების წინააღმდეგ ბრძოლას მიუძღვნა და, ყოველ შემთხვევისათვის, დასაწყისშივე სცადა, თავიდან აეცდინა მისი ქვეყნის „მთხოლზე ფეხის დადგმის“ საშიშროება:

— აღმაინაბი, რომელთაც სუფთა სინდისი არა აქვთ, — თქვა მან, — ფიქრობენ, რომ თვითონ კი არა, მოწინააღმდეგენი არიან დამნაშავენი იმაში, რასაც მათ უკიჟინებენ...

ჩერჩილიც ხომ სწორედ ამიტომ იყო ამ პროცესის მოწყობის წინააღმდეგი. დამცველებსაც ეს მიაჩნდათ ბრალდების აქტიურობის ქუსლად. ისინი ხომ ეჭვის ქვეშ აყენებდნენ თვით ტრიბუნალის წესდების უფლებამოსილებას, აქაოდა, საერთაშორისო სამართალი არ ითვალისწინებს აგრესიული ომების გამო პერიფერულ, ნიურნბერგის პროცესის საბრალდებო გამაძვებას ყურადღება ამ საკითხზე:

— ჩვენ მიგვაჩნია, რომ მთლიანად ვერ შევასრულებთ დასასულ ამოცანას როგორც მართლმსაჯულების, ისე მორალის ინტერესების დაცვის საქმეში, — თქვა მან, — თუ არ ვაჩვენებთ, რა ადგილი უჭირავს ამ წესდების დებულებებს საერთაშორისო სამართალში. თუ ამ საკითხს განვიხილავთ განვითარების პროცესში, შესაძლებელია, სწორიცაა, რომ ჯერ არ არის დადგენილი ისეთი საერთაშორისო წესები, რაც შეიძლება უდრიდეს კანონს და, იუსტინიანეს გაგებით, წარმოადგენდეს ნორმას, რასაც სუვერენი ქმნის ქვეშევრდომისთვის, რომელიც უნდა ემორჩილებოდეს მას განსაზღვრული სანქციის შიშით, მაგრამ უკვე 50 თუ კიდევ მეტი წელია, რაც ხალხები მისწრაფიან შექმნან ნამდვილად მოქმედი მართლმსაჯულების სისტემა საერთაშორისო ურთიერთობათა სტაბილიზაციისა და აგრესიული ომების მოსპობის ან მისი შედეგების შესუსტების მიზნით.

სოუკროსის აზრით, ამ მხრივ, მანამდე დადებულ ყველა შეთანხმებას, პაავის ორივე კონვენციას, ვერსალისა და სხვა ხელშეკრულებებს ის ნაკლი ჰქონდათ, რომ უფრო თხოვნას ჰგვადნენ, ვიდრე კატეგორიულ მოთხოვნას, რის დარღვევაც დანაშაულს უდრის.

სოუკროსის აზრით, საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდება ავსებს ამ ხარვეზს. ამიტომაც თქვა მან:

— თუკი ეს სიახლეა და ასეა საჭირო, ცხადია, იგი უფრო ადრეც უნდა ყოფილიყო მიღებული... იზალება კითხვა: მაინც რა სიახლეა ეს?

— მართალია, ავრესიული ომი მანამდეც იყო აღიარებული უკანონოდ და აკრძალული იყო, პაპრამ ის არ ყოფილა გამოცხადებული, როგორც სპეციალური სამართლის დანაშაული. ეს იყო წინგადაღებ-

მული ნაბიჯი, რაც ომების აკრძალვასა და დაგმობას აძლევდა კანონის ძალას, რის დარღვევა ბუნებრივად იწვევს სასჯელს. ამით ომების დანაშაულებრივად გამოცხადება საერთაშორისო სამართლის ნაწილად იქცა. ასევე უნდა ითქვას, სახელმწიფოს კრიმინალური პასუხისმგებლობის შესახებ, ადრე არც ასეთი რამ არსებობდა. ასლა კი, საერთაშორისო ტრიბუნალის ამ წესდების მიღების შემდეგ, ჩნდება ე. წ. დანაშაულებრივი სახელმწიფოსა და კოლექტიური დასჯის ცნება. გარდა ამისა, წესდებაში გარკვევით წერია, რომ დგინდება ინდივიდუალური პასუხისმგებლობა სახელმწიფოს მიერ ჩადენილ დანაშაულზე. მართლაც, სახელმწიფო ხომ აბსტრაქტული ცნება არ არის. მისი უფლებები და მოვალეობები ისევე ადამიანების უფლებები და მოვალეობებია, — თქვა სოუკროსმა...

...ასლანიშნავია, რომ ამის შესახებ არა მარტო საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები, არამედ ფილოსოფოსებიც ბევრს მსჯელობენ. ასე, მაგალითად, გერმანელი კ. იასპერსი ერთ-ერთ თავის წიგნში უსწნის ეურნალ „მტერის“ რედაქტორს, რუდოლფ აუგუშტაინს, რომ არის პრინციპული განსხვავება დანაშაულებრივ სახელმწიფოსა და იმ სახელმწიფოს შორის, რომელიც დანაშაულს სჩადის. იასპერსის აზრით, სწორედ პიტლერული სახელმწიფო იყო დანაშაულებრივი, რაც უპირველესადაა მთელ ისტორიაში. აქ მას აუგუშტაინი გამოეკამათა და ვითომ იმის მაგალითიც მოუყვანა, რომ სხვა სახელმწიფოებშიც ჰქონდა ამგვარ დანაშაულს ადგილი: ნაპოლეონმა იაფას დაპყრობის დროს სამი ათასი ტყვე ჩაიგდო. ტყვეებს თან ახლდნენ ოჯახის წევრები: მშობლები, დები, ძმები, შვილები. ნაპოლეონი ჯერ გათავისუფლებას შეპირდა მათ, მერე კი ჯარისკაცებს უბრძანა და დიდიან-პატარიანად ყველანი სიძღვე აეძვეინა, რათა დახვრეტისათვის საჭირო ტყვია-წამალი დაეზოგა.


ხომ შემაძრწუნებელია ეს ფაქტი, მაგრამ იასპერსი მაინც ხედავდა განსხვავებას იმასთან, რაც გერმანიაში ხდებოდა:

— აქ არის განსხვავება, — უბასუხა მან აუგუშტაინს, — სხვა რომ არა იყოს, ის ამბავი წარსულს ეკუთვნის, ამასთან, მაშინ საკითხი ეტებოდა სახელმწიფოს მიერ ჩადენილ დანაშაულს, თვით სახელმწიფო კი არ იყო დანაშაულებრივი, ხოლო ნაციტური სახელმწიფო დანაშაულებრივია და არა სახელმწიფო, რომელიც დანაშაულს სჩადის.

იასპერსი განმარტავს კიდევ თავის აზრს:

— დანაშაულებრივია ის სახელმწიფო, რომელიც პრინციპში არ ეყრდნობოდა კანონებს და არ დესპოტური რეჟიმის ძალით გერმანია უსარმაზარ კახელმწიფოს შექმნა ბრალდებოლათ მთავარ სამხედრო დამნაშავეებს, რომელნიც საკუთარი სურვილებისა და მიზნების გარდა ანგაროშს არ უწყევდნენ არავითარ საერთაშორისო ხელშეკრულებებს. იმ მომენტიდან, როცა პიტლერი კანცლერი გახდა, პაპენი — ვიცე-





კანცლერი, ფონ ნორბატი — საგარეო საქმეთა მინისტრი, თვით ზეცაც კი მოიღრუბლა მსოფლიოს ცაზე. კაცობრიობის იმედებმა თანდათან ჩაქრობა იწყო. ხელშეკრულებებს უკვე აღარ ჰქონდათ საზეიმო ვალდებულებათა ხასიათი. მათ წინასწარგანზრახული ცინიზმით სდებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ შეცდომაში შეეყვანათ სხვა სახელმწიფოები. საერთაშორისო კონფერენციები უკვე ვეღარ ასრულებდნენ სადაო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის ამოცანას.

პიტლერმა 1933 წელსვე განუცხადა თავის კაბინეტს, ხელშეკრულებები მხოლოდ მანამ უნდა გამოვიყენოთ, ვიდრე ჩვენს განსაზღვრულ მიზნებს ემსახურებიანო.

შოუკროსმაც ამიტომ თქვა:

— როცა პიტლერი თავდაუსხმელობის პაქტს დებდა რომელიმე სახელმწიფოსთან, ეს იმას ნიშნავდა, რომ თავდასხმას ამზადებდა...

მართლაც, 1938 წელს, როცა მას ჩხმასხა შემართული ჰქონდა, საჯაროდ განაცხადა:

— ჩვენ მივეცით გარანტიები დასავლეთის სახელმწიფოებს. ჩვენ პირობა დავდეთ უშუალო მეზობლებთან და, რამდენადაც ეს გერმანიას შეეხება, პატივს ვცემთ მათ ტერიტორიულ მთლიანობას. ეს ცარიელი ფრაზა არ არის. ეს ჩვენი წმიდათაწმიდანებაა. ჩვენ სრულიადაც არ ვართ მშვიდობის დარღვევაში დაინტერესებული. ჩვენ არაფერი არ გვინდა ამ ხალხებისაგან...

ამ დროს კი კბილებამდე შეიარაღებული მისი დივიზიები, „საბრძოლო მზადყოფნაში“ იყვნენ და მხოლოდ ნიშანს უტდიდნენ. შემდეგ კი ყველაფერს „ყოფლისშემძლე“ სიტყვით, „პოლიტიკით“ ამართლებდნენ. პოლიტიკა კი, მათი აზრით, მორალის კანონებს არ ემორჩილება. „პოლიტიკა ბედისწერაა“, უთქვამს ნაპოლეონს გოეთესათვის, „რაც უფრო ვებმები პოლიტიკაში, მით უფრო ნაკლებ მჯერა ადამიანურობისა“ — განაცხადა ბისმარკმა. ამას შემდეგ ე. წ. „თავისუფალი ხელების პოლიტიკა“ მოჰყვა და ვინდა უსმინა უფრო ადამიანურ შეგონებას: „პოლიტიკამ არც ერთი ნაბიჯი არ უნდა გადადგას ისე, რომ ანგარიში არ გაუწიოს მორალის კანონებს“. აღარც კანტის ბრძნული სიტყვები გასხენებიათ: „სამართალი კი არ უნდა შეეხამოს პოლიტიკას, არამედ პოლიტიკა — სამართალს. ყველა პოლიტიკოსმა მუხლი უნდა მოიყაროს სამართლის წინაშე...

**პირველმოხილი ცოდვა...**

ფრანგმა ბრალმდებელმა დე მენტონმაც დიდი მჭერმეტყველება გამოიჩინა. მან უმთავრესად იდეოლოგიურ საკითხებზე ილაპარაკა, „ძალაუფლებისა და დიქტატურის ბიოლოგიზმზე“, „სისხლის საზოგადოებრივ ფუნქციებზე“, „ვეულარული დარწმუნების მავნე გავლენაზე“ და განაცხადა:

— ამის შედეგი იყო აზროვნების სისასტიკე გერ-

მანიაში. მათ დაგმეს ჰუმანიზმი, როგორც დეკადანსი. სულიერი ღირებულებანი ავადმყოფობის ნიშნად გამოაცხადეს, იერიში მიიტანეს ქრისტიანობის წინააღმდეგ პრინციპებზე, რაც უღელავდა ადამიანების მსეცურ ინსტინქტებს. გერმანელებმა ასევე დაგმეს დემოკრატიული ლიბერალიზმი და ერთა თანამშრომლობის იდეა.

მენტონის აზრით, ამაში დიდი როლი ითამაშა ნიცშეს ფილოსოფიამ, თუმცა, როგორც მან თქვა, „ზეადამიანურში“ იგი არასოდეს არ გულისხმობდა „არაადამიანურს“.

— მიუხედავად ამისა, ძლიერი პიროვნების კულტი და მაკიაველიზმი აღიარებულ იქნა სახელმწიფოებრივი მართვის უმაღლეს ფორმად, — განაცხობდა მენტონი, — ყოველივე ამან აღადგინა ბარბაროსობა და შექმნა უცოდველი ხელმძღვანელის ფეტიში.

მართალია, მენტონი ამბობს, რომ ნიცშეს იდეები არ ეგუება ნაციონალ-სოციალისტების უხემ პრაიმტივიზმს, მაგრამ მაინც მიაჩნია, რომ მან, როგორც ჰუმანიზმის წინააღმდეგ მებრძოლმა და ზეადამიანის კულტის შემქმნელმა, ხელი შეუწყო ნაცისტური იდეოლოგიის ჩამოყალიბებას და რასობრივი ერთიანობის პრინციპის პანგერმანიზმში გადაზრდას.

მენტონის აზრით, პანგერმანიკული იდეები პირველად ფისტემ წამოაყენა. ომის აპოლოგიაც ფისტედან და ჰეგელიდან მოდისო, — თქვა მან.

ამრიგად, ნიურნბერგის პროცესის საბრალდებო სიტყვებშიც გაისმა გერმანული ფილოსოფოსების — ფისტეს, ჰეგელის და ნიცშეს სახელები. შეიძლება, ამის მოსმენა არც ისე სასაიმოვნო იყო, მაგრამ ასე კი მოხდა. შემდეგ რატციელიც ასხენეს, დიკსი და ლამპრესტი, — რომელთაც „სასიცოცხლო სივრცის“ თეორია შექმნეს. მათვე ეკუთვნის „გერმანული ჰეგემონიის“ იდეა. ამ იდეას ჩაეჭიდა პიტლერი და დესპოტური რეჟიმის ძალით გერმანია უზარმაზარ კაზარმას დაამსავსა. მენტონმა თქვა:

— მითი რასობრივი ერთიანობის შესახებ ნაცისტური გერმანიის რელიგიად იქცა. აღორძინდა პირველყოფილი გერმანული ბარბაროსობა. იგი დაუპირისპირდა თანამედროვე ცივილიზებულ ევროპას. სისასტიკისა და ზვრევის პათოსი დაეუფლა გერმანულ აზროვნებასაც. ძალის კულტი და საერთაშორისო კანონების უარყოფა ბუნებრივად მივიდა აგრესიული ომების მომზადებამდე, რითაც გონებაში დათმო თავისი პოზიციები ძალაუფლების წინაშე...

...ნიურნბერგის პროცესზე ამის შესახებ სრულიად უკომპრომისო მოსაზრებები იქნა გამოთქმული. ისევე გაისმა პიტლერის შემაზარავი სიტყვები: „მე ვათავისუფლებ კაცობრიობას გონების ძალადობისაგან“. ფრანსუა დე მენტონმა სწორედ ამას მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება. მისი გამოსვლის დედაძარღვს წარმოადგენდა მტკიცება, რომ პიტლერულების მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი არის დანაშაული არა მხოლოდ კაცობრიობის, მშვიდობის ან





ადამიანობის, არამედ, უწინარეს ყოვლისა, „გონების მიმართ“.

— მე უნდა მოვიხსენიო დოქტრინა, — თქვა მან, — რაც უარყოფს ყოველგვარ გონებრივ და მორალურ ღირებულებას, რის საშუალებითაც ადამიანები ათასეული წლების მანძილზე ცდილობდნენ გაეუმჯობესებინათ თავიანთი არსებობა. ამ დოქტრინის მიხედვით კაცობრიობის შემობრუნება ბარბაროსობისაკენ, მაგრამ არა პირველყოფილი ადამიანების ბუნებრივი და თვითწარმოშობილი ბარბაროსობისაკენ, არამედ შეგნებულისა და დემონურისაკენ, რისთვისაც გამოყენებულ იქნა მატერიალური საშუალებანი, რასაც მეცნიერება სათავაზობს ადამიანს. სწორედ გონების ამ წაბილწვაში იმალება ნაციონალ-სოციალიზმის პირველშობილი ცოდვა, რისგანაც გამომდინარეობს ყველა დანაშაული...

სწორედ ასე იყო ნათქვამი ყველა დანაშაულით, და განა ამის გამოც არ არის ეს საკითხი განსაკუთრებულად ყურადღების ღირსი?..

... პრეტენზიები ისიც ითქვა, რომ ამ სახარელი დოქტრინის მთავარი პრინციპი არის რასობრივი თეორია: ამ თეორიის მიხედვით, გერმანულ-არიული რასის არსებობა წარმოადგენს საწყის და ბუნებრივ მდგომარეობას. გერმანელებს, როგორც ინდივიდუუმებს, შეუძლიათ იარსებონ მხოლოდ რასობრივ ერთიანობაში და გაიგონ საკუთარი თავი, როგორც ამ ერთიანობის ნაწილი. მათი თავისუფლებაც ამ ფარგლებითაა განსაზღვრული. იგი ეროვნული ორგანიზმის ნაწილია, რომლის მამოძრავებელ ძალას სისხლი წარმოადგენს. ვინც არიელია, იმის ძარღვებში ისეთი სისხლი უნდა ჩქეფდეს, როგორც ერის ორგანიზმს ამოძრავებს და მის პოლიტიკას განსაზღვრავს. ამას ეწოდება ძალაუფლების ან დიქტატორობის ბიოლოგიზმი.

მენტონის აზრით, ამ შემთხვევაში, სულისა და სხეულის ერთიანობა მთავარი ფაქტორი. ადრინდელი რწმენა, თითქოს სხეული სახელმწიფოს ეკუთვნის, სული კი ღმერთს, მიუღებელია. ადამიანი სულითაც და სხეულითაც გერმანელი ერისა თუ გერმანული სახელმწიფოს საკუთრებაა. მორალური შეგნება ინტოგენეტიკური ევოლუციის შედეგია, უბრალო ფიზიოლოგიური ფუნქცია, რაც ადამიანის მსეცურ ბუნებას ახასიათებს. ამიტომ, მორალური შეგნებაც მეცნიერების კანონებსა და რასის ინტერესებს ემორჩილება. თავისთავად ცალკეულ ინდივიდს არავითარი ღირებულება არა აქვს. იგი მნიშვნელოვანი ხდება, როგორც რასის შემადგენელი ელემენტი. ნაცისტური დოქტრინის მიხედვით, ერი და რასა სინონიმური ცნებებია. ამიტომ ინდივიდს არ შეიძლება ჰქონდეს საკუთარი ინტერესი ან მიზანი, რაც არ ეთანხმება ეროვნულსა თუ რასობრივ დოქტრინას. თუ ასეთი წარმოიშვა, ის უნდა აღიკვეთოს. ამით ნაციონალ-სოციალიზმმა სრულიად დათრგუნა პაროვნება, უარყო მისი თავისთავადი ღირებულება და აბსოლუტურად დაუმორჩილა სახელმ-

წიფოს. ეს იგივეა, რაც პირველყოფილი ბარბაროსული ტომების ყოფა: გაუქმებულია ცივილიზაციის მრავალსაუკუნოვანი მონაპოვარი, საერთოდ აღიარებული მორალის, სამართლისა და უფლებების ყველა პრინციპი და სხვ. ამასთან, „დადგენილ იქნა“ რასების უთანასწორობისა და შინაარსობრივი გრადაციის ფაქტი. განდა უფსკრული ე. წ. „მაღალ“ და „დაბალ“ რასებსა და ერებს შორის. ამის შედეგად იყო ხალხთა მეგობრობის ცნების ტოტალური უარყოფა და „დაბალი“ რასების არსებობის უფლებების ჯერ ეჭვის ქვეშ დაყენება, ხოლო შემდეგ — სრული მოსპობა. მართლაც, ძნელი დასაჯერებელია, თუ რა ცინიკური პირდაპირობით ქადაგებდნენ ამას გერმანელი ნაცისტები. პრეტენზიები წაიკითხეს რომელიღაც გერმანელ გაზეთში, ჯერ კიდევ 1935 წლის 13 ივნისს დაბეჭდილი მოწოდება:

— ტოტალური ომი ჩვენი სრული გამარჯვებით დამთავრდება. „სრულ გამარჯვებაში“ იგულისხმება დამარცხებული ხალხების მთლიანად მოსპობა, მათი ისტორიის არენიდან გაქრობა...

— სხვა სახელმწიფოების მოსპობა — ეს იყო არა მარტო უფლება, არამედ მოვალეობაც, — განაცხადა მენტონმა და ჩამოთვალა:

— „საფრანგეთის მოსპობა“, „ინგლისის მოსპობა“, „ბუტერბურგის მოსპობა“, „სლავების მოსპობა“, — აი, მათი დოკუმენტების ღაღადი. და, არა მარტო დოკუმენტების, საქმეებისაც.

— მენტონს ხელები უკანკალებდა და ისე კითხულობდა გერმანელი ოფიცრის ფონ ბრედოფსკის დღიურს:

— ორადურში მცხოვრები ყველა მამაკაცი დაეხვეტიტ. ქალები და ბავშვები დაიმალნენ ეკლესიაში. ეკლესიას ცეცხლი წაუგვიდეთ. ყველა დაიღუპა...

— მოკლედ, გარკვეულად, შემზარავად! — წამოიძახა მენტონმა, სათვალე მიიძრო, უხარმაზარი თეთრი ცხვირსაპოკით შუბლზე ოფლი მოაწმინდა და დასაცხა:

— ნაცისტური ომი ეს ფანატიკური რელიგიური ომია: მოსპობა ან თავის რწმენაზე გადმოყვანა. ასეთია მათი მიზანი...

ბოლოს, მენტონი მიუბრუნდა ტრიბუნალის წევრებს და განაცხადა:

— საფრანგეთი, რომელსაც სისტემატურად ძარცვავდნენ და ანადგურებდნენ; საფრანგეთი, რომლის შვილები აწამეს და დახოცეს გესტაპოს ჯურღმულებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში; საფრანგეთი, რომელმაც გადაიბანა კიდევ უფრო მეტი სამინიელება — გამხრწნელი მორალური ზეგავლენა და ბარბაროსულ მდგომარეობაში დაბრუნების იძულება, რასაც სატანური დაჟინებით ატარებდა ნაცისტური გერმანია; აი, ეს საფრანგეთი მოითხოვს თქვენგან, და მოითხოვს, უწინარეს ყოვლისა, ეროვნული ჰეროიზმის ყველაზე ნათელი სახეების სახელით, ვინც თავი შესწირა წინააღმდეგობის ფრონტს:



— დაე, აღსრულდეს მართლმსაჯულება!..

\* \* \*

... ტირუნანზეა საბჭოთა ბრალმდებელი რ. რუდენკო. როგორც კი იგი იწყებს ლაპარაკს, გერინგი დემოსტრატიულად ხსნის ყურმილს და აგრძობინებს ყველას, რომ არ უსმენს.

— რატომ მოიხსენიეთ ყურმილი და არ უსმენთ საბჭოთა ბრალმდებლის გამოსვლას? — ჰკითხა მას სხდომის შემდეგ ჯიღებრტმა.

— ეჰ, მე ისედაც ვიცოდი, რას იტყოდა იგი, — მიუგო გერინგმა.

სრული სიმათლეა. რა თქმა უნდა, იცოდა. ან როგორ შეეძლო, არ სცოდნოდა, როცა თვითონ ხელმძღვანელობდა იმ საზარელ დანაშაულს, რასაც გერმანელები სწადიოდნენ საბჭოთა კავშირის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ალბათ, არასოდეს, ისტორიის არც ერთ მონაკვეთში და არც ერთ ქვეყანაში ბრალმდებლის წინაშე არ მდგარა ისეთი რთული ამოცანა, როგორც რუდენკოს წინაშე. მას ერთ საბრალდებო სიტყვაში უნდა მოექცია დანაშაულობათა ისეთი უსაზღვრო თუ ურიცხველი რაოდენობა, რაც ჩადენილი იქნა მისი ქვეყნის მიმართ. ჩვეულებრივად ბრალმდებლები სიტყვას წარმოთქვამენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის შესახებ. აქ კი? აბა, ერთხელ კიდევ წარმოდგინეთ იმ დანაშაულობათა მასშტაბები და თვითონ ბრალმდებელს მოუსმინეთ:

— კაცობრიობის ისტორიაში მართლმსაჯულება პირველად ხვდება ამგვარი მასშტაბების დანაშაულს, რამაც ესოდენ მძიმე შედეგი გამოიღო... სამსჯავროს წინაშე პირველად დგანან ადამიანები, რომელნიც დაეუფლნენ მთელ სახელმწიფოს და თავიანთ შემზარავ დანაშაულებათა იარაღად გადააქციეს ის. დასასრულ, ბრალმდებელთა სახით ჩვენ პირველად ვასამართლებთ არა მარტო თვითონ მათ, არამედ მათ მიერ შექმნილ დანაშაულებრივ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, მათ მიერ გავრცელებულ კაცთმოძულე „თეორიებს“ და „იდევებს“, რაც წინასწარ განზრახულ დანაშაულობათა განსახორციელებლად იქნა გამოყენებული მსოფლიოსა და კაცობრიობის წინააღმდეგ.

საბჭოთა ბრალმდებელმა აღნიშნა სამხედრო ტირუნანლის დაარსებისა და მისი წესდების როლი საერთაშორისო სამართლის ისტორიაში. იგი შეეხო აგრესიული ომების მომზადების იდეოლოგიურ სა-

ფუძვლებს, დაახასიათა გერმანული იმპერიალიზმის დაპყრობითი პოლიტიკა, ჰიტლერელების ყაჩაღური თავდასხმა ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთზე; შთავარი ყურადღება კი, რა თქმა უნდა, ჰიტლერელთა საბჭოთა კავშირზე შემოსევას მიეძღვნა.

— ფაშისტურმა გერმანიამ, — განაცხადა რუდენკომ, — განიზრახა დანაშაულებრივი მიზნით დაეპყრო საბჭოთა კავშირის ტერიტორიები, გაეძარცვა და გაეყვლიფა მისი ხალხები.

რუდენკომ ტირუნანის წინაშე გადაშალა იმ შემზარავ დანაშაულობათა სურათები, რაც ჰიტლერელებმა ჩაიდინეს საბჭოთა კავშირის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე. მშვიდობიანი მოსახლეობის, ქალების, ბავშვებისა და მოხუცების მასობრივი დახოცვა, არასამხედრო ობიექტების, კულტურის დაწესებულებისა და სკოლების წინააღმდეგობა, მატერიალურ ღირებულებათა ძარცვა-გლეჯა და ვინ მოსთვლის კიდევ რა დანაშაულობანი არ ჩაიდინეს ჰიტლერელებმა ჩვენს მიწა-წყალზე. ოფიციალური ცნობების მიხედვით მათ დაანგრეს 1700 ქალაქი, 70.000 სოფელი, 31.000 სამრეწველო საწარმო, 127.000 სკოლა, ბიბლიოთეკა და კულტურის სხვა დაწესებულება, 6.000.000 საცხოვრებელი ბინა, გაანადგურეს 98.000 კოლმეურნეობა, 1876 საბჭოთა მეურნეობა, დაკლეს ან გერმანიაში გარეკეს 7.000.000 ცხენი, 20.000.000 მსხვილფეხა საქონელი; მუზეუმებიდან გაზიდეს იმდენი განძი, რის საფასურიც ასტრონომიული ციფრებითაც არ გამოიხატება...

როცა რ. რუდენკო ყვებოდა როგორ ეპყრობოდნენ ჰიტლერელები სამხედრო ტყვეებს, ან წამების რა ბარბაროსულ მეთოდებს მიმართავდნენ საკონცენტრაციო ბანაკებში, როგორ ერეკებოდნენ ქალებსა და ბავშვებს გაზ-კამერებსა და კრემატორიუმებში, მსმენელებს თმა ყალყზე დაუდგათ, ზოგს ისტერიაში მოუარა და გაიქცა დარბაზიდან. ჩვენც ისეთი შთაბეჭდილება გვქონდა, თითქოს იმ ორიოდ საათში დანტეს ჯოჯოხეთის ცხრავე გარსი სივანიერა. რუდენკომ კი ასე დაამთავრა თავისი სიტყვა:

— ფაშისტური ტერორის მრავალი მილიონი უდანაშაულო მსხვერპლის სახელით, მთელს მსოფლიოში მშვიდობის განსამტკიცებლად, ხალხთა უშიშროების უზრუნველსაყოფად, ჩვენ ვუდგენთ ბრალდებულებს სრულსა და სამართლიან ანგარიშს. ეს არის მთელი კაცობრიობის ანგარიში — თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ნებისა და სინდისის ანგარიში.

დაე, აღსრულდეს მართლმსაჯულება!..

(გაგრძელება იქნება)



# ქორეა და ბიჭოთეა

## წიგნი პატრიზის სისტემაში დანაშაულებების წინააღმდეგ პრობის შესახებ

ფორიალ აქტუალურ თემას — საზოგადოებრიობა და ვაჭრობის სისტემაში დანაშაულებების წინააღმდეგ ბრძოლა — ეხება იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ალ. ქლენტის წიგნი, რომელიც გამოცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა.

სარეცენზიო ნაშრომში ავტორი იკვლევს ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მიზეზებს, ეხება ვაჭრობის სისტემაში არსებულ ნაკლოვანებებს, რომლებიც ასეთი დანაშაულის წარმოშობის საფუძველია.

ავტორი სწორად შენიშნავს, რომ ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული გამოიხატება ვაჭრობისა და მომხმარებელთა ინტერესების დარღვევაში. მათ შორის აღსანიშნავია სპეკულაცია, მყიდველთა მოტყუება, ცუდი ხარისხის საქონლის გასაყიდად გამოშვება, ფალსიფიკაცია.

ეხება რა ვაჭრობის სფეროში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების წარმართვის მეთოდებს, ალ. ქლენტი სამართლიანად მიუთითებს, რომ ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ არახელსაყრელი პირობების დადგენაზე, რამაც დააბრკოლა პიროვნების ზნეობრივი ჩამოყალიბება, უნდა გაირკვეს დანაშაულის ჩადენის საბაბი, გარემოება, რამაც განაპირობა საზოგადოებრივად საშიში ქმედობის დადგომა. ამასთან მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ რამ მიიყვანა პირი მომხვეჭელობამდე.

ეხება რა სავაჭრო საწარმოებში კადრების შერჩევის საკითხს, ავტორი მართებულად მიუთითებს, რომ სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობენ პირები, რომლებიც თავიანთი წარსული საქმიანობით ნდობის ღირსი არ არიან. აქვე ავტორს სასამართლო პრაქტიკიდან მოჰყავს კონკრეტული მაგალითები, როდესაც სავაჭრო ქსელში ასეთი სახელგატეხილი პირები ხელახლა იდენენ დანაშაულს.

ავტორი როდი იფარგლება მარტოოდენ სავაჭრო სისტემაში არსებულ უხეშ დარღვევებზე და

დანაშაულებრივ მოქმედებაზე, მათი აღმოფხვრის გზებზე, არამედ მეტად საინტერესოდ, საქმის ცოდნით აშუქებს საკითხს იმის შესახებ, რომ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების სწორად დაგეგმვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამრეწველო საწარმოებზე ვაჭრობის მუშაკების ზემოქმედებას, მათს ინიციატივას, საქმის ცოდნას (რათა სწორად დაგეგმონ საჭირო საქონლის რაოდენობა, ასორტიმენტი), ვაჭრობის სწორ ორგანიზაციას, ახალი პროგრესული ფორმების დანერგვას, საქონლის სწორად განაწილებას, მისი გვემაზომიერად შეზიდვას. საქონლის რესურსებით წარმატებით მანევირება ვაჭრობის სწორი ორგანიზაციის საწინდარია. ამ საკითხებში დაშვებული შეცდომები კი ხელს უწყობს ვაჭრობის სისტემაში ცალკეული დარღვევებისა და დანაშაულის აღმოცენებას.

თითქოს ერთმანეთთან არ არის დაკავშირებული ვაჭრობის კულტურისა და ვაჭრობის სისტემაში დანაშაულებების საკითხების ურთიერთობა. მაგრამ ავტორი კონკრეტული მაგალითებით, მკითხველს არწუნებს, რომ ვაჭრობის კულტურის ამაღლება ვაჭრობის სფეროში დანაშაულის აღკვეთის ერთ-ერთი ფაქტორია.

ავტორი კარგად შერჩეული ფაქტებით ცხადყოფს, რომ საზოგადოებრიობის მონაწილეობას ვაჭრობის სფეროში დანაშაულობათა აღკვეთისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. საზოგადოებრიობის მონაწილეობა ვაჭრობის წესების დაცვაში, მათი სიფხიზლის წყალობითა და აქტიური მხარდაჭერით მხილებულ უნდა იქნან და დაისაჯონ საბჭოთა ვაჭრობის წესების უხეშად დამრღვევნი, სპეკულანტები და ა. შ.

ალ. ქლენტი კარგად იყენებს სასამართლო პრაქტიკის მაგალითებს იმის საილუსტრაციოდ, თუ რა დიდია საზოგადოებრიობის როლი ისეთი დანაშაულის მხილებისა და აღკვეთის საქმეში, როგორც არის მყიდველთა მოტყუება, რომ ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავიდან აცილებასა და აღკვეთაში



დიდი როლი ენიჭება მყიდველთა მრავალმილიონიან არმიას, მათს ურთიერთობას ვაჭრობის მუშაკებთან.

დასანანია, რომ ნაშრომში ავტორი ყურადღებას არ ამახვილებს ისეთ ცალკეულ შემთხვევებზე ვაჭრობის სისტემაში, როდესაც არასწორად წყდება იმ კერძო პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც გაუფორმებლად, მხოლოდ სავაჭრო ან საზოგადოებრივი კვების საწარმოს მუშაკთა თხოვნის საფუძველზე ახდენენ მყიდველებზე საქონლის გაცემას და ამ მუშაკებთან შეთანხმებით ატყუებენ მომხმარებელს. ზოგჯერ არის ფაქტები, როდესაც აღნიშნულ პირებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 153 მუხლით (თაღლითობა) ვათვალისწინებული დანაშაულისათვის.

ავტორი მოვალე იყო განემარტა ისეთი

შემთხვევები, როდესაც სავაჭრო დარგის მუშაკები მოქალაქეებისაგან ფაქტიურად ქრთამს იღებენ მათთვის დეფიციტური საქონლის მიყიდვასთან დაკავშირებით და ასეთი მოქმედება შეცდომით კვალიფიცირდება, როგორც მომხმარებელთა მოტყუება.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საბჭოთა ვაჭრობის სისტემა სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგია, სადაც ამჟამად დასაქმებულია შვიდნახევარ მილიონზე მეტი კაცი, თავისთავად ცხადია, რომ ალ. ჟღენტის ზემოაღნიშნული წიგნის გამოსვლა მეტად დროული და საჭიროა. იგი სათანადო წვლილს შეიტანს სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში.

**ზ. მესხინაძე,**

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.



## ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის  
სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით  
საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტების  
ქალაქაპარბულად ცნობის შესახებ

„საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1971 წლის 9 დეკემბრის კანონის შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღ-

ლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ცნობილ იქნას ქალაქაპარბულად 1972 წლის 1 აპრილიდან საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტები თანახმად დანართისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ქოჭანიძე**  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვამაძე**  
**თბილისი, 1972 წლის 28 მარტი.**

### დ ა ნ ა რ თ ი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 28 მარტის ბრძანებულებისა „საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო აქტების ქალაქაპარბულად ცნობის შესახებ“

### ნ უ ს ს ა

იმ საკანონმდებლო აქტებისა, რომლებზეც ქალა დაპარგავს

1. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1927 წლის 5 სექტემბრის დადგენილება „შრომა-გასწორების კოდექსის დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ“.

(საქართველოს სსრ კან. კრ. 1927 წელი, № 9, მუხ. 130).

2. სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1930 წლის 26 აპრილის დადგენილება „საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის პირველი კარის მე-IV თავის შეცვლის შესახებ“.

(საქართველოს სსრ კან. კრ. 1930 წელი, № 11, მუხ. 149).

3. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1930 წლის 9 ივლისის დადგენილება „შრომა-გასწორების კოდექსის 42, 43 და 54 მუხლების რედაქციის შეცვლის შესახებ“

(საქართველოს სსრ კან. კრ. 1930 წელი, № 14, მუხ. 212).

4. სრულიად საქართველოს ცაკის და სახკომსაბჭოს 1932 წლის 5 ივლისის დადგენილება „შრომა-გასწორების კოდექსის 41 მუხლის „ე“ პუნქტის და 52 მუხლის შეცვლისა და იმავე კოდექსისათვის 21 მუხლის დამატების შესახებ“

(საქართველოს სსრ კან. კრ. 1932 წელი, № 20, მუხ. 184).

5. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1933 წლის 27 ივლისის დადგენილება „შრომა-გასწორების კოდექსში 41, 52 და 53 მუხლების შეცვლისა, 53<sup>1</sup> მუხლის შეტანისა და 49<sup>1</sup> მუხლის გაუქმების შესახებ“.

(საქართველოს სსრ კან. კრ. 1933 წელი, № 18, მუხ. 264).



6. დებულება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების კოლონიებისა და საპყრობილეებისა, დამტკიცებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 28 ივნისის ბრძანებულებით.

პრეზიდიუმის 1963 წლის 18 იანვრის ბრძანებულება „განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირთა, აგრეთვე თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოთავსების წესის შესახებ“.

7. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვავაძე**

## ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**საქართველოს სსრ მიწის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტების კალადაპარგულად ცნობის შესახებ**

„საქართველოს სსრ მიწის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ 1971 წლის 13 ივლისის კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

ადგენს:

ცნობილ იქნეს ძალადაკარგულად საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტები, თანახმად დანართისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ქოჩინიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვავაძე**

თბილისი, 1972 წლის 28 აპრილი.

### დ ა ნ ა რ თ ი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 28 აპრილის ბრძანებულებისა „საქართველოს სსრ მიწის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“

### ნ უ ს ხ ა

**იმ საკანონმდებლო აქტებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს**

1. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის 1924 წლის 15 მაისის დადგენილება „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მიწის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შესახებ“.

(საქართველოს სსრ კან. კრ. 1924 წ., № 1, მუხ. 22).

2. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის 1925 წლის 15 აპრილის დადგენილება „მიწის კოდექსის 19, 67, 96 და 161 მუხლების შეცვლის შესახებ“.

(საქართველოს სსრ კან. კრ. 1925 წ., № 2, მუხ. 29).

3. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის პრეზიდიუმის და საქართველოს სახკომსაბჭოს 1925 წლის 21 სექტემბრის დადგენილება „მიწის კოდექსის მე-9 მუხლის შეცვლის შესახებ“.

(საქართველოს სსრ კან. კრ. 1925 წ., № 3, მუხ. 65).

4. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის 1925 წლის 30 სექტემბრის დადგენილება „მიწის კოდექსის 24, 53, 54, 55, 57, 161, 162,





163, 164, 165 და 166 მუხლის შეცვლის შესახებ“.

(საქართველოს სსრ კან. კრ. 1925 წ., № 3, მუხ. 67).

5. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1925 წლის 3 ნოემბრის დადგენილება „მიწის კოდექსის მე-9, 23, 26 და 37 მუხლის შეცვლისა და დამატების შესახებ“.

(საქართველოს სსრ კან. კრ. 1925 წ., № 3, მუხ. 82).

6. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის პრეზიდიუმის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1925 წლის 15 ნოემბრის დადგენილება „მიწის კოდექსის მე-40 მუხლისა და მისი შენიშვნის ქართული რედაქციის შეცვლის შესახებ“.

(საქართველოს სსრ კან. კრ. 1925 წ., № 3, მუხ. 86).

7. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1925 წლის 18 დეკემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ მიწის კოდექსის მე-9 მუხლის შეცვლების შესახებ, რითაც მშრომელ უცხოელთ მიენიჭებათ შრომის საფუძველზე მიწის სარგებლობის უფლება“.

(საქართველოს სსრ კან. კრ. 1925 წ., № 3, მუხ. 89).

8. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის 1925 წლის 25 დეკემბრის დადგენილება „ქუთაისისათვის მიწის ნორმის შეცვლის შესახებ“.

(საქართველოს სსრ კან. კრ. 1925 წ., № 3, მუხ. 91).

9. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1926 წლის 1 თებერვლის დადგენილება „მიწის კანონთა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“.

(საქართველოს სსრ კან. კრ. 1926 წ., № 1, მუხ. 6).

10. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის 1926 წლის 10 თებერვლის დადგენილება „მიწის კოდექსის 127 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ“.

(საქართველოს სსრ კან. კრ. 1926 წ., № 1, მუხ. 10).

11. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის 1926 წლის 10 აგვისტოს დადგენილება „მიწის კოდექსის იმ ცვლილებისა და დამატების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის სესიებს შუა“.

(საქართველოს სსრ კან. კრ. 1926 წ., № 4, მუხ. 96).

12. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1927 წლის 1 თებერვლის დადგენილება „მიწის კოდექსის 23, 25, 27, 28, 30, 31, 34, 36 და 118 მუხლების შეცვლისა და დამატების შესახებ“.

(საქართველოს სსრ კან. კრ. 1927 წ., № 2, მუხ. 16).

13. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1927 წლის 30 სექტემბრის დადგენილება „მიწის კოდექსის 96 მუხლისათვის მე-3 შენიშვნის დამატების შესახებ“.

(საქართველოს სსრ კან. კრ. 1927 წ., № 9, მუხ. 134).

14. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1929 წლის 30 იანვრის დადგენილება „მიწის კოდექსის შეცვლისა და დამატების შესახებ“.

(საქართველოს სსრ კან. კრ. 1929 წ., № 3, მუხ. 30).

15. სრულიად საქართველოს ცაკის 1929 წლის 1 მარტის დადგენილება „მიწის კოდექსის იმ ცვლილებისა და დამატების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა“.

(საქართველოს სსრ კან. კრ. 1929 წ., № 11, მუხ. 87).

16. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1929 წლის 28 სექტემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ-ის მიწის კოდექსის 27-ე მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტების შეცვლისა და იმავე კოდექსის 29 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ“.

(საქართველოს სსრ კან. კრ. 1929 წ., № 20, მუხ. 225).

17. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1929 წლის 20 ნოემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ მიწის კოდექსისათვის მე-21 მუხლის დამატებისა და ამ კოდექსის 23-ე მუხლის შენიშვნის რედაქციის შეცვლისა და 921 მუხლის გაუქმების შესახებ“.

(საქართველოს სსრ კან. კრ. 1929 წ., № 23, მუხ. 293).

18. სრულიად საქართველოს ცაკის 1930 წლის 17 იანვრის დადგენილება „საქართველოს სსრ-ის კოდექსების იმ ცვლილებისა და დამატების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა“ — მიწის კოდექსის ნაწილში.

(საქართველოს სსრ კან. კრ. 1930 წ., № 7, მუხ. 59).





გ ა მ ტ ვ ი ც ე ბ  
საქართველოს სსრ განმრთვობის  
დაცვის მინისტრი  
გ. გ. ბოჭორიშვილი  
9 ივნისი 1971 წ.

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა  
საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან, სა-  
ქართველოს სსრ პროკურატურასთან, საქართველოს  
სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და საქართვე-  
ლოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან.

## წესები სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრისათვის

1. სხეულის დაზიანებად ჩაითვლება ადამიანის ორგანიზმის სხვადასხვა სისტემის, ორგანოების და ქსოვილების ანატომიური მთლიანობის ან ფიზიოლოგიური ფუნქციის დარღვევა, გამოწვეული ფიზიკური (მექანიკური, თერმული და სხვ.) და ქიმიური ზემოქმედებით. სხეულის დაზიანებას უნდა გაუთანაბრდეს ორგანიზმის ავადმყოფური მდგომარეობებიც, რომლებიც გამოწვეულია ფსიქიკური ფაქტორებით.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, არასასიკვდილო დაზიანება არის: მძიმე, ნაკლებად მძიმე, მსუბუქი, ფიზიკური ტკივილის მიყენება, ცემა და წამება.

2. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა სხეულის დაზიანების სიმძიმის დასადგენად ყველა შემთხვევაში ტარდება მომკვლევია, საგამოძიებო და სასამართლოს ორგანოების წინადადებით (მომართვა, დადგენილება).

3. სხეულის დაზიანების სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის წარმოებისას ექსპერტიზის აქტის დასკვნაში, როგორც წესი, აუცილებლად უნდა განისაზღვროს:

- ა) დაზიანების სახე (დაეყვილი ჭრილობა, დახურული მოტეხილობა, პირველი ხარისხის დამწვრობა და ა. შ.);
- ბ) დაზიანების ხანდაზმულობა;
- გ) იარაღის ტიპი ან საშუალება, რომლითაც შეიძლება მიყენებულიყო დაზიანება;
- დ) დაზიანების სიმძიმის ხარისხი.

4. სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის სასამართლო-სამედიცინო განსაზღვრა წარმოებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული სათანადო მუხლების შესაბამისად.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს არა აქვს უფლება ექსპერტის აქტის დასკვნაში უჩვენოს სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომელშიც გათვალისწინებულია შესაბამისი სიმძიმის დაზიანება.

5. სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული:

- ა) დაზიანების სიცოცხლისათვის საშიშროება

(ხიფათი) მისი მიყენების მომენტში;  
ბ) ავადმყოფური პროცესის სიმძიმე და მისი მიმდინარეობის ხანგრძლივობა, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული აღნიშნულ დაზიანებასთან;

გ) რეალური ზიანიდან გამომდინარე — დაზიანების გამოსავლის მძიმე შედეგები (მაგალითად, მწარმოებლური უნარიანობის დაკარგვა და ა. შ.);

დ) შრომის უნარის დაკარგვის ხარისხი.

6. წინამდებარე „წესებში“ მოყვანილი დაზიანების სხვადასხვა სახეები ვერ ამოწურავს სხეულის დაზიანების მთელ მრავალფეროვნებას. აქ წარმოდგენილია მხოლოდ დაზიანების ყველაზე უფრო ტიპიური სახეები, რომლებიც სასამართლო-სამედიცინო პრაქტიკაში განსაკუთრებით ხშირად გვხვდება. ამიტომ ეს „წესები“ უნდა წარმოადგენდეს საექსპერტო მოქმედების მხოლოდ ზოგად სახელმძღვანელო მითითებებს.

7. იმ შემთხვევებში, როდესაც მიყენების მომენტში დაზიანება სიცოცხლისათვის სახიფათოა, ან დაზიანების სიმძიმე თავიდანვე აშკარაა და შემოწმების მომენტისათვის ეჭვს არ იწვევს, მაშინ დაზიანების სიმძიმის ხარისხის განსაზღვრა ხდება დასაწყისშივე, მკურნალობის დამთავრებამდე, ხოლო რთულ და გაურკვეველ შემთხვევებში, როდესაც დასასაბუთებელია მიყენებული დაზიანების ნიშნები ან მოსალოდნელია რეალური დაზიანების მოვლენების მოგვიანებით გამოჩენა, მაშინ დასკვნა დაზიანების ხარისხის სიმძიმის შესახებ იწერება მოგვიანებით კლინიკური გამოკვლევების ჩატარების შემდეგ, მაგალითად: თავის ტვინის შერყევის შემთხვევაში ორი კვირის შემდეგ და სხვ.

დაზიანების სიმძიმის ხარისხის მოგვიანებით განსაზღვრის შემთხვევაში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა დასაწყისშივე უნდა განსაზღვროს დაზიანების ხასიათი, მისი ხანდაზმულობა; იარაღის ტიპი ან დაზიანების მიყენების საშუალება და აგრეთვე ვადა, რომლის შემდეგ უნდა მოხდეს დამატებითი შემოწმება საბოლოო დასკვნისათვის.

8. რთული ექსპერტიზების და სპეციალური



19. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1930 წლის 24 ნომბრის დადგენილება „საადგილმამულო დავათა ვადამწყვეტი სპეციალური ორგანოების გაუქმებისა, ამ დავათა განხილვის წესებისა და საქართველოს სსრ მიწის კოდექსის შეცვლისა და დამატების შესახებ“.

(საქართველოს სსრ კან. კრ. 1930 წ., № 24, მუხ. 334).

20. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1932 წლის 23 მარტის დადგენილება „საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 96 მუხლის შეცვლის შესახებ“.

(საქართველოს სსრ კან. კრ. 1932 წ., № 11, მუხ. 72).

21. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1932 წლის 13 მაისის დადგენილება „მიწის კოდექსის 94-ე მუხლის შეცვლის შესახებ“.

(საქართველოს სსრ კან. კრ. 1932 წ., № 13, მუხ. 94).

22. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1934 წლის 16 ივნისის დადგენილება „განსაზოგადოებელი სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათათვის სამშენებლოდ, უვადოთ სარგებლობის უფლებით, მიწის ნაკვეთების გადაცემის შესახებ“.


(საქართველოს სსრ კან. კრ. 1934 წ., № 23, მუხ. 191).

23. საქართველოს ცაკის და საქართველოს სახკომსაბჭოს 1937 წლის 26 ნომბრის დადგენილება „განსაზოგადოებელი სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათათვის სამშენებლოდ, უვადო სარგებლობის უფლებით მიწის ნაკვეთების გადაცემის თაობაზე გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ“.

(საქართველოს სსრ კან. კრ. 1937 წ., № 20, მუხ. 145).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭავაძე**





საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობის შემთხვევაში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს უფლება აქვს მოითხოვოს სათანადო სპეციალისტების მონაწილეობა ექსპერტიზაში და გასცეს დასკვნა მასთან ერთად, ანდა მოითხოვოს ექსპერტიზის ჩატარება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროში კომისიურად.

9. ექსპერტიზა სამედიცინო დოკუმენტების საფუძველზე დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ, გამონაკლის შემთხვევებში, რომლებიც გამოწვეულია გამოძიების განსაკუთრებული პირობებით და ისიც მხოლოდ საქმეში არსებული დოკუმენტების სრულფასოვნებისა და ამომწურავი სიზუსტის შემთხვევაში.

10. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნა სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესახებ ყოველთვის უნდა იყოს მოტივირებული. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი ვალდებულია უჩვენოს, თუ რა მონაცემები გახდა საფუძველი სხეულის დაზიანების სიმძიმის ამა თუ იმ კვალიფიკაციისათვის.

### სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება

11. სხეულის მძიმე დაზიანებებს ეკუთვნის:  
ა) მიყენების მომენტში სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებანი, დაზიანებულისათვის აღმოჩენილი სამედიცინო დახმარებისა და კარგი გამოსავლის მიუხედავად.  
ბ) დაზიანებასთან უშუალოდ დაკავშირებული ავადმყოფური მოვლენები, რომელთა მიმდინარეობის ხანგრძლივობა არანაკლებ 12 კვირას უდრის.

გ) დაზიანებანი, რომლებმაც გამოიწვიეს მნიშვნელოვანი ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა.

დ) დაზიანებანი, რომლებმაც გამოიწვიეს მყარი და მძიმე დაავადება ან საერთო შრომის უნარის სამუდამოდ (მყარი) დაკარგვა სულ ცოტა ერთი მესამედით.

სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანებები: ქალას სარქველის ძვლებისა და ქალას ფუძის მოტეხილობა; დაზიანებანი, შემავალი თავის ქალას, გულმკერდის, მუცლის ღრუებში და აგრეთვე ხერხემლის არხში დადასტურებული ამკარა ობიექტური მოვლენებით და შესაბამისი მკურნალობის საჭიროებით; საძილე არტერიის, ლეიქქვემა, მხრის, ბარძაყის, მუხლის და სხვა მსგავსი მსხვილი არტერიების და მათი შესაბამისი ვენების ჭრილობები; შინაგანი ორგანოების და სისტემების დაზარალებული დაზიანებანი (ფილტვის, ღვიძლის, თირკმლის, საშვილოსნოს ვაგლუკა, ტვინის დაუყვილობა, ტვინში სისხლჩაქცევა და ა. შ.); მენჯის ძვლების მოტეხილობანი, როცა დარღვეულია მენჯის

რკალის მთლიანობა, გარდა მენჯის ძვლების კიდების ან ცალკეული ძვლის იზოლირებული მოტეხილობებისა; ხერხემლის მოტეხილობანი, გარდა მისი მორჩების ცალკეული იზოლირებული მოტეხილობისა; ნეკნების მრავლობითი (4 და მეტი გარდა 11 ან 12) მოტეხილობანი ან ერთი ნეკნის მოტეხილობა პლევრის დაზიანებით, და პლევრის ღრუში სისხლჩაქცევით; მსხვილი ლულოვანი ძვლების, ბარძაყის, მხრის, წვივის ორივე და წინამხრის ორივე ძვლების დაზარალებული მოტეხილობები; წვივის და წინამხრის რომელიმე ძვლის ღია მოტეხილობა; ორივე ან ერთი თვალის მხედველობის დაკარგვა; სმენის ორმხრივი დაკარგვა; მეტყველების უნარის დაკარგვა; ხელის, ფეხის ან მათი ნაწილების; წინამხრის, მტევნის, წვივის, ტერფის, წინატერფის დაკარგვა და აგრეთვე ხელის თითების დაკარგვა შრომის უნარის დაქვეითებით სულ ცოტა ერთი მესამედით; დაზიანებანი, რომლებმაც გამოიწვიეს ნაადრევი მშობიარობა ან აბორტი; დაზიანების შედეგად ან მასთან დაკავშირებით გამოწვეული ფსიქიკური დაავადებანი; განყოფილების და ჩასახვის უნარის დაკარგვა; ნერვული სისტემის დაზიანება, რომელსაც მოჰყვა რომელიმე ორგანოს ფუნქციის გამოვარდნა შრომის უნარის სულ ცოტა ერთი მესამედით დაკარგვით; გარეშე ზემოქმედება განსაკუთრებით მგრძობიარე შოკოვანურ მიდამოებზე — გულისკოვზქვემა, სასქესო ორგანოების მიდამოზე და სხვ., თუ ამ ზემოქმედებას თან ახლდა გამოსატული მძიმე კლინიკური შოკი.

**შენიშვნა 1.** სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანებას უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე ქვემოჩამოთვლილი დაზიანებანი და მდგომარეობანი თუ ისინი თავისი სიმძიმით შეეფარდებიან მე-11 პუნქტის რომელიმე მაჩვენებელს: კისერში ჩაჭერა მარყუჟით ან ხელით, რასაც თან ახლავს ასფიქსიის სიცოცხლისათვის სახიფათო ობიექტური ნიშნები; თავის ქალას ძვლების სრული გაბზარვები; კისრის ჭრილობა ხორხის ან საყლაპავის დაზიანებით; ქვედა ყბის მრავლობითი დამსხვრეული მოტეხილობანი; მენჯ-ბარძაყის სახსრის ამოვარდნილობა; მენჯ-ბარძაყის, მუხლის, კოჭ-წვივის, მხრის, იდაყვის და სხვი-მაჯის სახსარშიდა მოტეხილობანი და ამ სახსრებში შემავალი ჭრილობები, რასაც მოყვა სახსრის ფუნქციის ისეთი შეცვლა, რომ გამოიწვიას შრომის უნარის დაკარგვა სულ ცოტა ერთი მესამედით; თერმული, ქიმიური და ელექტრო დამწვრობები — მეორე და მესამე ხარისხის, დაზიანებული ზედაპირის ფართობის მიხედვით; არტერიების და ვენების დაზიანებები, რომლებმაც გამოიწვიას სიცოცხლისათვის სახიფათო ძლიერი სისხლდენა.



სამედზე ნაკლები, მხოლოდ არაუმეტერეს 10%-ისა.

სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანებებს წარმოადგენს: ძვლების მთლიანობის დარღვევა, მე-11 პუნქტის შენიშვნებში ნაჩვენები დაზიანებების გარდა; ნაკლებად მსხვილი ლულოვანი ძვლების მოტეხილობები; მკერდის ძვლის მოტეხილობა 1—3 ნეკნის (გარდა 11 ან 12) მოტეხილობა ცალ მხარეს, პლევრისა და შინაგანი ორგანოების დაზიანების გარეშე; ყვრიმალის, ცხვირის და ზედაყბის ძვლების დამსხვრეული მნიშვნელოვანი მოტეხილობები; ქვედაყბის მოტეხილობა; ამოვარდნილობა: ქვედაყბის, მზრის, იდაყვის, სხვი-მაჯის, მუხლის და კოჭ-წვივის სახსრებში; თითის ყველა სახსრის ანგიოზი; სახსარშიდა მოტეხილობები, რასაც შედეგად მოჰყვება სახსრის ფუნქციის დარღვევა და შრომის უნარის დაკარგვა ერთ მესამედზე ნაკლებით; ხელის მტევნის ან ტერფის თითის დაკარგვა; სმენის დაკარგვა, ერთ მხარეს; მეტყველების გაძნელება; ხმის მნიშვნელოვანი შესუსტება; სამი და მეტი სრულფასოვანი კბილის ტრავმული მოცილება და ა. შ.

**შენიშვნა 1.** სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანებას უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე ქვემოჩამოთვლილი დაზიანებანი, თუ თავისი სიმძიმით ისინი ეთანაბრებიან მე-12 პუნქტში მოყვანილ რომელიმე მაჩვენებელს: თავის ან სხეულის სხვა ნაწილების რბილი ქსოვილების ღრმა ჭრილობები კუნთების დაზიანებით, რომელსაც დასჭირდა ქირურგიული დამუშავება (სისხლძარღვების გადაკვანძვა, შრებად გაკერვა და სხვ.) და სხვ.

**შენიშვნა 2.** დროებითი შრომის უნარის დაკარგვის ხანგრძლივობის დასადგენად სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი პირველ რიგში ხელმძღვანელობს თვით დაზიანების ხასიათით. შრომისუუნარობის ფურცელი, ავადმყოფობის ისტორია, ამბულატორიული ავადმყოფობის ინდივიდუალური ბარათი და სხვა სამედიცინო დოკუმენტები იმ პირობით უნდა იქნას მიღებული მხედველობაში, თუ ისინი ობიექ-

ტურად აღასტურებენ ავადმყოფური პროცესის ხანგრძლივობას და ჩატარებული მკურნალობის საჭიროებას.

### სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება

13. სხეულის მსუბუქ დაზიანებას ეკუთვნის დაზიანებანი, რომელთაც თავისი ხასიათის მიხედვით არა აქვს 11—12 პუნქტის ნიშნები და თავის მხრივ შეიძლება იყოს ჯანმრთელობის მოშლით და ჯანმრთელობის მოუშლელად.

ა) მსუბუქ დაზიანებას ჯანმრთელობის მოშლით ეკუთვნის ის დაზიანება, რომელიც საჭიროებდა მოკლევადიან მკურნალობას 1-დან 4 კვირამდე და რომლის გამოსავალი იყო სრული გაჯანსაღება შრომის უნარის დაუკარგავად (მრავლობითი ვრცელი და ღრმა სისხლნაყენებები, წვირილ სახსრებში ამოვარდნილობა, დაფის აპკის მცირე ზომის პერფორაცია, ცხვირის და ყვრიმალის ძვლების არა მნიშვნელოვანი მოტეხილობანი და სხვ.).

ბ) მსუბუქ დაზიანებას ჯანმრთელობის მოუშლელად ეკუთვნის ისეთი დაზიანება, რომელიც არ საჭიროებდა საექიმო დახმარების აღმოჩენას (ნაჭდეგები, განაწილებები, კანის და კანქვეშა ქსოვილის მცირე ზომის ჭრილობები, ზეარელი მცირე ზომის სისხლნაყენებები და სხვ.).

14. ტვინის შერყევა დაზიანების კლინიკური სურათის სიმძიმის და გამოსავლის მიხედვით შეიძლება მიეკუთვნოს მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი (ჯანმრთელობის მოშლით) ხარისხის დაზიანებას თავის ტვინის შერყევისათვის დამახასიათებელი ობიექტური ნიშნების ხასიათის და ხარისხის მიხედვით (ცნობიერების დაკარგვის და პირღებინების ხანგრძლივობა, პათოლოგიური რეფლექსების სიყარე და სხვ.). ტვინის შერყევა, რომლის დიაგნოზი არ მტკიცდება ობიექტური ნიშნებით, სხეულის დაზიანების ხარისხის განსაზღვრის დროს მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული.

### პროფესორი ვ. შანიძე,

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი.





### სამოქალაქო სამართლის საქმეებზე

1. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა ცალმხრივი უარი ვალდებულების შესრულებაზე და ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი შეცვლა არ დაიშვება.

მოქ. გ. აკოფოვს ქ. თბილისში, პეკინის ქ. № 41-ში, ჰქონდა პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლი. ტერიტორია, რომელზეც ეს სახლი იდგა, გამოეყო საბინაო-სამშენებლო კოოპერატივ „საბურთალო-166“-ს კოოპერაციული საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად. ამასთან დაკავშირებით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივმა გ. აკოფოვს გაუფორმა საგარანტიო ხელშეკრულება, რითაც იკისრა ვალდებულება, დააკმაყოფილოს ის სამოთახიანი ბინით. გარდა ამისა კოოპერატივმა გ. აკოფოვის ორ ქალიშვილს ცალ-ცალკე გაუფორმა საგარანტიო ხელშეკრულება თითო ოთახის მიცემის შესახებ.

შემდგომ კოოპერატივმა სარჩელით მიმართა სახალხო სასამართლოს და მოითხოვა საგარანტიო ხელშეკრულებების გაუქმება იმ მოტივით, რომ მოპასუხეებს საგარანტიო ხელშეკრულებით მეტი ფართობი გამოეყო, ვიდრე კანონით ეკუთვნის.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ 1969 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დააკმაყოფილა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1969 წლის 22 მაისის განჩინებით გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ

პროტესტი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხოვა აღნიშნულ საქმეზე სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინების გაუქმება და საქმის დაბრუნება სახალხო სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

პროტესტი მოტივირებული იყო იმით, რომ, თანახმად საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 166-ე მუხლისა, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა ვალდებულების შესრულებაზე ცალმხრივი უარის თქმა და ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი შეცვლა არ დაიშვება.

კანონით არ არის გათვალისწინებული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის უფლება უარი თქვას საგარანტიო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე ან ცალმხრივად შეცვალოს მისი პირობები იმ საზაბით, რომ ხელშეკრულებით მან მეტი ფართის გაცემა იკისრა, ვიდრე ის კანონით იყო ვალდებული.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა პროტესტის ეს მოტივი გაიზიარა და 1972 წლის 10 აპრილის დადგენილებით პროტესტი დააკმაყოფილა.

2. მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების ქონების გაყოფის შემთხვევაში მეუღლეთა წილი თანაბარია. სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს, მაგრამ ეს სათანადოდ უნდა დასაბუთოს.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს 1971 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა დ. ღვამერიძის სარჩელი ნ. მორჩაძის მიმართ მათი საერთო საკუთრების სახლის გაყოფის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო

კოლეგიამ 1972 წლის 18 იანვრის განჩინებით უცვლელად დატოვა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება.

დ. ღვამერიძე და ნ. მორჩაძე 1946 წლიდან 1966 წლამდე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ. ერთად ცხოვრების პერიოდში ქ. თბილისში, გაგარინის ქუჩის მე-4 შესახვევის № 3-ში, აიშენეს პირადი საკუთრების სახ-



ლი. განქორწინების შემდეგ დ. ღვაბერიძემ შექმნა ახალი ოჯახი და ამასთან დაკავშირებით მოითხოვა ნ. მორჩაძესთან ქორწინების პერიოდში შეძენილი სახლის გაყოფა.

სახალხო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და სახლი მხარეთა შორის გაყოფა არა ორ თანაბარ წილად, არამედ მოსარჩელეს მიაკუთვნა მეტი საცხოვრებელი და დამხმარე ფართი, ამასთან სასამართლომ ეს არაფრით არ დაასაბუთა.

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, მეუღლეთა საერთო თანსაკუთრების ქონების გაყოფის დროს მეუღლეთა წილი თანაბარია. ცალკეულ შემთხვევებში სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს, მაგრამ ეს დასაშვებია მხოლოდ ამ მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას.

არც ერთი ამ საფუძველთაგანი საქმის განხილვისას დადგენილი არ ყოფილა. თუ სადავო სახლის ორ თანაბარ წილად გაყოფა ტექნიკუ-

რად შეუძლებელია, სასამართლომ ერთ-ერთ მხარეს უნდა დააკისროს ბინის ქირის გადახდა ან ფართის ფულადი კომპენსაცია მეორე მხარის სასარგებლოდ. დადგენილია, რომ სადავო სახლის ორ თანაბარ წილად გაყოფა ტექნიკურად შეუძლებელია.

ყოველივე ამის გამო საქართველოს სსრ პროკურორმა პროტესტი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხოვა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებაში და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაში ცვლილების შეტანა იმ მიმართებით, რომ მოპასუხე ნ. მორჩაძეს დარჩეს სარჩელის უფლება დ. ღვაბერიძისათვის სახლის ნახევარზე მეტი ფართის მიკუთვნების გამო ფულადი კომპენსაციის მისაღებად.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1972 წლის 3 აპრილის დადგენილებით პროტესტი დაკმაყოფილდა.

**3. სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა იმის გამო, რომ სასამართლოს მიერ ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად არ იყო გამოჩვენებული საქმის ნამდვილი გარემოებანი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი.**

**წარმომადგენლის უფლებამოსილება ცნოს სარჩელი სპეციალურად უნდა იყოს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში.**

ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ 1969 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა შ. კიტოვანის სარჩელი აგარის ხილის წვეწებისა და ხილკენკროვანი ღვინის ქარხნის და „საქილდინის“ სამმართველოს მიმართ. აგარის ხილის წვეწებისა და ხილკენკროვანი ღვინის ქარხანას შ. კიტოვანის სასარგებლოდ დაეკისრა 27.086 მანეთის გადახდევინება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1969 წლის 6 მაისის განჩინებით სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში შეიტანა პროტესტი, რომლითაც მოითხოვა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების და საკასაციო კოლეგიის განჩინების გაუქმება და წინასწარი გამოძიების ჩატარების მიზნით საქმის პროკურატურისათვის გადაცემა შემდეგ გარემოებათა გამო.

შ. კიტოვანმა სარჩელი აღძრა იმ მოტივით, რომ აგარის მწენებარე ქარხნის წარმოების

უფროსად მუშაობის დროს იყო რამდენიმე გამოვლენისა და რაციონალიზატორული წინადადების ავტორი, რომლებიც დაინერგა წარმოებაში, რის შედეგადაც მიღებულია დიდი ეკონომიური ეფექტი. ამის გამო შ. კიტოვანმა მოითხოვა შესაბამისი პონორარი.

სახალხო სასამართლომ, დააკმაყოფილა რა სარჩელი, გადაწყვეტილება დაამყარა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებებს, აგრეთვე იმ გარემოებას, რომ მოპასუხე ორგანიზაციის წარმომადგენელმა სარჩელი ნაწილობრივ ცნო.

სახალხო სასამართლო დასჯერდა რა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მასალებსა და ახსნა-განმარტებას, არ მიიღო კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოერკვია საქმის ნამდვილი გარემოებები და მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

ამასთან სახალხო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებას ერთ-ერთ საფუძვლად დაუდო მოპასუხე ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ სარჩელის ცნობა და არ გაითვალისწინა,





რომ, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, წარმომადგენლის უფლებამოსილება სარჩელის ცნობისა სპეციალურად უნდა იყოს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში. მოპასუხის წარმომადგენელს კი ქარხნის მიერ ასეთი უფლებამოსილება მიღებული არ ჰქონია.

შ. კიტოვანის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 94<sup>1</sup>-ე და 191-ე მუხლებით. წინასწარი გამოძიების ორგანოების დავალებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გამოგონებისა და აღმოჩენის საქმეთა კომიტეტის მიერ გამოყოფილმა კომისიამ, რო-

მელმაც საქმესთან დაკავშირებული მასალები შეამოწმა, მოსარჩელის გამოგონებები და რაციონალიზატორული წინადადებები წარმოებაში დანერგილად არ ცნო, რის გამოც დაუსაბუთებლად იქნა ცნობილი შ. კიტოვანის სასარგებლოდ ჰონორარის ქარხნისათვის დაკისრება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1972 წლის 28 თებერვლის დადგენილებით პროტესტი დააკმაყოფილა — გააუქმა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება აღნიშნულ საქმეზე და ეს საქმე წინასწარი გამოძიების ჩასატარებლად პროკურატურას გადასცა.

**4. შრომითი მოვალეობის შესრულებისას საწარმოსათვის მიყენებული ზარალისათვის მუშა-მოსამსახურეს მატერიალური პასუხისმგებლობა დაეკისრება არა უმეტეს მისი თვითრი სატარიფო განაკვეთის ერთი მესამედის ოდენობისა. სრული მოცულობით ზარალის ანაზღაურება მუშაკს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევაში.**

საგარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლომ 1971 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკის სარჩელი რ. ლაფაჩიშვილის მიმართ მისთვის 525 მანეთის გადახდევინების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1971 წლის 22 აპრილის განჩინებით უცვლელად დატოვა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ პროტესტი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხოვა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიის განჩინების გაუქმება შემდეგი საფუძვლების გამო.

მოსარჩელე ორგანიზაციაში რ. ლაფაჩიშვილი მუშაობდა ტექნიკურ ზედამხედველად.

მისი მუშაობის პერიოდში მეფრინველეობის ფერმის დაკვეთით საგარეჯოს მმკ № 3-ის მიერ მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობა პროექტით გათვალისწინებული რკინაბეტონის კონსტრუქციის ნაცვლად განხორციელდა მონოლითური წესით, რამაც მშენებლობა გააძვირა. ამით მიყენებული ზარალის ანაზღაურებლად

სახალხო სასამართლომ რ. ლაფაჩიშვილს დააკისრა ფერმისათვის გადაეხადა 525 მანეთი, რაც აღებამტება მისი თვითრი სატარიფო განაკვეთის ერთ მესამედს.

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის 49-ე მუხლის თანახმად საწარმოსათვის შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზარალისათვის მუშა-მოსამსახურეს მატერიალური პასუხისმგებლობა დაეკისრება არა უმეტეს მისი თვითრი სატარიფო განაკვეთის ერთი მესამედის ოდენობისა. სრული მოცულობით ზარალის ანაზღაურება მუშაკს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევაში. გარდა ამისა, სასამართლოს მიერ არ არის დადგენილი, მიუძღვის თუ არა ბრალი მოპასუხეს მოსარჩელე ორგანიზაციისათვის ზარალის მიყენებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1972 წლის 13 მარტის დადგენილებით პროტესტი დააკმაყოფილა — გააუქმა აღნიშნული საქმის გამო სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნა სახალხო სასამართლოს.



## სისხლის სამართლის საქმეებზე

**1. თუ თანამდებობის პირს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით არ შეეძლო რაიმე ქმედობის შესრულება ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის და თუ მას არ წაუტყუებია ქრთამის მიმცემი, რომ თითქოს სხვა პირის საშუალებით მოუგვარებდა საქმეს, ასეთ შემთხვევაში გვაქვს არა ქრთამის აღება, არამედ თაღლითობა.**

მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლომ 1972 წლის 31 იანვრის განაჩენით ჭ. დოლიძეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლის პირველი ნაწილით მიუსაჯა ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის მოხდით გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში და პირადი ქონების კონფისკაციით. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის განჩინებით განაჩენი უცვლელად იქნა დატოვებული.

ჭ. დოლიძე მუშაობდა ლაითურის ჩიის ფაბრიკის კომენდანტად და ბრძანებით დაკისრებული ჰქონდა პასპორტის წარმოება. 1964 წლიდან ამავე ფაბრიკაში მუშაობდა ნ. ტარასოვა, რომელსაც შეიძინა წლის მანძილზე არ ჰქონდა პასპორტი. ნ. ტარასოვამ გადაწყვიტა საცხოვრებლად სხვა რაიონში გადასულიყო და თხოვნით მიმართა ჭ. დოლიძეს მოეგვარებინა მისი პასპორტის საქმე. მსჯავრდებულმა შეაგროვებინა ნ. ტარასოვას საჭირო საბუთები, რომლებიც 1971 წლის თებერვალში წარუდგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს მახარაძის რაიონის რაიონის საპასპორტო მაგიდის უფროსს, მაგრამ ნ. ტარასოვას პიროვნების შემოწმებას დიდი დრო დასჭირდა და ამის გამო გაჭიანურდა მისთვის პასპორტის მიცემა.

ნ. ტარასოვა ჩქარობდა პასპორტის მიღებას და 1971 წლის 23 აგვისტოს შეასხენა ჭ. დოლიძეს პასპორტის საკითხი, რაზედაც მსჯავრდებულმა უპასუხა: „იქნება ფული — იქნება პასპორტი“. მსჯავრდებულს ფულის რაოდენობა არ განუსაზღვრავს. მეორე დღეს ნ. ტარასოვამ განცხადებით მიმართა შსს რაიონის რაიონის

უფროსს და ამხილა ჭ. დოლიძე ქრთამის აღების მცდელობაში. იმავე დღეს საღამოს ჭ. დოლიძე დაკავებულ იქნა და მას აღმოაჩნდა ნ. ტარასოვას მიერ გადაცემული 30 მანეთი.

რესპუბლიკის პროკურორის მოადგილემ პროტესტი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხოვა განაჩენისა და განჩინების შესწორება იმ მხრივ, რომ ჭ. დოლიძის ქმედობა გადაკვალიფიცირებულიყო — შეუარდებოდა მას სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლის პირველი ნაწილი და სასჯელად განსაზღვროდა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქმის მასალებიდან ჩანს, რომ ჭ. დოლიძემ პასპორტის აღებისათვის საჭირო საბუთები შეაგროვებინა ნ. ტარასოვას და გადასცა იგი საპასპორტო მაგიდის უფროსს. ამის შემდეგ მას თანამდებობრივად აღარ შეეძლო რაიმე ქმედობის შესრულებით დაეჩქარებინა ნ. ტარასოვასათვის პასპორტის მიცემა. ნ. ტარასოვასათვის მას არც ის უთქვამს, რომ ეს ფული უნდა გადაეცა თანამდებობის პირისათვის. საქმის ერთობლივი მასალები მოწმობს იმას, რომ ჭ. დოლიძემ, დარწმუნებული იყო რა იმას, რომ ნ. ტარასოვა მიიღებდა პასპორტს, მოტყუებისა და ნდობის ბოროტად გამოყენებით გამოართვა მას 30 მანეთი და ცდილობდა მიეთვისებინა ეს თანხა.

პროტესტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. ჭ. დოლიძის ქმედობა სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდა 153-ე მუხლის პირველ ნაწილზე და სასჯელი მის შესაბამისად განესაზღვრა.

**2. სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით მიღებული მტკიცებანი არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს.**

ქ. თბილისის 26 კომისიის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს 1971 წლის 2 აგვისტოს განაჩენით ა. ანტონიანს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 4 წლით. განაჩენი უცვლელად იქნა დატოვებული. 6. საბჭოთა სამართალი № 3

ლი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1971 წლის 16 აგვისტოს განჩინებით.

გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედო ა. ანტონიანის ბინის გაჩხრეკის ოქმი, რომელიც





შედგენილია საპროცესო ნორმების დარღვევით.

ა. ანტონიანის ბინის ჩხრეკა მოხდენილია სათანადო დადგენილების გარეშე, რითაც დარღვეულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 166-ე მუხლის მოთხოვნა. ჩხრეკა ჩატარდა თანამოწმეების დაუსწრებლად, რაც სსკ 168-ე მუხლის შესაბამისად დაუშვებელია. ოქმი შედგენილია ქართულ ენაზე, რომელიც ა. ანტონიანს არ ესმის. ოქმზე ა. ანტონიანი ხელს აწერს რუსულ ენაზე. ოქმის შინაარსი ა. ანტონიანისათვის არ გაუცნიათ თარჯიმანის მეშვეობით. ოქმი შედგენილია სხვადასხვა მელნით, მასში არის ჩამატებები შენიშვნების გაკეთების გარეშე. გაჩხრეკის შედეგად ამოღე-

ბული ნივთბუთები არ შეფუთულა და არ დალუქულა, რასაც მოითხოვს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლი. არ არის დაცული ამ კოდექსის 177-ე მუხლი, რომლის მიხედვით ა. ანტონიანს უნდა ჩაბარებოდა ოქმის ასლი.

ა. ანტონიანი ბრალდებას უარყოფს. ის არ ადასტურებს გაჩხრეკის ოქმის შინაარსის სინამდვილეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გაიზიარა რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის პროტესტი, გააუქმა აღნიშნული საქმის გამო გამოტანილი განაჩენი და ეს საქმე დააბრუნა ხელახალი გამოძიების ჩასატარებლად.

### 3. ორი ურთიერთსაწინააღმდეგო საქსპერტო დასკვნის არსებობისას უნდა გაირკვეს და სათანადოდ დასაბუთდეს, თუ რომელს მიეცეს უპირატესობა.

წყალტუბოს რაიონის სახალხო სასამართლოს 1971 წლის 13 ივლისის განაჩენით ვ. ჯანგველაძეს მსჯავრი დაედო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 234<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით და 221-ე მუხლით და ერთობლიობის პრინციპით მიესაჯა ერთი წლით გამასწორებელი მუშაობა, გამომუშავებიდან 15 პროცენტის დაქვეითებით. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1971 წლის 15 ნოემბრის განაჩენებით განაჩენიდან ამორიცხა სსკ 234<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილი და ამ ეპიზოდში საქმე წარმოებით მოსპო. სსკ 221-ე მუხლით განსაზღვრული სასჯელი — 6 თვით გამასწორებელი მუშაობა ძალაში დარჩა.

რესპუბლიკის პროკურორის მოადგილემ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში შეიტანა პროტესტი და მოითხოვა საქმის დაბრუნება ხელახალი გამოძიების ჩასატარებლად.

ვ. ჯანგველაძეს მსჯავრი დაედო იმაში, რომ იგი მთელი წლის განმავლობაში პარაზიტულ ცხოვრებას ეწეოდა, არ ჰაეხა შრომით საქმიანობაში მას შემდეგაც კი, რაც იგი მშრომელთა დეპუტატების წყალტუბოს რაიონის სასამართლო მუშად გაგზავნა მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობაზე, აგრეთვე იმაში, რომ 1970 წლის თვითნებურად ეწეოდა სახლის მშენებლობას.

ვ. ჯანგველაძემ პასუხად განაცხადა, რომ ჯარში სავალდებულო სამსახურის შესრულების დროს დავინვალიდდი და ამიტომ ვერ ვმუშაობო. სისხლის სამართლის კოდექსის 234-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კი მხოლოდ მაშინ დგება, როდესაც შრო-

მისუნარიანი პირი თავს არიდებს საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევა პარაზიტულ ცხოვრებას.

საქმის გამოძიების სტადიაში ვ. ჯანგველაძე გატარებულ იქნა საექიმო კომისიაზე, რომელმაც დაასკვნა, რომ იგი დაავადებულია პიპერტონით, მაგრამ ფიზიკური შრომისათვის ვარგისია. სამსჯავრო გამოძიების დროს ვ. ჯანგველაძემ იმავე სპეციალისტთა ხელმოწერით წარადგინა მეორე დასკვნა, რომლის მიხედვითაც იგი დაავადებულია ინფექციური ჰეპატიტის რთული ფორმით და მძიმე ფიზიკური შრომისათვის უვარგისია.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია დაეყრდნო იმ დასკვნას, რომელიც სამსჯავრო სხდომაზე იქნა წარდგენილი და ბრალდების ამ ნაწილში (სსკ 234<sup>1</sup>-ე მუხლი) საქმე წარმოებით მოსპო.

არც განაჩენი და არც განჩინება არ შეიძლება სწორად იქნეს მიჩნეული, რადგან, როდესაც არსებობს ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო საქსპერტო დასკვნა, უნდა გაირკვეს და სათანადოდ დასაბუთდეს, თუ რომელს მიეცეს უპირატესობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა დაამყარო ილა რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის პროტესტი და გააუქმა წყალტუბოს რაიონის სახალხო სასამართლოს და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება ვ. ჯანგველაძის მიმართ. საქმე ხელახალი გამოძიების ჩასატარებლად გადაეცა რესპუბლიკის პროკურატურას.



**საერთო ზედამხედველობის საზიო**

1. საკონკურსო წესით არჩეული მუშაკის სამუშაოდან დათხოვნა ხდება უმაღლესი სასწავლებლის ან ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც მიღებულ უნდა იქნეს ფარული კენჭისყრით.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორის ბრძანებით სამუშაოდან დათხოვნილ იქნა საინჟინრო გრაფიკის კათედრის ასისტენტი ზ. პატარაძე. მის განთავისუფლებას საფუძვლად დაედო კათედრის სხდომის ოქმი და სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს დადგენილება, სადაც აღნიშნულია, რომ ასისტენტი ზ. პატარაძე არ ემორჩილება კათედრის დადგენილებას, არ იზიარებს ზაზვის არსებულ სასწავლო მეთოდებს, რის შედეგად ჩაშალა ჯგუფებში მუშაობა.

საქართველოს სსრ პროკურორმა გააპროტესტა ეს ბრძანება, როგორც უკანონო. საქმე

ისაა, რომ ინსტიტუტის ადმინისტრაციის მიერ დარღვეულია სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის 1962 წლის 31 ივლისის № 283 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-11 მუხლი, რომლის მიხედვით საკონკურსო წესით არჩეული მუშაკის სამუშაოდან დათხოვნა უფარვისობის მოტივით ხდება უმაღლესი სასწავლებლის ან ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც მიღებულ უნდა იქნეს ფარული კენჭისყრით. ეს წესი ასისტენტი ზ. პატარაძის სამუშაოდან დათხოვნისა და ცუდი არ ყოფილა.

პროტესტი გაზიარებულ იქნა.

2. მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობაზე ამა თუ იმ პირის მიღებაზე უარის თქმა ან დათხოვნა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ეს პირი აღრე გასამართლებული იყო ანგარებითი დანაშაულისათვის.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიამ 1971 წლის 15 ოქტომბერს განიხილა საკითხი „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამკურნალო-პროფილაქტიკურ და სამეურნეო დაწესებულებებში სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-განიავების და მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ და მიიღო სათანადო დადგენილება, რომლის მეორე მუხლით დაწესებულია: „არ დაუშვან მატერიალურად პასუხისმგებელ თანამდებობაზე სისხლის სამართლის სასჯელმოსხილი“.

საქართველოს სსრ პროკურორმა რესპუბლიკის ჯანმრთელობის სამინისტროში შეტანილი თავისი პროტესტით დააყენა საკითხი სამინისტროს

კოლეგიის დადგენილების ამ ნაწილის შესწორების შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 30 ნოემბრის № 5452 და 1953 წლის 20 თებერვლის № 541 დადგენილებების თანახმად ესა თუ ის პირი მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობაზე არ უნდა იქნეს მიღებული, ხოლო ასეთ თანამდებობაზე უკვე მომუშავე პირი უნდა დათხოვნილ იქნეს, თუ იგი აღრე იყო გასამართლებული ანგარებითი დანაშაულისათვის ან ნლობას არ იმსახურებს.

კოლეგიის დადგენილების ეს მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „არ დაუშვან მატერიალურად პასუხისმგებელ თანამდებობაზე ანგარებითი სახის დანაშაულისათვის ნასამართლობის მქონე პირთა მიღება“.

3. ანგარების მიზნით სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებისათვის მძღოლებს უნდა ჩამოერთვათ მართვის უფლება ან დაჯარიმებულ იქნენ 30 მანეთამდე თანხით.

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის მინისტრმა 1971 წლის 26 თებერვლის № 40 ბრძანებით მუშაათა მო-

მარაგების სატიერთო ავტომატანის 47 დლით პირადი ანგარების მიზნით გამოყენებისათვის ავტომატანების მძღოლებს. ვ. მაქაცარასა და



დ. კაჯაჩიას მიმართ საკმარისად ჩათვალა მათი სამუშაოდან მოხსნა, ავტომანქანების ამორტიზაციის თანხის გადახდის დაკისრების გარეშე.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ თავისი პროტესტით მოითხოვა ამ ბრძანების კანონის შესაბამისობაში მოყვანა შემდეგ გარემოებათა გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 20 დეკემბრის ბრძანებულების „გზებზე, ქალაქებსა და დასახლებული პუნქტების ქუჩებში მოძრაობის წესებისა და სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძ-

ლიერების შესახებ“ მე-5 მუხლის შესაბამისად სატრანსპორტო საშუალებათა პირადი გამორჩენის მიზნით გამოყენებისათვის მძღოლებს ჩამოერთმევით მართვის უფლება ერთ წლამდე ვადით ან დაჯარიმდებიან 30 მანეთამდე თანხით. ამავე ბრძანებულების მე-15 მუხლის ძალით სასჯელებს ადებს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის განყოფილება, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილება. ამდენად მინისტრის ბრძანება არ შეესაბამება კანონს.

რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის პროტესტი დაკმაყოფილებულ იქნა.

#### 4. წანახდელი მიყენებული ზარალის დაკისრება შეიძლება მოხდეს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, საღაბო ან საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით.

აბაშის რაიონის სუჯუნის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა 1970 წლის 15 ოქტომბერს გამოსცა შემდეგი შინაარსის № 338 ბრძანება: „მეურნეობის 40 ტონა სიმინდისა და 24 ტონა ჩალის წანახდენის ანაზღაურება დაეკისროს პირუტყვის მეპატრონეებს, მათი პირუტყვის სახელმწიფო დამამზადებელ ორგანიზაციებზე ჩაბარებით“.

საქართველოს სსრ პროკურორი საბჭოთა მეურნეობების სამინისტროში შევიდა პროტესტით ამ ბრძანების გაუქმების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულების „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახდენისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ მე-4 მუხლით მიყენებული ზა-

რალის ოდენობას განსაზღვრავს კომისია, რომელიც ადგენს სათანადო აქტს და გადასცემს მას სასოფლო, საღაბო ან საქალაქო საბჭოს აღმასკომს. ეს უკანასკნელი ვალდებულია კომისიის აქტის მიღებიდან სამი დღის ვადაში გამოიტანოს გადაწყვეტილება ზარალისა და ჯარიმის გადახდევინების შესახებ. ამ უფლებით მეურნეობის დირექტორი არ სარგებლობს.

საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრმა როგორც კანონსწინააღმდეგო გააუქმა საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ბრძანება. სამინისტროს ბრძანების პირი დაეგზავნა საბჭოთა მეურნეობის ყველა დირექტორს, ვინაიდან ანალოგიური დარღვევები რესპუბლიკის სხვა საბჭოთა მეურნეობებშიც შეიმჩნეოდა.

#### 5. რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომებს უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილებანი, რომელთა დარღვევა გამოიწვევს ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებას, მხოლოდ სტიქიურ უბედურებასთან, ეპიდემიასთან, ეპიზოტოტებთან ბრძოლის საკითხებზე.

თელავის რაიონის საკომსა 1971 წლის 31 მარტს მიიღო № 124 გადაწყვეტილება, რომლითაც ქ. თელავში წყლის არადანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის დაწესდა ჯარიმა მოქალაქეთა მიმართ 10 მანეთამდე და თანამდებობის პირთა მიმართ 30 მანეთამდე თანხით. განმეორებით

შემთხვევაში კი მოქალაქენი ჯარიმდებოდნენ 15 მანეთამდე და თანამდებობის პირები — 50 მანეთამდე. 20 ივლისიდან ეს გადაწყვეტილება გავრცელებულ იქნა რაიონის მთელ ტერიტორიაზე.

რესპუბლიკის პროკურორმა თავისი პროტეს-



საპროკურორო ზედამხედველობის პრაქტიკა

ტით მოითხოვა ამ გადაწყვეტილებების გაუქმება შემდეგი საფუძვლების გამო:

1. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება ისეთ საკითხზე, რომელიც მის კომპეტენციაში არ შედის.
2. უსწორთა გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც განმეორებით ჩადენილი გადაცდო-

მისათვის მოქალაქეთა მიმართ დაწესებული ჯარიმა 15 მანეთის რაოდენობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების მე-9 მუხლის შესაბამისად აღმინისტრაციული წესით დაკისრებულ ჯარიმათა რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს 10 მანეთს.

პროტესტი დაკმაყოფილებულ იქნა.





# სასამართლო პრაქტიკა

## სამოქალაქო სასამართლოს საქმეებზე

ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია მისი კომპეტენციის ფარგლებიდან გადაცილებით არ ზღუდავს სასამართლოს არსებითად განიხილოს დავა ანავე საკითხზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1971 წლის 17 მაისის დადგენილება.  
(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1971 წ. № 3, გვ. 18).

თვითნებურად აგებული სახლზე საქუთრების გამო წარმოშობილი დავა სასამართლოს განსჯადი არ არის.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1971 წლის 22 მარტის დადგენილება.  
(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1972 წ. № 1, გვ. 13).

თუ ცალკე მცხოვრები მოსახლეები ვერ შეთანხმდებიან უვილთან ურთიერთობის წესსა და მის აღზრდაში მონაწილეობის თაობაზე და არ ემორჩილებიან მზრუნველობის ორგანოს მიტითებას, ამ უკანასკნელს უფლება აქვს დამის გადასაწყვეტად მიმართოს სასამართლოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1971 წლის 9 მარტის დადგენილება.  
(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1971 წ. № 3, გვ. 19).

თუ საგინაო სამუშაო კოოპერატივის არ აღმოაჩნდა ხსენები მუშაობაზე გაწეულ ხარჯებთან დაკავშირებული ვალის დასაფარავად, მაშინ იგი უნდა გადაწეულდეს მის წევრებს უორის წილადობრივად, მათ მიერ დაკავებული ბინების ფართობის გათვალისწინებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1971 წლის 11 მაისის დადგენილება.  
(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1971 წ. № 1, გვ. 24).

თუ ქორწინება ცნობილია ბათილად, საცხოვრებელ ფართობზე უფლებას ჰპარგავს ის მხარე, რომელიც მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად და ქორწინება გამოიყენა გაწერის მიზნით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1971 წლის 22 ნოემბრის დადგენილება.  
(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1971 წ. № 2, გვ. 16).

თხუთმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მოვლები, მუშაობები ან მზრუნველები, ამასთან სასამართლო ვალდებულია საქმეში ჩააბას თვით არასრულწლოვანნი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1971 წლის 11 იანვრის დადგენილება.  
(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1972 წ. № 1, გვ. 14).





ბანონი არ ითვალისწინებს სახელმწიფო საპირიკოპირისათვის ასაღებ სახლში მო-  
ბინადრის უფლებით მცხოვრები პირის უპირატეს უფლებას მიიღოს სამაგიერო ბინა  
იმავე მისამართით ახლად აგებულ სახლში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1971 წლის 8 თე-  
ბერვლის დადგენილება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1971 წ. № 2, გვ. 15).

მეზღვეთა უფლება-მოვალეობებს წარმოუშობს მხოლოდ მოქალაქეობრივი მდგომ-  
არების აქტების ჩამოწმის სახელმწიფო ორგანოში გაფორმებული კორფინება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1971 წლის 8 თე-  
ბერვლის დადგენილება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1971 წ. № 3, გვ. 17).

მიწათსაკრებლობის თაობაზე დავის განხილვა დამოუკიდებელ სახლთმფლობელ-  
თა შორის სასამართლოს განსჯადი არ არის.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1971 წლის 12 თე-  
ლისის დადგენილება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1972 წ. № 1, გვ. 13).

საერთო საკუთრების სახლიდან რეალური წილის გამოყოფა დიფერენციალურ შემ-  
თხვევაში, თუ გამოყოფილი რეალური ნაწილი იქნება საკუთრების უფლების  
დამოუკიდებელი ობიექტი ცალკე გაფორმებული მიწის ნაკვეთზე, ხოლო სახლის  
ნაწილის გამოყოფის შემთხვევაში უნდა იქნება მიწის ფულადი კომ-  
პენსაცია სახლთმფლობელობის ნაწილი ღირებულებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1970 წლის  
15 ივნისის დადგენილება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1971 წ. № 2, გვ. 17).

სამსახურებრივი მოვალეობის შემსრულებასთან დაკავშირებული ზიანი მხოლოდ  
მე შემთხვევაში ანაზღაურდება, თუ იგი საწარმოს, დაწესებულების ბრალითაა გა-  
მოწვეული.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1971 წლი 13 დე-  
კემბრის დადგენილება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1972 წ. № 1, გვ. 12).

შვებულებიდან მუშაკის დაბრუნების შემთხვევაში მის ადგილზე დროებით მიღე-  
ბული მუშაკის სამუშაოდან განთავისუფლებისათვის საპირიკოპირ არ არის პროფესიული  
კავშირის ადგილობრივი კომიტეტის თანხმობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1971 წლის 3 აგ-  
ვისტოს დადგენილება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1971 წ. № 1, გვ. 23).

## სისხლის სამართლის საქმეებზე

არაპროტესტის ჩადენილი სპეკულაცია არ შეიქმნება განხილულ იქნეს როგორც ხე-  
ლოვის სახით ჩადენილი, თუ არ დადგინდა, რომ ეს საქმიანობა დამნაშავესათვის  
შეაღწეოს ძირითად ან თუნდაც დამატებით, მაგრამ მუდმივი შემოსავლის წყაროს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1971 წლის 8 თე-  
ტომბრის დადგენილება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1972 წ. № 1, გვ. 15).



არაკირლავირი განზრახვის არსებობის დროს დანაშაული უნდა დაკვალიფიცი-  
რდეს ფაქტიური შედეგის მიხედვით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1971 წლის  
25 იანვრის დადგენილება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1971 წ. № 1, გვ. 18).

უსტილებელი მოგვარიების ფარგლების გადაცილება ჩაითვლება მხოლოდ  
იმათი შემთხვევაში, როცა დაცვა აუკაბრად არ შეესაბამება ხელშეწყობის ხასი-  
ათსა და საშიშროებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა  
სასამართლო კოლეგიის დადგენილება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1972 წ. № 2, გვ. 2.).

გამოიწვია თუ არა დაზინაება სხვის წარუშლელი დამახინჯება, სასამართლოს  
შეფასების საგანი და საქართველოს სსრ სსპ 110 მუხლის პირველი ნაწილით ასეთი  
დანაშაულის დაკვალიფიცირება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა სასამართლო მივა-  
იხ დასკვნაზე, რომ სხვის წარუშლელ დაზინაებას დამახინჯება მოჰყვება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1971 წლის 22 ნო-  
ემბრის დადგენილება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1972 წ. № 1, გვ. 16).

დანაშაულის თანამონაწილის მოკმედების დაკვალიფიცირებისათვის საჭიროა  
გაიკვამს მოცული იყო თუ არა დამდგარი დანაშაულმდარევი შედეგი მისი განზრახ-  
ვით, თუ იგი დაღა იმის გამო, რომ აღგილი ჰქონდა ამსულებლის ემცეხს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1971 წლის 15 თე-  
ბერვლის დადგენილება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1971 წ. № 2, გვ. 18).

თანამდებობის პირის მიერ უშიშროების ტემქინის, სამრეწველო სანიტარის ან  
შრომის დცვის სხვა წახების დარღვევა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას  
იწვევს არა მარტო მაშინ, როდესაც მას მოჰყვა გიმი შედეგი, არამედ მაშინაც, რო-  
დესაც იგი საფრთხეს უწმინდა მუშებისა და მოსახესსუქეების სიცოცხლესა და ჯანმრ-  
თელობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1971 წლის 22 დე-  
კემბრის დადგენილება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1971 წ. № 1, გვ. 19).

თანამდებობის პირის მიერ მრთამის მიმცემისათვის ისეთი პირობების შეამნა,  
როდესაც იგი იმულებულია თანისი კანონიერი ინტერესების განსოციმელებისათვის  
გაიღოს მრთამი, განხილულ უნდა იქნეს, როგორც მრთამის გამოკალვა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა  
სასამართლო კოლეგიის 1971 წლის 23 ივლისის განჩინება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1971 წ. № 4, გვ. 17).

თანამდებობის პირი, რომლის ძირითად ფუნქციას შეადგენს სამკურნალო-პრო-  
ფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება, არ არის პასუხსაბევი მდგომარეობის თანამ-  
დებობის პირი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა  
სასამართლო კოლეგიის 1971 წლის 28 მაისის განჩინება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1971 წ. № 4, გვ. 15).



თუ პირი დანაშაულის ჩადენის გამო თავდებობით გადაცა კოლექტივს და ამ გადაცემიდან ერთი წლის განმავლობაში ჩაიღინა ახალი დანაშაული, რომელშიც სასამართლომ იპი უდანაშაულოდ ცნო, დაუშვებელია აღკრინდელი დანაშაულისათვის მისი დასჯა სისხლის სამართლის წესით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის დადგენილება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1972 წ. № 1, გვ. 23).

თუ აუცილებელი მოგვიჩვენებს მდგომარეობაში მომგვიჩვენებელი ერთი მოქმედებით, თავდასხმელთან ერთად დასაშვებს მეორე პირსაც, მაშინ ამ პირის დაზინაწი-სათვის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს ბრალის პრინციპიდან გა-მომდინარე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1971 წლის 5 ივ-ნისის დადგენილება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო ბიულეტენი, 1971 წ. № 3, გვ. 21).

თუ დანაშაულგარივი უდღვი დაკავშირებულბა ორი ან რამდენიმე პირის მიერ დაკინრებული მოვალეობის არაჯეროვან შესრულებასთან თითოეული მათგანის ქვე-დობასა და დამდგარ უდღვს შორის მიუჯოვრირი კავშირის არსებობის დასადასტუ-რებლად აუცილებელია იმის დადგენა, თუ კონკრეტულად პირვე დაკინრებული რა მოქმედების შეუსრულებლობა გამოიწვიბა დანაშაულგარივი უდღვი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1970 წლის 8 ივნი-სის დადგენილება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1971 წ. № 2, გვ. 20).

თუ სასამართლო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დანაშაული ჩადენილია შეუ-რაცხაობის მდგომარეობაში, მან უნდა შეწყვიტოს საქმე და მხოლოდ უდღვბ იმსჯე-ლოს იმულებიტი მკუწნალობის გამიქმენების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1971 წლის 20 დეკემბრის დადგენილება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1972 წ. № 1, გვ. 17).

თუ ფული ან სხვა ვასეულობანი გადაცემა პრთამის ამღვს მისი გამოვლინე-ბის მიწენით, რის შესახებაც წინასწარ იქო განცხადებული სათანადო ორგანოებში, სასამართლომ განაჩინის დადგენის დროს უნდა იმსჯელოს განმცხადებლისათვის მათი დაბრუნების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1971 წლის 11 იანვრის დადგენილება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1971 წ. № 3, გვ. 12).

მოგვიჩვენებლის მიერ თავდასხმელისათვის იბრალის წართმევა და ამ იბრალით თავდასხმელის დაზინაწება ყოველთვის არ შეიძლება შეფასდეს, როგორც აუცი-ლებელი მოგვიჩვენების ფარგლებს გადაცილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1971 წლის 17 მარტის განჩინება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1971 წ. № 2, გვ. 23).

მოქრობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევა, თუ მას უდღვბად მოჰყვა მხოლოდ იმ პირის სხეულის დაზინაწება, რომელმაც ტრანს-პორტის მართვის დროს დაბრღვიბა აღნიშნული წესები, არ შეიტყავს დანაშაულის შეფაღვენეობას

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სა-სამართლო კოლეგიის 1971 წლის 4 თებერვლის განჩინება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1971 წ. № 2, გვ. 24).



მოქალაქეთა შეუტანადობა, ცემა, გათვების მსუბუქი ან ნაკლებად მიიმაღლებინ მიხედვით და სხვა მსგავსი მოქმედება, ჩადენილი პირადი ხასიათის მოტივით, შეიქმნება ხულიგნობად ჩიბითვალს მხოლოდ მაშინ, თუ მას თან ეართვოდ სსკმ-გაღობგრივი წესრიგის უხეში დარღვევა და გამომხატვბად სსკმგაღობგრივის აშკარა უპბტივცემლობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1971 წლის 9 მარტის დადგენილება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1971 წ. № 3, გვ. 20).

საზავრო დარგის მუშაკის მიერ დღვიციბთური საქონლის მიყიდვისათვის მომხმარებლისგან განსარჯვალს მიღებას, და მათასდაამ, კრთამის აღებას მხოლოდ მაშინ აქვს აღგილი, როდესაც იგი საქონლის შექმნისათვის მისი ღირებულების ჯებით იხდის გარკვეულ თანხას.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1971 წლის 4 თებერვლის განჩინება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1971 წ. № 4, გვ. 16).

სამსჯავრო სსდომავე განსასჯელის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სსსკ 250-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში და აბრეთვე მაშინ, თუ განსასჯელი სამსჯავროს სსდომის დარღვიდან გამევებულია სსსკ 262-ე მუხლში მითითებული წესის დაცვით გამობანილი სასამართლოს განჩინებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1971 წლის 24 მაისის დადგენილება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1972 წ. № 1, გვ. 18).

სასჯელი დანაშაულის სიმძიმესა და მსჯავრებულის პიროვნებასთან შეუსბამოდ ჩიბთვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი თავის ჯომით სიმატარის ან ლომგმირების გამო აშკარად შეუსბამობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1971 წლის 23 ივლისის დადგენილება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1971 წ. № 2, გვ. 13).

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლის თანახმად პირობითი მსჯავრის განსაზღვრის დროს არ შეიქმნება დანიშნოს დამატებითი სასჯელი, გარდა ჯარისისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1972 წ. № 1, გვ. 20).

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლის III ნაწილი ითვალისწინებს თანამდებობის იმ პირის პასუხისმგებლობას, რომლის მიერ უშიწროების ტაქნიკის წესების დარღვევას შედეგად მოქვვა ამ წარმომებში მომუშავე პირის სიკვდილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1970 წლის 15 დეკემბრის განჩინება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1971 წ. № 2, გვ. 22).



საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 231 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა გულისხმობს არა ერთდროულად სხვადასხვა მუხლით ორი ან რამდენიმე ცოლის ყოფას, არამედ ერთად, ორი ან რამდენიმე ქალთან ცხოვრებას საერთო მუშაობის წარმოებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1971 წლის 1 თებერვლის დადგენილება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1971 წ. № 1, გვ. 21).

შეცრად აღმოცენებული კლიერი სულიერი აღელვება არ იქცევა საქართველოს სსრ სსკ 106 მუხლით მკვლელობის დაკავალიზიცირების საფუძველს, თუ დადგენილია, რომ მსჯავრდებული ახორციელებდა აუცილებელი მიზეზების უფლებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1972 წ. № 2, გვ. 22).

წვრილმანი სვეტუბაცია არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ დანაშაულის მიმართ აღრე, ერთი წლის განმავლობაში, ასეთივე მოქმედებისათვის გათვალისწინებული არ ყოფილა საზოგადოებრივი ჯიშობების ღონისძიება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1972 წ. № 1, გვ. 20).

წინათ ჩადენილი დანაშაულის ფაქტი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დამამძიმებელ გარემოებად, თუ პირს ნასამართლობა გაჰარწყლებული ან მოხსნილი აქვს კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1971 წლის 9 მარტის დადგენილება.

(საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1971 წ. № 1, გვ. 22).

---



# საბჭოთა კავშირი

## 1. დავა უდოკუმენტო ტვირთის ფასის შესახებ უნდა აღიძვრას რკინიგზის წესდებით დადგენილი საპრეტენზიო წესის დაცვით

ორგანიზაციამ სარეალიზაციო საწყობის მეშვეობით რკინიგზისაგან შეიძინა უდოკუმენტო ხე-ტყის მასალა. ანგარიშსწორება მოხდა ორივე მხარის წარმომადგენლის მონაწილეობით შედგენილი შეფასების აქტში განსაზღვრული ფასებით. შემდეგში მყიდველმა ჩათვალა, რომ შეფასების აქტში ნაჩვენები ხე-ტყის ფასი გადიდებული იყო და პრეტენზია განაცხადა, ხოლო მისი უარყოფის შემდეგ აღძრა სარჩელი არბიტრაჟში.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ უარყო სარჩელი ორი საფუძველით: ჯერ ერთი, რომ მაძიებელმა დაარღვია ექვსთვიანი საპრეტენზიო ვადა და მეორე — ხე-ტყე შეფასებული იყო მაძიებლის წარმომადგენლის მონაწილეობით. სახელმწიფო არბიტრაჟმა დადგენილად ცნო, რომ ხე-ტყის ვადაცემა მოხდა 1970 წლის 17 ივნისს, პრეტენზია განაცხადებული იყო 1971 წლის 25 თებერვალს, ხოლო ექვსთვიანი საპრეტენზიო ვადა ამოიწურა 1971 წლის 17 დეკემბერს. მაძიებელს სარჩელში უარი ეთქვა საპრეტენზიო ვადის დარღვევის გამო.

ზედწესით საჩივარში მაძიებელი ამტკიცებდა, რომ ამ დავაზე არ ვრცელდება საწესდებო საპრეტენზიო ვადები ვინაიდან იგი არ არის რკინიგზით გადაზიდვის მონაწილე და რომ მისი ურთიერთობა რკინიგზის სარეალიზაციო საწყობთან წარმოადგენს ჩვეულებრივ მიწოდებას, რომელსაც უნდა შეეფარდოს სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მე-16 მუხლით დადგენილი ერთწლიანი ძიებითი ხანდაზმულობის ვადა. დავის საბოლოოდ გადაწყვეტისათვის გამოთხოვილი იყო სსრ კავშირის არბიტრაჟის განმარტება.

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრის მოადგილემ 1971 წლის 14 სექტემბრის № 04-25/31 წერილით განმარტა, რომ უდოკუმენტო ტვირთის რეალიზაცია მოხდენილი იყო რკინიგზის წესდებით გათვალისწინებული წესით, (76 მუხ.) და ამდენად თუ მაძიებელი სთვლიდა, რომ შეფასების აქტში არასწორად იყო ნაჩვენები ხე-ტყის ფასი ან ხარისხი იგი ვალდებული იყო წარედგინა რკინიგზისადმი პრეტენზია წესდებით გათვალისწინებული ვადებისა და წესების დაცვით.

სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

## 2. დამატებითი გზავნილით მიღებულ ტვირთზე კომერციული აქტის შედგენა და დამატებითი პრეტენზიის წარმოდგენა საჭირო არ არის

ჩარნცევანის საცდელ ქარხანას ქ. ნიკოპოლიდან გამოუგზავნეს ორი შეკვრა, 683 გრძივი მეტრი უქანგავი ფოლადის მილები, წონით 4300 კგ. ტვირთის გაცემის დროს აღმოჩნდა, მხოლოდ ერთი შეკვრა 243,0 გრძივი მეტრი რაოდენობისა. დანაკლისზე შედგა კომერციული აქტი და რკინიგზას წარედგინა პრეტენზია 440 გრძივი მეტრი მილის დანაკლისზე. პრეტენზიის აღძვრის შემდეგ, სამთვიანი ვადის ფარგლებში, საქონლის მიმღებს დამატებითი გზავნილით მიეცა ერთი შეკვრა 34 ცალი მილი 148,0 გრძივი მეტრის დამატებით ზედნაღებზე. რკინიგზამ მოახდინა წარწერა 34 ცალი 148,0 გრძივი მეტრი მილების გაცემის შესახებ.

ჩარნცევანის ქარხანამ აღძრა სარჩელი 292 გრძივი მეტრ მილის დანაკლისზე (440—148-292).

ამიერკავკასიის რკინიგზამ უარყო სარჩელი საპრეტენზიო წესის დარღვევის გამო, ვინაიდან დამატებით გზავნილზე არ იყო შედგენილი კომერციული აქტი. რკინიგზის განცხადებით გამოგზავნილი იყო ორი შეკვრა, მან გასცა ორი შეკვრა, ე. ი. შესარულა თავისი ვალდებულება. საწინააღმდეგო დამტკიცებული არ არის.

სახელმწიფო არბიტრაჟის შეკითხვაზე სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის პრაქტიკის განვითარებისა და ინსტრუქციის განყოფილების უფროსმა 1971 წლის 6 დეკემბრის № თი—16/12 წერილით განმარტა, რომ რამდენადაც მილების დანაკლისის ფაქტი ფიქსირებული იყო კომერციული აქტით და რკინიგზას დროზე წარედგინა პრეტენზია, ჩარნცევანის



ქარხნის ძიება უნდა არსებითად იქნეს განხილული. მოთხოვნა ვითომდა დამატებით გზავნილზე დამატებით უნდა შედგეს კომერციული აქტი და დამატებითი პრეტენზია იქნეს წარდგენილი რკინიგზის წესდებიდან არ გამოდინარეობს.

ჩარნტენიანის ქარხნის ძიება სრულად დაკმაყოფილდა.

**3. კასრების ტევადობის შესახებ ხელშეკრულების პირობის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი პასუხს აგებს სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების 69 მუხლით**

ტალიცის რაიკავშირის საეპტრო ბაზასა და ხილყენკოვანი ღვინოების ტყვიავის ქარხანას შორის დადებული ხელშეკრულების ერთერთ პუნქტად გათვალისწინებულ იქნა ღვინის მიწოდება 200—400 ლიტრიან კასრებში. ფაქტიურად ღვინის ნაწილი მიწოდებული იყო მეტნაკლებ ტევადობის კასრებით. მყიდველმა აღძრა სარჩელი, რათა მიმწოდებელს გადაეხადა ჯარიმა, ეყრდნობოდა რა სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ დებულების 69 მუხლს, რომელიც ითვალისწინებს მატერიალურ პასუხისმგებლობას არა სათანადო ტარაში საქონლის მიწოდებისათვის.

ამ საქმის განხილვის დროს წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა. საქმის მასალებით დადგინდა, რომ მიწოდების დროს სავსებით იყო დაცული ღვინის ხარისხი და რაოდენობა. ყველა მიწოდებული ტევადობის კასრები შეესაბამებოდნენ სახელმწიფო სტანდარტებს. დისკვა საკითხი შეიძლება თუ არა ამ შემთხვევაში გამოყენებული იქნეს დებულების 69 მუხლი, თუ მხარეებს ხელშეკრულების დადების დროს ამავე დებულების 87 მუხლის შესაბამისად უნდა გაეთვალისწინებინათ სპეციალური პასუხისმგებლობა გაპირობებული ტევადობის დარღვევისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟმა 1971 წლის 6 დეკემბერს № იი—16/12 წერილით განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში მიმწოდებელმა დაარღვია ხელშეკრულების პირობა კასრების ტევადობის ნაწილში და ამიტომ მას უნდა გადახდეს ჯარიმა გათვალისწინებული სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ დებულების 69 მუხლის მიხედვით, არა სათანადო ტარაში მიწოდებული საქონლის ხუთი პროცენტის ოდენობით.

**4. ნაკრები ვაგონით ტვირთის მიღების შემთხვევაში საქონლის მიღების აქტში სატრანსპორტო მარკის ჩვენება სავალდებულოა**

როსბაკალიის გორკის კანტორამ აღძრა სარჩელი სამტრედიის ჩაის საწნეხი ფაბრიკის მიმართ ჩაის გადახარისხებაზე, რის შედეგად მან განიცადა 126 მანეთის ზარალი. მიმწოდებელმა სარჩელი უარყო და განმარტა, რომ ჩაი ვაიგზავნა ერთ ვაგონში სამი მიმღების მისამართით. თვითეულ ზედნადებს ერთოდა სპეციფიკაცია, ხოლო ყველა ყუთებზე დასმული იყო სათანადო სატრანსპორტო მარკა. მოსარჩელემ ტვირთი რკინიგზისაგან მიღების დროს არ შეადარა ყუთებზე აღნიშნული მარკა სატრანსპორტო საბუთებს, ნაწილობრივ მიიღო სხვა მიმღებისათვის განკუთვნილი ტვირთი, რის შედეგად უმადლესი და პირველი ხარისხის ორი ყუთის მაგიერ მიიღო II ხარისხის ორი ყუთი.

ზედწესით შემოტანილ საჩივარში მოსარჩელეს მიეთითა, რომ სატრანსპორტო მარკირების შემოწმება ტვირთის რკინიგზიდან მიღების მომენტში შეადგენს ტვირთის მიმღების ვალდებულებას საქონლის რაოდენობრივად მიღების შესახებ № 3—6 ინსტრუქციის მე-4 მუხლის ქ/პ „ბ“ ძალით. ეს მით უფრო აუცილებელი იყო, რომ ტვირთი გაგზავნილი იყო ნაკრები ვაგონით და მძიმებელმა აშკარად თავისივე ბრალით მიიღო რკინიგზიდან სხვისი ტვირთი. საქონლის გამომგზავნს ამაში ბრალი ვერ დაედება.

საჩივარი დატოვებული იქნა უშედეგოდ.

**5. ერთ და იგივე საფანჯე ერთ და იგივე მხარეებს შორის განმეორებით აღძრული საქმე წარმოებით მოსპობას ექვემდებარება.**

ცუკავშირის გამგეობამ 1971 წლის ივნისის თვეში აღძრა სარჩელი ტრესტ საქტარის ხაშურის ბაზის მიმართ ახალქალაქის რაი-სამომხმარებლო კავშირისაგან 1971 წლის აგვისტოში გადახდილი 7472 მანეთის ოდენობით ჯარიმის დაბრუნებაზე.





საქმის გარჩევის პროცესში გამოირკვა, რომ ეს ძიება აღძრულია განმეორებითი ცეკავ შირის გამგეობას 1970 წლის დეკემბერში ასეთივე ძიებაში უკვე ეთქვა უარი. სამეურნეო დავების განხილვის მოქმედი წესების 57-ე და 82-ე მუხლების ძალით საქმე წარმოებით მოისპო.

ცეკავშირის გამგეობამ გაასაჩივრა არბიტრაჟის ეს დადგენილება. საჩივარში აცხადებდა, რომ 1970 წლის დეკემბერში მას უარი ეთქვა ძიებაში იმით, რომ არ ქონდა სათანადო საბუთები. ამჟამად ეს საბუთები სახეზეა და მას შეუძლია დაამტკიცოს თავისი მოთხოვნის სისწორე.

საჩივარი დატოვებულ იქნა უშედეგოდ. ცეკავშირის გამგეობას განემარტა, რომ სამეურნეო დავების განხილვის მოქმედი წესების 57 მუხლის ძალით სახელმწიფო არბიტრაჟში არ შეიძლება განმეორებით იქნას აღძრული ერთი და იგივე ძიება ერთ და იგივე საგანზე, ერთ და იგივე მხარეებს შორის. რამდენადაც 1970 წელს აღძრული საქმე არსებითად იყო განხილული დაინტერესებულ მხარეებს შეეძლო სათანადო წესის და ვადების დაცვით გაესაჩივრებინა არბიტრაჟის გადაწყვეტილებები და არ აღძრა განმეორებით იგივე საჩივრი.



# მშახის ორგანოების ძრავები



## 1. შეილად აყვანის საიდუმლოების დაცვის მიზნით დასაშვებია შეილობილის დაბადების და დაბადების რეგისტრაციის ადგილის შეცვლა

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატისა და მშახის სამმართველოს განცხადებით მიმართა მოქ. ი-მ. მან იშვილა ბავშვი და მისი გაფორმება მოახდინა ბალტიისპირეთის ერთ-ერთ ქალაქში. შეილად აყვანის საიდუმლოების დაცვის მიზნით, განმცხადებლის თხოვნის საფუძველზე, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით ბავშვის დაბადების ადგილი შეიცვალა ქ. თბილისით, რის შემდეგაც შეილობილის დაბადების მოწმობაში დაბადების რეგისტრაციის ადგილად ჩაწერილია ბალტიისპირეთის ქალაქის მშახის ბიურო, ხოლო დაბადების ადგილად ქ. თბილისი, რაც მომავალში ექვის ქვეშ დააყენებს ბავშვის წარმოშობის საკითხს.

მოქ. ი-მ დახმარებისათვის მიმართა მშახის ბიუროს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რათა მისი შეილობილის დაბადების მოწმობა გაეცა ქ. თბილისის მშახის ორგანოს. მშახის

ბიურომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის თხოვნა.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატისა და მშახის სამმართველომ განუმარტა როგორც მოქ. ი-ს, ისე მშახის ბიუროს, რომ თუ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიცვალა შეილად აყვანის დაბადების ადგილი და ეს ვერ უზრუნველყოფს შეილად აყვანის საიდუმლოების დაცვას, მაშინ მშვილებელთა თხოვნით დაიშვება შეილობილის დაბადების ახალი აქტის შედგენა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებაში მოხსენებული დაბადების ადგილის მიხედვით (იხ. საქართველოს სსრ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის შესახებ ინსტრუქციის 84-ე პუნქტი).

## 2. მეუღლეთა ურთიერთთანხმობის დროს მშახის ბიუროში განქორწინების რეგისტრაციისათვის დაწესებულია სამთვანი ვადა

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატის და მშახის სამმართველოს მოქ. კ-მ განცხადებით მიმართა იმის შესახებ, რომ მას რეგისტრირებულ მეუღლესთან არა ყავს შვილი, ფაქტურად ისინი არ ცხოვრობენ ერთად უკვე ერთი წელია და ორივე განქორწინების თანახმაა, რაზეც შეიტანეს განცხადება მშახის ბიუროში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მშახის ბიურომ განქორწინების აქტის რეგისტრაციის ვადა მათ დაუნიშნა განცხადების შეტანის დღიდან 3

თვის შემდეგ. განმცხადებელი თხოულობდა ამ ვადის შემცირებას. ადვოკატურის, ნოტარიატისა და მშახის სამმართველომ განუმარტა მოქ. კ-მეს, რომ მშახის ბიუროს მოქმედება სწორია, რადგან ცოლ-ქმრის ურთიერთთანხმობის შედეგად მშახის ბიუროში განქორწინების აქტის რეგისტრაციისათვის დაწესებულია სამი თვე განცხადების შეტანის დღიდან. ამ ვადის შემცირება საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

## 3. სამ წელზე მეტი ვადით სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ პირთან განქორწინების რეგისტრაციამდე მშახის ბიურომ შეკითხვა უნდა გაუგზავნოს პატიმარს

მოქ. ნ-მ მშახის ორგანოებს მიმართა განცხადებით, რომ სურს განქორწინება მეუღლესთან, რომელიც პატიმრობაშია და სასამართლოს მიერ მისჯილი აქვს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. მშახის ბიურომ არ გააფორმა ეს აქტი და მოითხოვა განქორწინებაზე თანხმობა პატიმრობაში მყოფი მეუღლისაგან.

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო

კოდექსის 184 მუხლის შესაბამისად განქორწინების თაობაზე შეტანილ განცხადების შესახებ მშახის ბიურო აუწყებს პატიმრობაში მყოფ მეუღლეს. უწყებაში განსაზღვრულია ვადა პასუხის შეტყობინებისა და მიზნად ისახავს ვაიკრევეს არის თუ არა დავა ბავშვების თაობაზე, მეუღლეთა სავითო თანასაკუთრების გაყოფის ან ალიმენტის გადახდევინების შესა-





ხებ იმ შრომისუუნარო მეუღლის სასარგებლოდ, რომელიც დახმარებას საჭიროებს. პასუხის ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს. საქართველოს სსრ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის 77-ე პუნქტი

აზუსტებს, რომ დავის არ არსებობის შესახებ პასუხის მიღების, ან ამ ვადაში პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიურო ახდენს განქორწინების რეგისტრაციას.

**4. სრულწლოვანს, რომელიც დაბადების რეგისტრაციაში გატარებულია დედის გვარზე მშობლების რეგისტრირებულ ქორწინებაში არ ყოფნის გამო, მამობის დადგენის აქტის ჩაწერის შემდეგ შეუძლია მიიღოს მამის გვარი**

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატისა და მმაჩის სამმართველომ მიიღო მოქ. ქ-ძის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი დაბადებულია 1950 წელს და მშობლების რეგისტრირებულ ქორწინებაში არ ყოფნის გამო, როგორც მართხელა დედის შვილი გატარებულია დედის გვარზე, ხოლო ამჟამად სრულწლოვანების მიღწევასთან დაკავშირებით სურს მიიღოს მამის გვარი, ე. ი. საერთო წესის საფუძველზე გამოიკვალოს გვარი, რაზეც თანახმა არიან მისი მშობლები.

ადვოკატურის, ნოტარიატისა და მმაჩის სამმართველომ განუმარტა მოქ. ქ-ძეს, რომ თუ ორივე მშობელი თანახმაა, რომ მან ატაროს მამის გვარი და თუ მამა შვილად აღიარებს

განმცხადებელს, მაშინ მისივე ინტერესებიდან გამომდინარე უკეთესია მამობის დადგენის აქტის ჩაწერა მმაჩის ბიუროში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ვიდრე საერთო წესით გვარის გამოცვლა, რადგან მამობის დადგენის აქტის რეგისტრაციის შემდეგ განმცხადებელი უთანაბრდება კანონიერი ქორწინების შედეგად დაბადებულ შვილებს.

სრულწლოვანი შვილების მიმართ მამობის აქტის დასადგენად საჭიროა მმაჩის ბიუროში ორივე მშობლის განცხადების შეტანა, ასევე სრულწლოვანის წერილობითი თანხმობა, რომ სურს მამის გვარის მიღება (საქართველოს სსრ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის შესახებ ინსტრუქციის 90-ე პუნქტი).

**5. იმ პირის გარდაცვალების შემთხვევაში, რომელიც თავს თვლიდა ბავშვის მამად და რომლის კმაყოფაზეც იყო ბავშვი, მამობის ფაქტი შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით**

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატისა და მმაჩის სამმართველოს მოქ. წ-მ მიმართა განცხადებით იმის შესახებ, რომ 1960 წლიდან იმყოფებოდა ფაქტიურ ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში აწ გარდაცვალებულ ბ-თან, რომლისგანაც 1962 წელს შეეძინა ვაჟიშვილი. 1963 წელს ბ-ლი გარდაიცვალა ისე, რომ ვერ მოასწრო ქორწინების რეგისტრაცია განმცხადებელთან და ბავშვი დაბადების რეგისტრაციაში გატარებულია დედის გვარზე. გარდაცვალებული ბ-ლი, რომ ბავშვის მამა იყო ამას ადასტურებენ მეზობლები და ნათესავები. გარდა ამისა, განსვენებული განმცხადებლის ბინიდან იქნა დაკრძალული.

სურდა რა შვილის დაბადების სააქტო ჩანაწერში მამის მონაცემების შეტანა წ-მ ახალი კანონმდებლობის შესაბამისად მიმართა მმაჩის ბიუროს მამობის დადგენის აქტის ჩა-

საწერად. მმაჩის ბიურომ უარი უთხრა წ-ძეს იმ მოტივით, რომ ამ აქტის რეგისტრაციისათვის საჭიროა მამის განცხადება ან სასამართლოს გადაწყვეტილება მამობის დადგენის შესახებ.

ადვოკატურის, ნოტარიატისა და მმაჩის სამმართველომ განუმარტა მოქ. წ-ძეს, რომ მმაჩის ბიუროს მოქმედება სწორია. კონკრეტულ შემთხვევაში ბავშვის დაბადება რეგისტრირებულია 1963 წელს ე. ი. ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძველების მოქმედებაში შესვლამდე (1968 წლის ოქტომბერი). ზემოხსენებული საფუძველების დამტკიცების შესახებ კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად სახალხო სასამართლო დაადგენს მამობის ფაქტს, რის საფუძველზეც მმაჩის ბიურო სათანადო შესწორებებს შეიტანს ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში.



8 9/119



ფანდი 50 კპპ.

ИНДЕКС 76185

# СОВЕТСКОЕ ПРАВО № 3

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР  
и Министерства Юстиции Грузинской ССР